ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიბერალი
№ 174 ოქტომბერი 2016
ISSN 1987-7528

1737
2016

პრეზიდენტის მაქსიმა

33. 10

ფასი 5 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა



შეიძინეთ
„ლიბერალის ბიბლიოთეკის“
პირველი წიგნი



ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორის სვეტი

ლიბერალი

№ 174 ოქტომბერი 2016

ჟურნალის რედაქტორი
ზურაბ ვარდიაშვილი

ვებგვერდის რედაქტორი
ლიკა ზაკაშვილი

ახალი ამბების რედაქტორი
დათო გამისონია

ფოტორედაქტორი
ლევან ხერხეულიძე

ჟურნალისტები
ზურაბ ვარდიაშვილი, ლიკა ზაკაშვილი, ქეთევან ღვედაშვილი, თათია ხალიანი, ეკა მაღალდაძე, სოფო აფციაური, თეი კანაშვილი, დათო ფარულავა, ნათია ამირანაშვილი, დათო გამისონია, სალომე გორგოძე, ქრისტინე მუჯირი

კონტრიბუტორები
ლევან ახალაია, დავით ბუხრიკიძე, გიო ახვლედიანი, ლევან ბერძენიშვილი, გიორგი კეკელიძე, შოთა კინწურაშვილი, თაკო რობაქიძე

ჟურნალის დიზაინერი
თორნიკე ლორთქიფანიძე

ჟურნალის და ნიუსჯგუფის რედაქტორ-სტილისტი/კორექტორი
ნინო კალატოზიშვილი

თემატური ჯგუფის რედაქტორ-სტილისტი/კორექტორი
ნათია ორმოცაძე

ბიზნესგანვითარების მენეჯერი
ქეთევან ქავთარაძე

ადმინისტრაციული მენეჯერი
მზია კუბლაშვილი

დისტრიბუტორი
გიგი ნაზარაშვილი

ჟურნალის გამოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 247 02 46

გამომცემელი:
შპს „ლიბერალი“.
მისამართი: თბილისი, რუსთაველის ქ. 50. ტელ.: (995 32) 2470246
ელ-ფოსტა: info@liberali.ge
ვებგვერდი: www.liberali.ge
საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ბეჭდვა:
შპს „სეზანი“.
მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.

გამოდის თვეში ერთხელ, ყოველ 10 რიცხვში. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში.

რეკომენდებული საცალო ფასი 5 ლარი.

www.liberali.ge

3/308



ჩვენ წელს პირველად ვატარებთ არაორპოლუსიან არჩევნებს, სადაც ტემპერატურა და ემოციები მაღალი არ არის. ეს არის ახალი გამოცდილება როგორც ამომრჩევლისთვის, ისე პოლიტიკოსებისთვის. - მითხრა საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა, როდესაც რომის პაპის სასახლიდან გაცილების შემდეგ თავის კაბინეტში, ინტერვიუს ჩასაწერად მიგვიღო.

ამ ინტერვიუს წინამდებარე ჟურნალში წაიკითხავთ. ნახავთ, რას ფიქრობს პრეზიდენტი არჩევნებში ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობაზე, პოლიტიკური პროცესების თაობაზე პოლიტიკოსების დამოკიდებულებებზე, ქრისტიანობის მორალსა და ეთიკურ დილემებზე...

თათია ხალიანი მარნეულს ესტუმრა. სადაც არჩევნების მოახლოებას მხოლოდ ქუჩებში გაკრული პლაკატები გახსენებს. სტატიაში წაიკითხავთ, რომ ბოლო თვეებია, არჩევნები ქვეყნის ძირითადი სალაპარაკო თემაა, მაგრამ არა აქ. ამბობენ, რომ ხმას ხელისუფლებაში მყოფ პარტიას მისცემენ, რადგან ასე უფრო მარტივია; ერთგვარი ხარკია „აქ“ ცხოვრებისთვის. სხვების არც პროგრამები იციან, არც კანდიდატები. ქართულ არხებს ვერ უყურებენ, მშობლიურ ენაზე კი ინფორმაცია არ აქვთ.

შოთა კინწურაშვილი მოგითხრობთ ხორხე მარიო ბერგოლიოს შესახებ, რომელსაც ახლა ღარიბების პაპს უწოდებენ და თვის დასაწყისში მისი ცნობილი სიტყვები „არ დაგავიწყდეთ, ილოცეთ ჩემთვის“, – თბილისშიც მოვისმინეთ.

„საშიში სათამაშოები“, – ამგვარი საშიში სათაურით შემოგხვდებათ ნათია ამირანაშვილის სტატია ჟურნალის ფურცვლისას. დათო ფარულავა კი ესტუმრა შავი ზღვის სამიგრაციო დერეფანს, რომელიც ფრინველების მასშტაბური გადაფრენის თვალსაზრისით, მსოფლიოში მნიშვნელობით მესამეა.

სალომე გორგოძე მოგიყვებათ არაფორმალური განათლების ფორმალური შესაძლებლობების შესახებ, ქრისტინე მუჯირი კი თანამედროვე ქართული ქრისტიანული არქიტექტურის გამოწვევებზე დაგაფიქრებთ: „ეს ეკლესიები ჩვენს უბნებში, რომელიც შესაძლოა ათწლეულები და ასწლეულებიც დარჩეს (თუ გაუძლო დროს), როგორ დაგვახასიათებს ჩვენ? იქნებ, სწორედ ისე, როგორსაც ვიმსახურებთ?“

ზურაბ ვარდიაშვილი, ჟურნალის რედაქტორი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

სარჩევი

04 **ავტორები**

უცხოეთი

06 ოვალური კაბინეტი მსოფლიოს ფოკუსში
ავტორი: ლევან ახალაია

ინტერვიუ

10 პრეზიდენტის მაქსიმა
ავტორი: ზურაბ ვარდიაშვილი

რელიგია

16 ღარიბების პაპი საქართველოში
ავტორი: შოთა კინწურაშვილი

საზოგადოება

26 ხმები ექოს გარეშე
ავტორი: თათია ხალიანი

32 თანამედროვე ქრისტიანული არქიტექტურა, როგორც სიძველის იმიტაცია
ავტორი: ქრისტინე მუჯირი

40 პური ჩვენი არსობისა
ავტორი: ზურაბ ვარდიაშვილი

განათლება

46 არაფორმალური განათლების ფორმალური შესაძლებლობები
ავტორი: სალომე გორგოძე

ჯანდაცვა

50 საშიში სათამაშოები
ავტორი: ნათია ამირანაშვილი

გარემო

54 მსხვერპლად ქცეული მტაცებლები
ავტორი: დათო ფარულავა

ფოტოპროექტი

64 ლამპრობა - დღესასწაული სულის დასათბობად
ავტორი: თაკო რობაქიძე

ბიბლიოთეკა

76 ბაბუა
ავტორი: გიორგი კეკელიძე

79 ლიტერატურა, როგორც LINGUA FRANCA
ავტორი: ლევან ბერძენიშვილი

კულტურა

82 „პრომეთეს“ გარდა(ა)მოხსნა
ავტორი: დავით ბუხრიკიძე

სპორტი

87 უსემოდ
ავტორი: გიო ახვლედიანი

ფოტო: ლევან ხარაბაძე



ბაჩემო

მსხვერპლად ქცეული მტაცებლები

ზაფხულის მიწურულს ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით ფრინველების მასშტაბური მიგრაცია იწყება. აღმოსავლეთ ევროპიდან და ჩრდილო აზიიდან აფრიკის მიმართულებით ყოველწლიურად 35-მდე სახეობის მტაცებელი მიფრინავს, თუმცა, სანამ საბოლოო დანიშნულების პუნქტს მიაღწევენ, აღმოსავლეთ შავი ზღვის სამიგრაციო დერეფანი უნდა გაიარონ. „თბილ ქვეყნებში“ მოსახვედრად ფრინველებმა გზად ბევრი დაბრკოლება უნდა გადალახონ და თუ მაგალითად მონადირის ტყვიას ან დატყვევებას გადაურჩნენ, აფრიკის რომელიმე ქვეყანაში გამოიზამთრებენ, გაზაფხულზე კი უკუმიგრაცია დაიწყება და აჭარის ცას კიდევ ერთხელ გადაუფრენენ.

დათო ფარულავა
გვ.54

საზოგადოება

პური ჩვენი არსობისა

საქართველოში საკვების 70% პურია. ეს მაჩვენებელი ნორმალურ, საშუალო მომხმარებელ ქვეყნებში 12-20%-ია. მაჩვენებელი დამოკიდებულია კვების სტრუქტურაზე, მაგალითად, თუ ადამიანს დაბალი შემოსავალი აქვს, მოხმარებას პურის სასარგებლოდ გადააწყობს, საკვები რაციონიდან ჯერ ხიზილალას ამოიღებს, შემდეგ – თევზს, ხორცს და გადავა კარტოფილსა და პურზე. „იმიტომ, რომ პურში კალორიებია, თუმცა სხვა დიდი არაფერი. პური არ არის ის პროდუქტი, რითაც ადამიანმა სრულფასოვნად შეიძლება იკვებოს. პური ტვინს არ კვებავს“.

ზურა ვარდიაშვილი
33.08

ჩეხეთი

ღარიბების პაპი საქართველოში

ბერგოლიოს მშობლები მეოცე საუკუნის დასაწყისში იტალიიდან სამხრეთ ამერიკაში გადავიდნენ საცხოვრებლად. ბერგოლიო თავდაპირველად კოლეჯში ქიმიის ფაკულტეტზე სწავლობდა. მოგვიანებით სასულიერო ცხოვრებით დაინტერესდა და 1958 წელს იეზუიტების ორდენს შეურთდა. თეოლოგიურ განათლებას ჯერ ჩილეში, შემდგომ არგენტინის დედაქალაქ ბუენოს აირესში ეუფლებოდა. თეოლოგიურ ფაკულტეტზე მისი სწავლის პერიოდი კათოლიკე ეკლესიაში, კერძოდ კი, სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე ქრისტიანული თეოლოგიის ახალი მიმართულების ე.წ. „განთავისუფლების თეოლოგიის“ (Teología de la liberación) აღმოცენებისა და გავრცელების დროს დაემთხვა.

შოთა კინწურაშვილი
33.16

საზოგადოება

ხმები ექოს გარეშე

ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში არჩევნების მოახლოებას მხოლოდ ქუჩებში გაკრული პლაკატები გახსენებს. ბოლო თვეებია, არჩევნები ქვეყნის ძირითადი სალაპარაკო თემაა, მაგრამ არა აქ. თავიდან გიშორებენ. ამბობენ, რომ ხმას ხელისუფლებაში მყოფ პარტიას მისცემენ, რადგან ასე უფრო მარტივია; ერთგვარი ხარკია „აქ“ ცხოვრებისთვის. სხვების არც პროგრამები იციან, არც კანდიდატები. ქართულ არხებს ვერ უყურებენ, მშობლიურ ენაზე კი ინფორმაცია არ აქვთ.

თათია ხალიანი
33.26

უსხოეთი

ოვალური კაბინეტი მსოფლიოს ფოკუსში

აშშ-ის საარჩევნო მარათონი დასასრულს მიუახლოვდა. 8 ნოემბერს აშშ-ში 45-ე პრეზიდენტს აირჩევენ. ვინ გაატარებს მომდევნო 4 წელიწადს თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში? – ეს აშშ-ის მოქალაქეებთან ერთად მთელ მსოფლიოშიც აღელვებთ.

ლევან ახალაია
33.06

ჯანდაცვა

საშიში სათამაშოები

ტყვია, ვერცხლისწყალი, კადნიუმი, ნიკელი – ეს იმ ნივთიერებების არასრული ჩამონათვალია, რომელიც „მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების ელიმინაციის გლობალურმა ქსელმა“ (IPEN) ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში სათამაშოების უსაფრთხოების შემოწმებისას აღმოაჩინა.

ნათია ამირანაშვილი
33.50

გიო ახვლედიანი

უსემოდ

მრავალტანჯული ინგლისის ნაკრები კვლავ უმწვრთნელოდაა. თუკი რამეა სერიალი, სხვანაირად რომ ვთქვათ, საპნის ოპერა, პირველ რიგში სწორედ ინგლისის საფეხბურთო ნაკრები, რომელმაც სწორედ ამ ზაფხულს მორიგჯერ მოიჭრა თავი ევროპის ჩემპიონატზე

ლევან ბერძენიშვილი

ლიტერატურა, როგორც LINGUA FRANCA

სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ეპოქაში, ლინგვა ფრანკა სხვადასხვაგვარი იყო. ხმელთაშუა ზღვის აუზში არსებობდა ლინგვა ფრანკა, რომელიც ფრანგულის, იტალიურის, ბერძნულის ელემენტებს შეიცავდა და ამ საერთო ენაზე ვაჭრობის ამბებში ჩართული ადამიანები საუბრობდნენ.

გიორგი კეკელიძე

ბაბუა

ბაბუაჩემმა თავი წვიმიან დღეს ჩამოიხრჩო. მე ვნახე და მზერა ამარიდებინეს, მაგრამ დაკრძალვის დღეს დავაკვირდი და ცალი თვალი ჩავარდნილი ჰქონდა – ის, რომელიც სტკიოდა და ვერ ხედავდა. და პირი მკაცრად მოკუმული, ნერვიულად – თითქოს გვიბრაზდებოდა.

> სპექტაკლში გამოყენებულია არა მხოლოდ ესქილეს ტრაგედიის ფრაგმენტი, არამედ, ბრიტანელი მწერლის, სცენარისტისა და რეჟისორის, კლაივ ბარკერის ტექსტი და ასევე, თანამედროვე ამერიკელი დრამატურგისა და სცენარისტის, კრისტოფერ ბოალის ტექსტის ფრაგმენტი.



დავით ბუხრიკიძე

„პრომეთეს“ გარდა(ა)მოხსნა

პრემიერა შეკითხვებს უფრო ბადებს და პუბლიკას მზა რეცეპტებს არ სთავაზობს. მაინც როგორ შეიძლება დღეს გავიაზროთ „პრომეთე“- როგორც გაბედული და გულახდილი პუბლიცისტური არტი? რეფლექსია უკვე ნაცნობ სოციალურ, „წყევლა-კრულვიან“ საკითხავზე?

ბლოგი

ბასტი მგალობლიშვილი

ლ გ ბ ტ, ანუ - „აუჰ“, „ჰმ“, „აჰაა“, „მმმ“...

ლგბტ ადამიანების პრობლემები მხოლოდ ერთი პარტიის წინასაარჩევნო პროგრამაშია ნახსენები. რამდენიმე დღის წინ გადავწყვიტე, წინასაარჩევნო პროგრამით თუ ვერა, უშუალოდ პოლიტიკოსებისგან გამეგო ამ საკითხზე პარტიათა პოზიციების შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



წიგნიერების ევოლუცია

ლევან
ბერძენიშვილი

შეიძინეთ
„ლიბერალის ბიბლიოთეკის“
მეორე წიგნი

გამომცემლობა „არტანუჯი“

ლიბერალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოვალური კაბინეტი მსოფლიოს ფოტოსში

ლევან ახალაია

აშშ-ის საარჩევნო მარათონი დასასრულს მიუახლოვდა. 8 ნოემბერს აშშ-ში 45-ე პრეზიდენტს აირჩევენ. ვინ გაატარებს მომდევნო 4 წელიწადს თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში? – ეს აშშ-ის მოქალაქეებთან ერთად მთელ მსოფლიოშიც აღელვებთ. საილუსტრაციოდ ის მონაცემებიც კმარა, რომელიც ამერიკულმა სოციოლოგიურმა კომპანია „ნილსენმა“ პრეზიდენტობის კანდიდატების პირველი დებატების შემდეგ გაავრცელა. ჰილარი კლინტონისა და დონალდ ტრამპის სატელევიზიო დუელი 80,9 მილიონმა მაყურებელმა იხილა. 1980 წელს ჯიმი კარტერისა და რონალდ რეიგანის დებატების შემდეგ ეს რეკორდული შედეგი აღმოჩნდა. ამას ემატება მილიონობით ადამიანი, რომელმაც დებატები ინტერნეტით ნახა.

ისევე, როგორც ყველა სხვა საჯარო გამოსვლისას, აშკარად გამოჩნდა, რომ პრეზიდენტობის კანდიდატებს რადიკალურად განსხვავებული დაპირებები, მიდგომა და ხასიათი აქვთ, რაც 2016 წლის არჩევნებს ასე დაძაბულსა და საინტერესოს ხდის. აშშ-ის პრეზიდენტობის მსურველთა განცხადებებს სხვა სახელმწიფოების მთავრობის წევრები და დიპლომატები ყოველთვის ყურადღებით აკვირდებიან. დღეს ინტერესი გაორმაგებულია, რადგან მრავალი წლის განმავლობაში პირველად ერთ-ერთ კანდიდატს აშშ-ის ტრადიციული საგარეო პოლიტიკური კურსისგან სრულიად განსხვავებული ხედვა აქვს.

საქართველო _ ორივე პარტიის პროგრამაში

მილიარდერი ტრამპიც და ყოფილი სახელმწიფო მდივანი კლინტონიც – ორივე ნამყოფია საქართველოში. ცნობილი ბიზნესმენი ბათუმში 2012 წელს ჩამოვიდა, რამდენიმე თვეში კი შავი ზღვის სანაპირო უკვე აშშ-ის დიპლომატიური უწყების მეთაურმა მოინახულა. ეს, რა თქმა უნდა, არ არის მთავარი, თუმცა ერთ-ერთი გასათვალისწინებელი დეტალია. უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანი ფაქტი ის არის, რომ საქართველო როგორც დემოკრატიული, ისე რესპუბლიკური პარტიის მიერ ივლისში დამტკიცებულ წინასაარჩევნო პლატფორმაში მოხვდა. დემოკრატების შემთხვევაში საქართველო უკრაინასთან ერთად არის ნახსენები და დახასიათებულია სახელმწიფოდ, რომელიც NATO-სა და ევროპასთან დაახლოებას ცდილობს და ამ გზაზე ვაშინგტონის მხარდაჭერის იმედი უნდა ჰქონდეს. რესპუბლიკელების პლატფორმაში კი საქართველოც და უკრაინაც მოხსენიებულია ქვეყნებად, რომლებსაც კრემლის რეპრესიული პოლიტიკა საფრთხეს უქმნის და ნათქვამია, რომ ძალის გამოყენებით ტერიტორიულ ცვლილებებს აშშ არ შეეგუება. ის, რომ მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი პარტიების წინასაარჩევნოდ შემუშავებულ ორ დოკუმენტში საქართველო ფიგურირებს, შეიძლება დიპლომატებისა და მთავრობის წარმატებად ჩაითვალოს, თუმცა აქვე ისიც თამამად უნდა ითქვას, რომ ორივე ჩანაწერი დიდწილად რუსეთის მიერ ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსიისა და შემდგომ უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე გააკეთეს. მთავარი მაინც შედეგია.

კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც კვლავ რუსეთთან არის დაკავშირებული და საქართველოს ეხება, აშშ-ის 2017 წლის სამხედრო ბიუჯეტია. კომიტეტში ორი მოსმენით მიღებული კანონპროექტი რუსეთის აგრესიის შეკავებისთვის ხარჯის გაითხმაგებას ითვალისწინებს. 3.4-მილიარდდოლარიანი დაფინანსების დიდი ნაწილი აშშ-ის აღმოსავლეთ ევროპელი მოკავშირეების თავდაცვითი პოტენციალის გაზრდაზეა გათვლილი, თუმცა პენტაგონის მიერ შემუშავებული ინიციატივა სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და დიპლომატიურ მხარდაჭერას ითვალისწინებს ისეთი ქვეყნებისთვისაც, როგორებიცაა საქართველო, უკრაინა და მოლდოვა. აღსანიშნავია, რომ ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როდესაც პროექტს ორივე – რესპუბლიკელი და დემოკრატი კანონმდებლებიც მხარს უჭერენ.

მიუხედავად ამისა, არჩევნების შემდეგ შეიძლება ბევრი რამ შეიცვალოს. განსაკუთრებით მაშინ, თუ აშშ-ის მოქალაქეები პრეზიდენტად დონალდ ტრამპს აირჩევენ.

ფინანსები და NATO

დონალდ ტრამპის მოსაზრებებს აშშ-ის საგარეო პოლიტიკაზე წინასაარჩევნო კამპანიის დროს როგორც დემოკრატების, ისე გავლენიანი რესპუბლიკელების კრიტიკა არაერთხელ მოჰყვა. უმთავრესი თეზისი, რომელსაც ტრამპი ხშირად იმეორებს, არის - „ამერიკა უპირველეს ყოვლისა“. ის ხშირად ამბობს, რომ აშშ-ს ახლო აღმოსავლეთის რეგიონის განვითარებაში საკმარისზე მეტი თანხა აქვს დახარჯული, რომ პარტნიორები ვაშინგტონისაგან მხარდაჭერას მოითხოვენ და საზღაურს არ იხდიან, რომ NATO-ს დაფინანსებას აზრი არ აქვს, რადგან ის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ეფექტიანი არ არის. „აშშ ვერ იქნება მსოფლიოში წესრიგის დამცველი პოლიციელი. ბოდიში, ჩვენ სამშობლოს უნდა მივხედოთ“ – აცხადებს ნიუ იორკელი მილიარდერი.

ყველა ასეთი განცხადება წინააღმდეგობაში მოდის იმ ვალდებულებებთან, რომელიც აშშ-ს წლების განმავლობაში არაერთი ქვეყნის წინაშე აქვს აღებული და თავდაყირა აყენებს ვაშინგტონის მიერ წლების განმავლობაში გატარებულ თანმიმდევრულ და პროგნოზირებად საგარეო პოლიტიკას. უკრაინასა და სირიაში მოსკოვის აგრესიული ნაბიჯების ფონზე, ტრამპისგან რუსეთის პრეზიდენტის ქება კი აშშ-ის ყველაზე ახლო ევროპელ მოკავშირეებთან ერთად საქართველოშიც არ სიამოვნებთ. უკრაინაში განსაკუთრებით შეშფოთებას ყირიმის ანექსიასთან დაკავშირებით ტრამპის ორაზროვანი პოზიცია იწვევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჰილარი კლინტონის შემთხვევაში ყველაფერი გაცილებით იოლი ჩანს. ყოფილ სახელმწიფო მდივანს მსოფლიოში კარგად იცნობენ და მისი ნაბიჯების პროგნოზი, წესით, უფრო ადვილი უნდა იყოს. მეტიც, ბევრი მიიჩნევს, რომ კლინტონი ბევრ სადავო საკითხზე მუშაობის დროს ბარაკ ობამაზე გაცილებით გაბედული და აქტიური იქნება. თუმცა დემოკრატების კანდიდატსაც აქვს სუსტი წერტილები. აშშ-ში დღემდე ყველას კარგად ახსოვს 2012 წელს ლიბიის ქალაქ ბენღაზიში მომხდარი ტრაგედია, რომელსაც აშშ-ის ელჩის კრისტოფერ სტივენსის სიცოცხლე შეეწირა. მართალია, კლინტონი ამ საქმიდან „მშრალი გამოვიდა", მაგრამ ფაქტია, რომ პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაციამ და სახელმწიფო დეპარტამენტმა აშშ-ის მოქალაქეთა სიცოცხლის გადარჩენა ვერ შეძლო. ეს „შავი ლაქა" ჰილარი კლინტონის კარიერაში ერთადერთი არ ყოფილა.

30 ათასი ელექტრონული წერილი

აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივნის მიერ პირადი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი ათასობით სამუშაო წერილის გამო, ჰილარი კლინტონს ფედერალურ საგამოძიებო ბიუროში დაკითხვაზე მისვლა და კონგრესმენების შეკითხვებზე პასუხის გაცემა არაერთხელ მოუწია. კანონით აშშ-ის მაღალი თანამდებობის პირი ასეთი მიმოწერისთვის სამსახურებრივ ფოსტას უნდა იყენებდეს, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, სახელმწიფო დეპარტამენტში მუშაობის დროს კლინტონს ასეთი საერთოდ არ ჰქონია. მიუხედავად ამისა, საბოლოოდ გამოძიებამ გადაწყვიტა, ყოფილ პირველ ლედის ბრალი არ წაუყენოს, თუმცა აღნიშნა, რომ კლინტონი და მისი თანამშრომლები საიდუმლო ინფორმაციას გაუფრთხილებლად ექცეოდნენ.

საინტერესოა, რომ ელექტრონული მიმოწერის გარშემო აგორებულ სკანდალში ფიგურირებდა საქართველოც. კერძოდ, საუბარია 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდზე, კონკრეტულად კი, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრისა და იმ დროს ოპოზიციის ლიდერის, ბიძინა ივანიშვილის წერილზე. 2015 წელს Gawker რუმინელი ჰაკერის მიერ მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით წერდა, რომ ივანიშვილის აღნიშნული გზავნილი თან ახლავს ვრცელ საინფორმაციო წერილს, რომელიც კლინტონს თანაშემწე სიდნი ბლუმენტალმა 2012 წლის სექტემბერში გაუგზავნა. ამ წერილში ივანიშვილი მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკას აკრიტიკებს, რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების უპირატესობაზე საუბრობს და აშშ-ის სახელმწიფო მდივანს მხარდაჭერისკენ მოუწოდებს. გამოცემა ასევე ამტკიცებდა, რომ კლინტონის თანაშემწე სიდნი ბლუმენტალი უკანონოდ ლობირებდა ივანიშვილის ინტერესებს, რაც აშშ-ის კანონმდებლობის დარღვევაა. აღსანიშნავია ისიც, რომ მანამდე, 2012 წლის ივნისში, ივანიშვილმა ღიად განაცხადა, რომ საქართველოში ვიზიტით მყოფ კლინტონთან შეხვედრა სურდა, თუმცა მოლაპარაკებები არ შედგა.

ყოფილი სახელმწიფო მდივნის მიერ პირადი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი წერილები აშშ-ში წინასაარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემაა, რის გამოც სატელევიზიო დებატების დროს „დემოკრატიული პარტიის" კანდიდატს ბოდიშის მოხდა კიდევ ერთხელ მოუწია. სავარაუდოდ, ამ საქმის განხილვა კვლავ გაგრძელდება, ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ იუსტიციის დეპარტამენტი კლინტონის წერილების გასაჯაროებას გადაწყვეტს.



საიმიგრაციო პოლიტიკის ორი მხარე

აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატების პროგრამის კიდევ ერთ მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც საქართველოს მოქალაქეებსაც აწუხებთ, საიმიგრაციო პოლიტიკაა. ობამას ადმინისტრაცია დიდი ხნის წინ გამოვიდა გეგმით, რომელიც აშშ-ში არალეგალურად მცხოვრები მიგრანტების დიდი ნაწილისათვის ქვეყანაში ცხოვრებისა და მუშაობის უფლების მინიჭებას ითვალისწინებს. კერძოდ, საქმე ეხება იმ მიგრანტებს, რომლებიც აშშ-ში 5 წელიწადზე მეტი ხანია, ცხოვრობენ და შვილი ჰყავთ, თუმცა ეს ინიციატივა ჯერ სენატმა უარყო. მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა კონგრესის წინააღმდეგობა დაძლია, რეფორმა დაბლოკა უზენაესმა სასამართლომ, სადაც აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილება უბრალოდ ვერ მიიღეს. მოსამართლეთა ხმები ორად გაიყო და მილიონობით მიგრანტის ბედი ამ დრომდე არ გადაწყვეტილა.

ჰილარი კლინტონი აცხადებს, რომ მისი გამარჯვების შემთხვევაში, საიმიგრაციო რეფორმაზე მუშაობას აუცილებლად გააგრძელებს. შეძლებს თუ არა ის ობამას გეგმის რეალიზაციას, რთული სათქმელია, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც რეფორმას 26 შტატის ხელისუფლება ეწინააღმდეგება.

რაც შეეხება დონალდ ტრამპს, მისი შეხედულებები მიგრანტებზე საყოველთაოდ ცნობილია. მისი იდეა, მექსიკის საზღვარზე კედელი ააშენოს, არაერთმა ცნობილმა პოლიტიკოსმა და ავტორიტეტულმა ორგანიზაციამ გააკრიტიკა. მიუხედავად ამისა, მილიარდერი კვლავ აცხადებს, რომ ყველა არალეგალის დეპორტაციას აპირებს და ამისთვის სპეციალურ დანაყოფსაც კი შექმნის. ტრამპი ასევე გამოდის წინადადებით, გაუქმდეს წესი, რომლის მიხედვითაც აშშ-ში დაბადებული ბავშვი ავტომატურად ხდება მოქალაქე.

რესპუბლიკელი კანდიდატის გეგმებში შედის აშშ-ში ჩასვლის მსურველთა დამატებითი შემოწმების შემოღება, მისივე თქმით, ვინც ლიბერალურ ღირებულებებს არ ეთანხმება და „იდეოლოგიის ტესტს“ ვერ ჩააბარებს, აშშ-ში არ უნდა შეუშვან.

მართალია, აშშ-ის პოლიტიკური სისტემა და კანონმდებლობა არ აძლევს პრეზიდენტს უფლებას, გადაწყვეტილებები ერთპიროვნულად მიიღოს, მაგრამ ქვეყნებს შორის ორმხრივი ურთიერთობები დოკუმენტებისა და ხელშეკრულებების გარდა, ხშირად ლიდერებზეა დამოკიდებული. ასე რომ, აშშ-ის მოქალაქეების არჩევანს 8 ნოემბერს მთელი მსოფლიო განსაკუთრებული ინტერესით დააკვირდება.

პრეზიდენტის მაქსიმა

ფოტო: ალეკო ფალავანდიშვილი

ხაზგასმული თავაზიანობით აღჭურვილი დაცვის ორი თანამშრომელი დაკიდული დერეფნით, რომლიდანაც ძველი თბილისის ხედი იშლება, კაბინეტამდე მოგვყვება. პრეზიდენტი სასახლეში რომის პაპის გაცილებიდან 10 წუთში გვიღებს. ისე, რომ ჩემი სავარძლის უკან ჯერ კიდევ ვატიკანის თეთრ-ყვითელი დროშა კიდია. ქვეყნის პირველი პირი ცდილობს, გადატვირთული გრაფიკით გამოწვეული დაღლილობა არ შეიმჩნიოს. საუბარს წინასაარჩევნო თემატიკით, სტანდარტული მანერებით ვიწყებთ, თუმცა, როდესაც ინტერვიუ ღრმავდება და საუბარი ეხება ქრისტიანობის მორალს, ეთიკურ დილემებს, ვოლტერის სენტენციებს, კანტის მაქსიმებს, პრეზიდენტი უფრო ცოცხლდება, სავარძელს კომფორტულად ირგებს, და აშკარად ეტყობა, თავს გაცილებით უკეთ იგრძნობდა, ჰალსტუხი რომ არ აწუხებდეს...

ქართული ჟურნალისტიკის საუკეთესო ტრადიციებით თუ ვიხელმძღვანელებთ, ახლა მე თქვენ უნდა გკითხოთ, ვის აძლევთ ხმას 8 ოქტომბერს, თქვენ კი უნდა მიპასუხოთ, რომ ხმას აძლევთ საქართველოს მომავალს, კეთილდღეობას და აღმშენებლობას, მაგრამ მოდით, გადავუხვიოთ ამ ტრადიციას და ცოტა უცნაური კითხვით დავიწყებ: **საერთოდ, რატომ უნდა წავიდეთ არჩევნებზე? თქვენ ჩართული ხართ კამპანიაში, სადაც განსაკუთრებით ახალგაზრდებს მოუწოდებთ, არ გამოტოვონ არჩევნები. მახსოვს თქვენი ფრაზაც – „შესაძლოა, არ მოგწონდეთ რომელიმე პარტია, მაგრამ არ შეიძლება, არ გიყვარდეთ სამშობლო...“ რატომ არ შეიძლება, გვიყვარდეს სამშობლო ისე, რომ არ მივიღოთ არჩევნებში მონაწილეობა?**

თეორიულად, რა თქმა უნდა შეიძლება. სამშობლო ნამდვილად უყვარდათ ჩვენს წინაპრებს, რომლებიც არჩევნებზე არ მიდიოდნენ და მონღოლებს ებრძოდნენ ხმლით ხელში. დღესაც შესაძლებელია, გიყვარდეს სამშობლო და არ მონაწილეობდე არჩევნებში, მაგრამ, ჩემი აზრით, ასეთ შემთხვევაში, ვერ ხვდები, რა ვითარებაში ვართ.

საქართველო არის დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფო, ეს დემოკრატიულობა ნიშნავს იმას, რომ თითოეული ჩვენგანი ვასრულებთ ჩვენს მოქალაქეობრივ ვალდებულებას და როგორც ერი ვქმნით ამ სახელმწიფოს. სახელმწიფოს შექმნის ერთ-ერთი ფორმა არის არჩევნები. არჩევნებზე მისვლით დემოკრატიულ პროცესს ამუშავებ. შესაბამისად, თუ გიყვარს თანამედროვე საქართველო, როგორც დემოკრატია, გიყვარს იმ ფორმით, რასაც თავისუფალ ადამიანთა თავისუფალი საზოგადოება ჰქვია, მისი შექმნა სხვაგვარად ძნელი წარმოსადგენია.

არსებობს კანტის მაქსიმა: ისე უნდა მოექცე სხვას, რომ შენი საქციელი გახდეს მაქსიმა და, შესაბამისად, მთელი სამყაროც მოგექცეს შენ ისე, როგორც გსურს. ვთქვათ, არ მიდიხარ არჩევნებზე, არც შენი მეგობარი, არც მისი მეზობელი, არავინ, ვისაც იცნობ. წარმოვიდგინოთ, რა კატასტროფის წინაშე დადგება ქვეყანა.

ამ კამპანიაში რატომ აკეთებთ განსაკუთრებულ აქცენტს ახალგაზრდებზე?

როცა დავაკვირდით რამდენიმე სოციოლოგიურ გამოკვლევას, დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ საზოგადოების სწორედ ეს ნაწილია უფრო პასიური, სამწუხაროდ.

ხომ არ გიფიქრიათ მიზეზებზე – რატომ?

ამას გაანალიზება სჭირდება და ახლა ვერ გიპასუხებთ. ჩვენ, უბრალოდ, ვნახეთ შედეგები. ერთი მხრივ, ცუდია, რომ შენი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის ჩართული პოლიტიკაში და, მეორე მხრივ, გარკვეული პოზიტიური ნიშნებიც დავინახე, ეს პოზიტივი მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ ახლა ერთი პოლიტიკური კულტურიდან, პოსტსაბჭოთა, ორ ბანაკად დაყოფილი, რადიკალიზებული კულტურიდან, მივდივართ უფრო რბილი, ევროპული პოლიტიკური კულტურისკენ. და ამ კულტურაში, როგორც წესი, განსაკუთრებული მობილიზაცია არ ხდება. ისეთი განცდა, რომ არჩევნები ბრძოლაა, სადაც ან ერთი ბანაკი გადარჩება, ან მეორე, აღარ არსებობს. ეს კარგია.

ამომრჩეველი შეეჩვია, რომ არჩევნები არის არმაგედონი, ბრძოლა საბოლოო ჭეშმარიტებისთვის. არადა, არჩევნები ჩვეულებრივი პოლიტიკური პროცესია, უკეთესი, მაღალი ხარისხის პოლიტიკურ რეალობამდე მისვლის შესაძლებლობა.

ფიქრობთ, რომ არმაგედონის განცდა აღარ არსებობს? წინასაარჩევნოდ მაინც ხდება ინციდენტები, გავიხსენოთ კორცხელი. კმაყოფილი ხართ სამართალდამცავი სტრუქტურების რეაგირებით ამ კონკრეტულ ინციდენტზე?

ბუნებრივია, რომ მე უფრო ეფექტიან და ოპერატიულ რეაგირებას ველოდი.

ამასთან ერთად, დღევანდელი რეალობა არ გულისხმობს საბოლოო ბრძოლას. ჩვენ წელს პირველად ვატარებთ არაორპოლუსიან არჩევნებს, სადაც ტემპერატურა და ემოციები მაღალი არ არის. ეს არის ახალი გამოცდილება როგორც ამომრჩევლისთვის, ისე პოლიტიკოსებისთვის.

პარტიების პროგრამებს იცნობთ?

ასე ცალ-ცალკე არა. მე მაწვდიან ხოლმე პროგრამების მიმოხილვებს. ბოლო დროს მედიაში, სხვადასხვა არხზე, აქტიური განხილვა დავინახე. სხვადასხვა ფორმატში, სხვადასხვა გადაცემაში. სხვადასხვა კონფიგურაციით. და მომეწონა. მედია ძალიან კვალიფიციურად მუშაობს იმისთვის, რომ წარმოაჩინოს ეს პროგრამები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედია ახსენეთ... თავისუფალია მედიაგარემო? შეგახსენებთ სასამართლო განხილვებს...

მხოლოდ ამ პროცესებზე არ გავამახვილებდი ყურადღებას. შარშან ზაფხულიდან მოყოლებული არაერთ მედიასთან დაკავშირებულ კითხვისნიშნიან შემთხვევებს ვადევნებთ თვალს. გაათავისუფლეს ჟურნალისტები, დაიხურა გადაცემები. ჟურნალისტები ერთი არხიდან მეორეზე გადადიან. მიმდინარეობს ბიზნესსამართლებრივი დავები... ვერ ვიტყვით, რომ ეს ყველაზე სასურველი ფონია მედიის ეფექტიანი საქმიანობისთვის.

თუმცა, მეორე მხრივ, რომ უყურებ მედიასპექტრს, მაინც დადებითი შთაბეჭდილება გრჩება, ჟურნალისტები მუშაობენ კარგად; ჩნდება სხვადასხვა არხი, სხვადასხვა გადაცემა. ერთია, როდესაც ჩვენ ვიცით შიდა დინამიკა და პროცესები, და მეორეა, როცა შეხედავ ამ ცოდნის გარეშე ქართულ მედიასივრცეს, მომხმარებლის თვალით, და ნახავ, რამდენ არხზე შეგიძლია გადართვა, რამდენი ტოქშოუს ხილვა. ხვდები, რომ, ამ თვალსაზრისით, მედია ღიაა და საარჩევნო პროცესის ამთვისებელი.

მაგრამ საქმე სწორედ ამ ცოდნაშია. თუნდაც რომ გავიხსენოთ „იმედის", საზოგადოებრივი მაუწყებლის და „ჯიდიესის" ერთობლივი მზადება ეგზითპოლებისთვის. მეორე მხრიდან ემზადება „რუსთავი 2-იც"...

ცალ-ცალკე პროცესებს დეტალურად ვერ გავარჩევ. აქ ერთადერთი შემიძლია, გამოვყო საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელიც იმედი მაქვს, შეძლებს, რომ მედიასიმპათიების რთულ რელიეფში თამასა არ დააგდოს, რადგან მედიაჰოლდინგები არის ბიზნესი, მათ აქვთ თავიანთი კავშირები, თავიანთი მიდრეკილებები, დაფინანსების წყაროები. რაც შეეხება საზოგადოებრივ მაუწყებელს, ეს არის თითოეული მოქალაქის ჯიბიდან დაფინანსებული ტელეკომპანია.

წინასაარჩევნოდ გააქტიურდა რეფერენდუმის საკითხი, რომელიც ეხებოდა კონსტიტუციაში ქორწინების განსაზღვრების ასახვას. თქვენ ამ რეფერენდუმის დანიშვნაზე უარი თქვით და არგუმენტად დაასახელეთ ოკუპირებული ტერიტორიები, და საფრთხე იმისა, რომ ამ ვითარებაში რეფერენდუმის გამართვა დამატებით არგუმენტებს აძლევს ოკუპანტს. ეს იყო თქვენი ძირითადი არგუმენტი რეფერენდუმის არდასანიშნად?

მათ შორის...

შეგვიძლია, საკითხი განვავრცოთ?

სხვა არგუმენტებიც მოვიყვანე. სამართლებრივ ნაწილს რომ დავანებოთ, ეს საკითხი დარეგულირებულია კანონმდებლობის მიხედვით, ჩნდებოდა კითხვა, რა განაპირობებს ამ საკითხის ასე მაღლა აწევას? აქ არგუმენტირებული პასუხი არ მომისმენია. პრინციპში, მე არც შევსულვარ ინტენსიურ დიალოგში, რაკიღა ვერ ვხედავდი ვერანაირ ლოგიკას,

კარგი, დაგიზუსტებთ: ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს ლოგიკა მდგომარეობდა საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების სურვილში?

მე არ მსურს, რომ სხვა ადამიანის ნაცვლად ვისაუბრო. კი, იყო ეჭვები, რომ ეს გახლდათ საარჩევნოდ მომზადებული თემატიკა, რომ არჩევნების წინ გვესაუბრა არა დასაქმებაზე, არა სასამართლო რეფორმაზე, დეოკუპაციაზე... არამედ ამაზე, რაკიღა ეს იქნებოდა სარეფერენდუმო თემა, ასეთი ეჭვი იყო, კი, თუმცა მე ვერ დაგიდასტურებთ, რადგან სხვა ადამიანის მაგივრად უნდა ვილაპარაკო და ეს არ მინდა.

რაკიღა საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებას შევეხეთ... ჩვენ თვალყურს ვადევნებთ წინასაარჩევნო პერიოდს, სადაც აქტიურად ვაწყდებით სენსიტიური თემებით, ქსენოფობიით, ჰომოფობიით ამომრჩეველთა ყურადღების მიზიდვის მცდელობებს... არ ფიქრობთ, რომ ეს მნიშვნელოვანი საფრთხეა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებისთვის?

ჩემი აზრით, ნებისმიერი აგრესია მნიშვნელოვანი საფრთხეა. შესაძლოა, არ იყოს არც ქსენოფობიური, არც ჰომოფობიური, მაგრამ იყოს, მარტივად, აგრესიული მეორე ადამიანის მიმართ.

სამწუხაროდ, ამ საარჩევნო კამპანიაში ჯერ კიდევ ვხედავთ პოლიტიკოსებს, რომლებიც იმაზე კი არ საუბრობენ, რას გამიკეთებენ მე, როგორც ამომრჩეველს, მესაუბრებიან მეორე ადამიანზე, მესაუბრებიან ხშირად უხეშად, უზრდელურად, ჭორაობის დონეზე, ყვირილით, ლანძღვით... როგორც ამომრჩეველს, იმის ნაცვლად, რომ პოლიტიკოსი მესაუბროს არსებული პრობლემებიდან გამოსავალზე, მაგალითად, იმაზე, როგორ შეიძლება სასამართლო სისტემა იყოს უკეთესი, მესმის ვიღაც ადამიანზე გრძელი, განვრცობილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭორი, რომლის უკანაც დგას კიდევ რაღაც კონსპირაცია, ეს ყველაფერი იფუთება ლანძღვის, სიძულვილისა და აგრესიის ენით.

კი ვუყურებ ამას, მაგრამ არაფერი არ მრჩება. ასეთი აგრესიით სავსე კამპანია თავისთავად დესტრუქციულია და მას არაფრისკენ მივყავართ,

თუმცა მრჩება შთაბეჭდილება, რომ ეს დროებითია და ცოტა ხანში პოლიტიკოსები მიხვდებიან, რომ სხვა ადამიანების ლანძღვასა და ჭორაობაზე ეფექტიანი პირდაპირი საუბარია ამომრჩეველთან.

პოლიტიკოსებს თუ რამე საქმე აქვთ ერთმანეთთან, იმის ნაცვლად, რომ ტელეფონით დაურეკონ ან შეხვდნენ, ტელევიზორის საშუალებით ურთიერთობენ. რითაც ჩვენ, ადამიანებს, რომლებიც ამაში საერთოდ არ ვართ ჩართულები, ანუ ამომრჩეველს, ამის ნაწილად გვხდიან. ორ ადამიანს ერთმანეთთან პრობლემა აქვს და მთელი საქართველო უყურებს, ჯერ ერთი როგორ ლანძღავს მეორეს, მერე მეორე არხზე ის უპასუხებს და აი ამ პინგ-პონგს ვუყურებთ ადამიანები, რომლებსაც, სინამდვილეში, გვაინტერესებს, როგორი იქნება უკეთესი საქართველო ხვალ.

მაგრამ სხვა მომენტებსაც ვხედავ, როდესაც საუბარია ამა თუ იმ პროგრამაზე, პროექტზე და ვცდილობ, ერთმანეთის საქმეების გარჩევას ნაკლებად ვუყურო და ის დადებითი მომენტები დავიჭირო, ამას ვურჩევ ამომრჩეველსაც.

თუმცა, ალბათ, პოლიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ ასე იზიდავენ ამომრჩეველს...

კი, იმიტომ, რომ 25 წელია, ასე ხდება.

ცდებიან, თქვენი აზრით?

არა, რაღაც თვალსაზრისით არ ცდებიან. მათი ქცევა მაყურებლის ინტერესს იჭერს, ოღონდ, ინტერესს და არა მხარდაჭერას. კი, როცა ერთი ადამიანი მეორეს შეაგინებს, ჭიქას ესვრის სტუდიაში, გადახტება და თავში რაღაცას ჩაარტყამს, თავისთავად, რადგან ეს უცნაური ქცევაა, ინტერესს იწვევს, მაგრამ მე არ მგონია, რომ ამის გამო მათ ვინმემ მხარი დაუჭიროს.

შედარებით რთულ საკითხზე გადავალ. ჩვენ გვყავს პოლიტიკური ძალები, რომლებიც დეკლარირებენ კოლაბორაციონიზმს ოკუპანტ ქვეყანასთან...

მე გამიჭირდება ასე პირდაპირ თქმა, მაგრამ დავუშვათ მესმის, რასაც ამბობთ...

და ესენი არიან პოლიტიკური ძალები, რომლებიც, ბევრი გამოკითხვის თანახმად, წარმოდგენილნი იქნებიან საქართველოს პარლამენტში, ეს პრობლემად გესახებათ თუ არა?

მოდი, ჩემს ტერმინებში მოვყვები, რომ რაიმე არასწორი, არაკორექტული არ გამომივიდეს. ასე ვთქვათ, რომ ევროსკეპტიკური, ევროატლანტიკური კურსის მიმართ სკეპტიკურად განწყობილ ძალებს...

...მეტისმეტად ევფემისტურ გამოთქმებს ხომ არ იყენებთ?

ნუ, ჩემი თანამდებობიდან გამომდინარე...

კარგი, განვაგრძოთ

მხარდაჭერა მათ აქვთ და, ჩემი აზრით, ასეთი ძალები იქნებიან პარლამენტში. მე ამაში, როგორც ფაქტში, პრობლემას ვერ ვხედავ. ჩემთვის, როგორც პოლიტიკოსისთვის, ერთმნიშვნელოვნად და შეუქცევადად დასავლური ღირებულებები დაფიქსირებული მაქვს. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რა პროცენტი იქნება ამ ძალებისა პარლამენტში და რამდენად ძლიერი იქნება მათი სიტყვა საკანონმდებლო ორგანოში,

რატომ არ არის პრობლემური იმის მიუხედავად, რომ მათი შეხედულებები დიამეტრულად სცდება ჩემსას? პირველი ისაა, რომ მე მართლა მჯერა ევროპული ღირებულებების და მიმაჩნია, რომ დემოკრატია სწორედ ამას ნიშნავს: განსხვავებები უნდა აღიარო. მე, როგორც ევროპული ღირებულებების პოლიტიკოსმა, უნდა ვაღიარო სხვა მიდრეკილებების პოლიტიკოსების უფლებები, მაშინ, როდესაც ეს უფლებები დაცულია დემოკრატიული არჩევნების გზით.

ამის აღიარება ხშირად უჭირთ და მიაჩნიათ რომ არ უნდა მივიღოთ, ეს ნიშნავს, რომ, პრინციპში, შენ არ გჯერა დემოკრატიის, რომ დასაშვებად მიგაჩნია მხოლოდ ის, რაც შენთვისაა მისაღები.

ეს ერთი არგუმენტი, თუ რატომ არაა მიუღებელი ჩემთვის მათი პარლამენტში ყოფნა.

მეორე არგუმენტია ის, რომ არა მარტო მჯერა დემოკრატიული ღირებულებების, არამედ მიმაჩნია, რომ დემოკრატია უსაფრთხოების თვალსაზრისითაც უფრო სტაბილურია. მე მჯერა, რომ როდესაც პოლიტიკოსები იქნებიან პარლამენტში და მათი პოზიცია იქნება დაფიქსირებული, გაცილებით ნაკლებად საშიშები იქნებიან, ვიდრე გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევნილები რომ ყოფილიყვნენ ძალით და ჰქონდეთ უსამართლობის განცდა.

როდესაც დემოკრატია ინკლუზიურია და განსხვავებულს არ ჩაგრავს, ამით მას აქცევს ერთიან სივრცეში და ანეიტრალებს მისგან მომდინარე საფრთხეს.

რა თქმა უნდა, მეც და სხვა პოლიტიკოსებმაც, ვისაც სჯერა დასავლური ორიენტაციის, არა უბრალოდ გეოპოლიტიკურად, არამედ არსებრივად, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ საიმისოდ, რომ დავანახოთ ამომრჩეველს: ევროსკეპტიკური კურსი არის ქვეყნის განირვა უპერსპექტივო მომავლისთვის, მომავლისთვის, როდესაც ჩვენ აღარ გვეყოლება მეგობრები, აღარ გვეყოლება ძლიერი დამცველები. ეს არის მომავალი, რომელშიც ჩვენს მეზობლად არსებულ ქვეყანასთან, რომლის საგარეო პოლიტიკაც ამ ეტაპისთვის ძალიან ხისტი და აგრესიულია თავისი მეზობლების მიმართ, დაგვტოვებს ერთი-ერთზე, მარტო და დაუცველად. ეს ჩვენს ხალხს უნდა დავუმტკიცოთ და ვაჩვენოთ. ეს ჩვენი საქმეა.

აი, ამ ორ ხედვას შორის ღია ბრძოლისას, სადაც გვაქვს ძალიან ძლიერი არგუმენტები თუნდაც ჩვენი ქართული იდენტობიდან, ტრადიციებიდან, ღირებულებებიდან გამომდინარე, თუ ჩვენი მოსახლეობის რაღაც ნაწილში ვერ მივაღწიეთ და ვერ დავარწმუნეთ, რომ გეოპოლიტიკური კურსის ოპონენტები მცდარ გზას ადგანან, მაშინ ისინი წარმოდგენილნი უნდა იქნენ პარლამენტში, ჩვენ ისინი უნდა ავიტანოთ და ამ რეალობაში ვიცხოვროთ. ეს არის ის, რასაც ჰქვია დემოკრატია.

მოდი, ვისაუბროთ მოსახლეობის ნაწილებამდე მიღწევის შესახებ. ფაქტია, საქართველოს ჰყავს დიდი სეგმენტი მოსახლეობისა, რომელიც გამოთიშულია პოლიტიკის შექმნის პროცესიდან. ეს სეგმენტი არის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონები. ასეთი კურიოზული თუ საშწუხარო შემთხვევაც მოხდა, როდესაც მმართველი ძალის საარჩევნო პროგრამა დაბეჭდეს სომხურ ენაზე, აღმოჩნდა, რომ ეს მთლად სომხური არ იყო. ამგვარი შემთხვევები, ალბათ, არასათანადო დამოკიდებულების გამოისობით თუ მოხდება, თორემ სომხური ენის მცოდნის პოვნა რთული არ უნდა ყოფილიყო მმართველი (თუნდაც არამმართველი) პარტიისთვის. თქვენ, როგორც პრეზიდენტი, რას აკეთებთ, რომ ეს ხალხი ჩაერთოს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში?

რასაც ვაკეთებთ და არ მგონია, რომ ეს საკმარისია, არის ქართული ენის კურსები, რომელიც სულ ტარდებოდა, მაგრამ ახლა ამ კურსების შემადგენელი ნაწილი გახდა კონსტიტუცია. სწავლის ერთ-ერთი სახელმძღვანელო კონსტიტუციაა.

მე ხშირად დავდივარ რეგიონებში. ვფიქრობ, აქ მთავარია, სწორად გავიაზროთ პოლიტიკური პროცესი. ძალიან ბევრმა პოლიტიკოსმა ერთმანეთთან ტელევიზორით საუბარს რომ თავი დაანებოს და ამომრჩეველზე ფიქრი დაიწყოს, მიხვდებოდა, ხმების რამხელა კლონდაიკია ეს რეგიონები. რა საინტერესო იქნებოდა, 3, 4, 6 თვე რომ გადასულიყვნენ აქ საცხოვრებლად, ამ ხალხთან ერთად. მოეშვან კოლეგებთან ტელევიზორით საუბარს და ტელეფონით იკმარონ ერთმანეთის ლანძღვა, და ათიათასობით ხმის შანსია. ძალიან ცოტაა მათთან უშუალო კონტაქტზე, ეს ფაქტობრივად ხმების ალიასკაა. ხომ აღარ გვაქვს ვითარება, როდესაც ამ ადამიანებს რამეს აძალებენ? მინდა, გაგახსენოთ ჩემი არჩევნები, პირველი საპრეზიდენტო არჩევნები, როდესაც ამ რეგიონებიდან, აზერბაიჯანული და სომხური უმცირესობიდან არ წამოსულა ხმების 90%. 50-50% ავკრიფე. ეს ნათლად აჩვენებდა, რომ ლოკალური პრესი აღარ არსებობს. ეს ხალხი ახლა არჩევანში თავისუფალია. აქ რომ ზიხარ და ყველაფერზე კომენტარს აკეთებ, მოწყდი თბილისს, ჩადი მათთან.

როცა ამას გაიაზრებენ და ტელევიზიით ერთმანეთის ლანძღვა მოსწყინდებათ, დაიწყება საინტერესო პროცესები, საინტერესო შედეგების მომტანი მათთვისვე.

ინტერვიუს დაწყებამდე საქართველოს პატრიარქსა და რომის პაპთან ერთად გამოიარეთ გზა აეროპორტიდან პრეზიდენტის სასახლემდე და ამ გზაზე აუცილებლად შენიშნავდით მოქალაქეებს საპროტესტო ტრანსპარანტებით. ისინი პაპის ვიზიტს ეწინააღმდეგებიან და მიაჩნიათ, რომ ეს ფაქტი დამღუპველია ქართველთა სულიერებისთვის. მოკლედ, ჩვენ ვიცით, რომ გვყავს რაღაც ნაწილი საზოგადოებისა, რომლისთვისაც ამოსავალი ფუნდამენტალისტური ღირებულებებია. რამდენად ორგანიზებულად, ძლიერად და საფრთხის მატარებლად მიიჩნევთ ამგვარ ჯგუფებს ქვეყნის პოლიტიკური დინამიკისთვის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ადამიანებზე რაიმე შეხედულებას არ გამოვხატავ. ეს მათი გამოხატვის თავისუფლება, მათი შეხედულებაა, ეს შეხედულებები რეალობასთან იმდენად არ არის კავშირში, რომ ჩემი საკომენტარო არ არის,

მაგრამ ვფიქრობ, მნიშვნელოვანი დისკუსიაა გასამართი ქართულ საზოგადოებაში იმ საკითხებთან დაკავშირებით, რასაც ჰქვია, მაგალითად, ქრისტიანული ტრადიცია. ეკლესია, ქართული ტრადიციები. ეს მნიშვნელოვანი თემებია, რომლის თაობაზეც, ვფიქრობ, ბევრად მეტი ინტელექტუალური დისკუსია უნდა მიმდინარეობდეს.

მე, მაგალითად, მიმაჩნია, რომ ჩემი ღირებულებითი სისტემა ორ ფუნდამენტურ რამეზეა დამყარებული: ეს არის ქრისტიანობა და ქართველობა. ქართული ტრადიცია ჩემთვის არის ის, რასაც მასწავლის და მეუბნება ვაჟა-ფშაველა მთელი თავისი პოეზიით, რომელსაც აგებს განსხვავებულის აღიარების, აღტაცების, სტანდარტიდან და დოგმიდან გადახვევის ხოტბის შესხმაზე, ვაჟა საუბრობს იმაზე, რომ ვაჟკაცობის ყველაზე მაღალი ფორმა არის გულჩვილობა, სხვისი აღიარება. ახლა ამის საპირისპიროდ რას მომიტანენ, ძნელი სათქმელია.

თუ ქრისტიანობაზე ვსაუბრობთ, მე ასე მესმის, რომის პაპთანაც მქონდა ეს რეპლიკა – ტეტე-ა-ტეტე, და თქვენც გეტყვით, რომ ადამიანის მთავარი გამოწვევა სულიერი სრულყოფისთვის ვერცხლთმოყვარეობაა, რასაც მამონა ეწოდება და ამპარტავნება – სხვა ადამიანის განკითხვა. როგორც ქართველს მიმაჩნია, რომ სხვა ადამიანის ღირსება უნდა ვაღიარო და ამაში განვახორციელო ჩემი ქართველობა, თუნდაც ჩემი ტრადიციიდან გამომდინარე, როდესაც ვიცი, რომ, მაგალითად, ჩემი წინაპარი 26 საუკუნის განმავლობაში არ დევნიდა ებრაელს. როდესაც ვიცი, რომ ჩემი ყველაზე ძლიერი მეფე, დავით აღმაშენებელი, რომელმაც მთელი ცხოვრება განსხვავებულ რელიგიასთან ომს შეალია, როდესაც თბილისი აიღო, არ ამოუწყვეტია იქ 400 წლის განმავლობაში მყოფი არაბები, ამას მგონია, რომ უნდა მივბაძო,

როგორც ქრისტიანმა, მგონია, რომ პირველ რიგში ჩემს თავზე უნდა ვისაუბრო და არა სხვა განვიკითხო და ველაპარაკო, რომ ასე მოიქეცი, ისე ილაპარაკე, ასე ჩაიცვი და ა.შ. ესაა ქრისტიანობა.

ქართული დიდაქტიკის ფუძემდებელი, ვინც შეგვიქმნა ლექსიკონი, შეგვიქმნა „სიბრძნე სიცრუისა", არ იყო მართლმადიდებელი. ქართული ელიტა იზრდებოდა კათოლიციზმმიღებულ სულხან-საბა ორბელიანზე ხომ? აი, ეს მომენტები სადღაც მიჩქმალულია.

ეს გასაგებია რომ ასეა. მე გელაპარაკებით რეალობასა და პოლიტიკაზე, ანუ რამდენად გრძნობთ ფუნდამენტალისტურად განწყობილი ხალხის, თუ ამა თუ იმ ძალის გავლენას პოლიტიკაზე, თუნდაც არჩევნებზე...

ის იქნება გამომდინარე იქიდან, რამდენადაც ჩვენ ვიქნებით პასიურები, თუნდაც იმავე ქართული ღირებულებებისა და ტრადიციების პროპაგანდაში.

დაბოლოს, გკითხავთ კვლავ არჩევნების თაობაზე, მაგრამ უკვე საგარეო პოლიტიკის კონტექსტში. საპარლამენტო არჩევნებიდან ზუსტად ერთი თვის თავზე თქვენ, როგორც სტრატეგიული პარტნიორის ქვეყნის პრეზიდენტს მოგიწევთ ოვალური კაბინეტის ახალ წარმომადგენლებთან ურთიერთობა. საქართველოსთვის გადამწყვეტია, ვინ იქნება ეს ადამიანი – დონალდ ტრამპი თუ ჰილარი კლინტონი?

საქართველოს სტრატეგიული კურსი ამერიკასა და, ზოგადად, დასავლეთთან განსაზღვრულია ამ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის მიერ. ბუნებრივია, ურთიერთობის დეტალებზე პიროვნული ფაქტორები აუცილებლად ახდენს გავლენას. მიუხედავად იმისა, რომ კარდინალური კურსი ნაკლებად იცვლება ხოლმე, პიროვნული ფაქტორები მნიშვნელოვან როლს თამაშობს, აშშ-სთან ურთიერთობის კურსი დალაგებულია არაერთი დოკუმენტისა და შეთანხმების საფუძველზე. მე არ მგონია, რომ რაიმე კარდინალური შეიძლება შეიცვალოს, თუმცა პიროვნულ ფაქტორებს ექნება მნიშვნელობა და ქართველმა პოლიტიკოსებმა უნდა ვიზრუნოთ, რომ აქტიურად ვიყოთ წარმოდგენილი ვაშინგტონის რადარებზე და ამის წინაპირობა არსებობს არა მხოლოდ პრეზიდენტებიდან გამომდინარე, არამედ იმ ვითარებიდანაც, რაც არსებობს კონგრესსა და სენატში.

ესაუბრა ზურაბ ვარდიაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლაჰიბეების ჯაჯი საქართველოში

შოთა კინწურაშვილი, თეოლოგი

ცნობილი გერმანელი ქრისტიანი თეოლოგისა და კათოლიკე ეკლესიის იერარქის, პაპი ბენედიქტე XVI-ის გადადგომის შემდეგ რომის ეკლესიის მეთაურად კარდინალების კოლეგიამ აირჩია არგენტინელი კარდინალი, ხორხე მარიო ბერგოლიო. რამდენადაც გასაოცარი არ უნდა იყოს, ის პირველი სამხრეთამერიკელი პაპია.

ხორხე მარიო ბერგოლიო – გზა კარდინალობამდე

ბერგოლიოს მშობლები მეოცე საუკუნის დასაწყისში იტალიიდან სამხრეთ ამერიკაში გადავიდნენ საცხოვრებლად. ბერგოლიო თავდაპირველად კოლეჯში ქიმიის ფაკულტეტზე სწავლობდა. მოგვიანებით სასულიერო ცხოვრებით დაინტერესდა და 1958 წელს იეზუიტების ორდენს შეუერთდა. თეოლოგიურ განათლებას ჯერ ჩილეში, შემდგომ არგენტინის დედაქალაქ ბუენოს აირესში ეუფლებოდა. თეოლოგიურ ფაკულტეტზე მისი სწავლის პერიოდი კათოლიკე ეკლესიაში, კერძოდ კი, სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე ქრისტიანული თეოლოგიის ახალი მიმართულების ე.წ. „განთავისუფლების თეოლოგიის“ (Teología de la liberación) აღმოცენებისა და გავრცელების დროს დაემთხვა, რომელიც 1960-იან წლებში საკმაო პოპულარობი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

3/1308

თა და ავტორიტეტით სარგებლობდა. ის ვიწრო საეკლესიო მსახურების გარდა, ღარიბების დაცვას და მხარში დგომას ისახავს მიზნად, იმ ღარიბი ადამიანებისა, რომლებიც პერიოდულად ან სისტემატურად ჩაგვრისა და ექსპლუატაციის ობიექტები ხდებიან სხვადასხვა ქვეყანაში არსებული დიქტატორების, სამხედრო მმართველობისა თუ მდიდარი უმცირესობების მხრიდან. თეოლოგთა ნაწილმა (ძირითადად, მღვდლებმა და ეპისკოპოსებმა), ამ მიმართულებით რადიკალური ხაზი განავითარა, რომელიც არსებული რეალობის რევოლუციური გზით შეცვლას არ გამორიცხავდა. ამ კონტექსტში აქტიურად ხდებოდა ქრისტიანობის ინტერპრეტაცია კარლ მარქსის პოლიტიკურ ფილოსოფიასთან კავშირში. ამის გამო განთავისუფლების თეოლოგების ნაწილი ვატიკანს ღიად დაუპირისპირდა. არსებულ ტრადიციულ

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრანცისკეს სამოძღვრო საქმიანობა აშკარად განიცდის სამხრეთამერიკული ქრისტიანული თეოლოგიის გავლენას. ამის ნათელი მაგალითი მისი მხრიდან სოციალური მსახურების პირადი მაგალითის ჩვენებაა. ხალხთან (მათ შორის, განსხვავებული მსოფლმხედველობის მქონე) ურთიერთობა, ღია საეკლესიო პოლიტიკა, პირადი ასკეზა, უარი ფუფუნებაზე და რეფორმების მცდელობა ვატიკანში.

საეკლესიო შეხედულებებთან თანხვედრის არარსებობისა და ვატიკანის მიერ სასულიერო პირების პოლიტიკაში ჩაურევლობის აკრძალვის დარღვევის გამო, ბევრმა მათგანმა საეკლესიო სასჯელი მიიღო. თეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ბერგოლიო ახალგაზრდობიდანვე აღიარებდა თავისი მასწავლებლის ასევე არგენტინელი „განთავისუფლების თეოლოგიის“ წარმომადგენლის, ლუსიო გერას (Lucio Gera, 1924-2012) შეხედულებებს. გერამ ამ მიმართულების თავისი, არგენტინული ხაზი განავითარა, რომელიც „ხალხის თეოლოგიის“ (Teología del pueblo) სახელით დამკვიდრდა. ქრისტიანული თეოლოგიის ეს კონცეპტიც აღიარებს და მოითხოვს ეკლესიის მხრიდან ღარიბებისა და ჩაგრულების უპირობო მხარდაჭერასა თუ მხარში დგომას, აგრეთვე, მათი უფლებებისათვის ბრძოლას. მხოლოდ ცდილობს, იყოს თავისუფალი მარქსიზმისა და კომუნისტური იდეოლოგიისაგან, რათა კონტინენტზე მიმდინარე სხვადასხვა პროცესის პოლიტიკურ იარაღად არ იქცეს. კარდინალ ბერგოლიოს მოთხოვნით, თეოლოგი ლუსიო გერა დიდი პატივით დაკრძალეს ბუენოს აირესის საკათედრო ტაძრის ეზოში.

საშუალო ფენის ოჯახის შვილი ბერგოლიო სიღარიბესა და ღარიბთა ყოფას უშუალოდ ჩილეში ყოფნისას შეეხო, სადაც, როგორც მასწავლებელი და იეზუიტების ორდენის წევრი, ისე გაგზავნეს. ის ხშირად უგზავნიდა უმცროს დას წერილებს, რომლებშიც ნანახსა თუ განცდილ შთაბეჭდილებებს უზიარებდა. სწორედ ჩილედან გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში წერს ბერგოლიო სიღარიბის შესახებ: „მე ჩილეს ერთ-ერთ პატარა სკოლაში მესამე/მეოთხეკლასელ ბავშვებს რელიგიას ვასწავლი. მოსწავლეები ძალიან ღარიბები არიან. ზოგიერთი სკოლაში ფეხსაცმლის გარეშე მოდის. ხშირად არ აქვთ საჭმელი. ზამთარი და ზამთრის ცივი დღეები მათთვის ყველაზე მტკივნეულია. შენ შეიძლება ეს ვერც კი წარმოიდგინო, ვინაიდან ყოველთვის გაქვს თბილი საჭმელი და ხოლო როცა გცივა, შეგიძლია, მიხვიდე გათბობასთან. მე ამას იმიტომ გიყვები, რომ მსურს, ამაზეც დაფიქრდე... როცა შენ ბედნიერი ხარ, არსებობენ ბავშვები, რომლებიც ტირიან. როცა შენ სახლი გაქვს, ბევრი ცხოვრობს ფარდულში და არ აქვთ ჭერი თავზე.“

33 წლის ბერგოლიო თეოლოგიური განათლების მიღების შემდეგ მღვდლად ეკურთხა. სამღვდელო მსახურებისას იგი ხშირად სტუმრობდა ხოლმე გარეუბნებს და ღარიბი უბნების ე.წ. „ფაველებს“, სადაც საეკლესიო მსახურებას აღასრულებდა. ეპისკოპოსად და მოგვიანებით არგენტინის კარდინალად არჩევის შემდგომ კი ცდილობდა, მღვდლები გაეგზავნა ყველაზე ღარიბ უბნებსა და საპატიმროებში. აგრეთვე, თავადაც ხშირად სტუმრობდა ღარიბი უბნების მოსახლეობას და მათ ოჯახებს. შედეგად ფაველებში სამრევლოების რაოდენობა ორჯერ გაიზარდა და ეკლესიის სოციალურმა პროექტებმაც იმატა. ამავე პერიოდში იგი სათავეში ედგა მსგავს უბნებში რამდენიმე პროექტს, რომლებიც ნარკოდამოკიდებულ ადამიანებს განკურნებაში ეხმარებოდა.

„განთავისუფლების თეოლოგიის“ გავლენა?

ფრანცისკეს სამოძღვრო საქმიანობა აშკარად განიცდის სამხრეთამერიკული ქრისტიანული თეოლოგიის გავლენას. ამის ნათელი მაგალითი მისი მხრიდან სოციალური მსახურების პირადი მაგალითის ჩვენებაა. ხალხთან (მათ შორის, განსხვავებული მსოფლმხედველობის მქონე) ურთიერთობა, ღია საეკლესიო პოლიტიკა, პირადი ასკეზა, უარი ფუფუნებაზე და რეფორმების მცდელობა ვატიკანში. თავად ვატიკანისგან მრავალგზის დასჯილი განთავისუფლების თეოლოგები აღტაცებასა და მხარდაჭერას გამოხატავენ ახალი პაპის ჯანსაღი მოღვაწეობის მიმართ. ნიკარაგუელი განთავისუფლების თეოლოგი ერნესტო კარდენალი ერთ-ერთ ინტერვიუში პირდაპირ აღნიშნავს: „პაპი არ განეკუთვნება ჩვენს რიგებს. ის არ იყო

„განთავისუფლების თეოლოგიის“ წევრი, მაგრამ იგი პრაქტიკირებს ჩვენს თეოლოგიას“.

1980-86 წლებში ბერგოლიო სან მიგუელის თეოლოგიური ფაკულტეტის რექტორია. მისი სტუდენტების მონაყოლის მიხედვით, იგი ცდილობდა, სასწავლო პროგრამა დისტანცირებული ყოფილიყო მარქსისტი თეოლოგების წიგნების გავლენისაგან, მაგრამ იზიარებდა მათ შეხედულებებსა და კრიტიკას ლათინურ ამერიკაში არსებულ სოციალურ უთანასწორობაზე.

ბუენოს აირესის არქიეპისკოპოსად გამწესებიდან სამი წლის შემდეგ, 2001 წლის 21 თებერვალს, პაპმა იოანე პავლე მეორემ მთავარეპისკოპოსი ბერგოლიო კარდინალის რანგში აიყვანა. კარდინალად დასახელების დღეს ბერგოლიომ თანამოქალაქეებს თხოვნით მიმართა, არ ჩასულიყვნენ რომში, მგზავრობის ფული კი ღარიბებისთვის მოეხმარებინათ. იგივე მოუწოდა მან რომის პაპად აღსაყდრების დღესაც. 2001 წელს არგენტინაში ეკონომიკური კრიზისის დროს მოსახლეობის 40 პროცენტი გაღარიბდა. ბერგოლიომ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა თავისუფალი ბაზრის მოქმედება და მკაცრად მოუწოდა პოლიტიკოსებს ქვეყნის სოციალური პრობლემების მოგვარებისაკენ. აღსანიშნავია, რომ თავად მისი ცხოვრების სტილი ასკეტური და უბრალოა, როგორც რიგით ბერს შეეფერება.

ამ ფონზე მაინც ყველაზე ამაღელვებელი მისი (უკვე კარდინალის რანგში) ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაცია „La Alamenda“-სთან ურთიერთობაა. ორგანიზაციამ, რომელიც პროსტიტუციის, ტრეფიკინგისა და ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალების დაცვას ცდილობს, მისი ხელმძღვანელები კი თავს ტროცკისტებად და ღრმა ათეისტებად მიიჩნევენ, ბერგოლიოს სულიერ გავლენასა და ავტორიტეტს გვერდი მაინც ვერ აუარა. ის არაერთხელ გახდა პოლიციისა და ხელისუფლების ორგანოების დევნის ობიექტი, რამაც მისი არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. სწორედ ამ დროს შეხვდნენ ისინი კარდინალ ბერგოლიოს, რომელიც მთელ რიგ საკითხებში რადიკალური განსხვავებების მიუხედავად, არათუ პოულობს საერთო ენას, არამედ მფარველობის ქვეშ აჰყავს ეს ორგანიზაცია. 2008 წლის 1 ივლისს ბუენოს აირესის ერთ-ერთ ტაძარში კარდინალმა ბერგოლიომ ამავე ორგანიზაციის დაცვის ქვეშ მყოფი და პროსტიტუციის, ტრეფიკინგისა და ექსპლუატაციის მსხვერპლი ადამიანები ღვთისმსახურებაზე მიიწვია. კარდინალის აღვლენილ ლიტურგიას 700 ასეთი ბედგამოვლილი ადამიანი ესწრებოდა. ლიტურგიის დასრულების შემდეგ ქადაგებაში არგენტინის კარდინალმა მკაცრად გააკრიტიკა ადამიანებით ვაჭრობა, პროსტიტუცია და მონური შრომა. თავად ორგანიზაციის ხელმძღვანელი გუსტავო ვერა კი აღნიშნავდა: „ეს იყო კარდინალი, რომელსაც ჩვენთან არ ჰქონდა არანაირი პრობლემა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი თანამშრომლების უმრავლესობა არ იყო კათოლიკე ეკლესიის წევრი. ბევრი ჩვენგანი მიიჩნევს თავს ათეისტად, აგნოსტიკოსად და მემარცხენე ადამიანის უფლებადამცველად, მაგრამ „La Alamenda“ და კარდინალი ერთი მიზნისათვის იბრძოდნენ“. ამას კარდინალის მსხვერპლის წინაშე ქადაგებაც ადასტურებს: „ჩვენი ქალაქის ბევრ ადამიანს მათივე ნების საწინააღმდეგოდ წაართვეს თავისუფლება და ბოლოს სიცოცხლის უფლებაც კი. ადამიანებს სხვა ადამიანები იმონებენ. ამ ყოველივეს შემქმნელნი და წევრები კი დამნაშავეები არიან. ამ ბინძური საქმეებით ნაშოვნი ფული ადამიანების სისხლშია ამოსვრილი. ეს უცოდველი ახალგაზრდა გოგოები და ბიჭები ღირსებააყრილნი არიან. ისინი არიან ამ კორუმპირებული ადამიანების მსხვერპლნი, რომლებმაც შეურაცხყვეს, სასტიკად მოექცნენ, გამოიყენეს, ნარკოტიკებზე შესვეს და შემდგომ ქუჩაში მოისროლეს უდანაშაულო ახალგაზრდები. ამის შემხედვარენი, ჩვენ არ შეიძლება, ვდუმდეთ.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი იდეებიც სპონტანურობით გამოირჩევა: 2014 წელს რომის ქუჩებში უსახლკაროებისათვის აბაზანები გაკეთდა; თავის 78-ე დაბადების დღეზე ფრანცისკემ ასზე მეტი საძინებელი ტომარა გაუგზავნა რომის უსახლკაროებს, შემდგომში – კიდევ სამასი. წელს კი, მისივე თხოვნით, ზაფხულის ცხელ დღეებში რამდენიმე ავტობუსი დაინიშნა რომის ცენტრიდან ზღვის მიმართულებით, უსახლკაროებისა და ღარიბებისათვის, მათთვის, ვინც ვერ შეძლო წასულიყო დასასვენებლად.

ბერგოლიოს მიმართ მწვავე კრიტიკასაც არ ერიდებოდნენ. ბრალს სდებდნენ არგენტინაში სამხედრო დიქტატურის დროს დუმილსა და თავისი მღვდლების დაუცველობაში. როდესაც იეზუიტების ორდენს ხელმძღვანელობდა, დიქტატურამ არგენტინაში 30000 ადამიანი შეიწირა, მათ შორის – რამდენიმე მღვდელი. გატაცებულ მღვდელთაგან მოგვიანებით ნაწილი გაათავისუფლეს. კრიტიკას პასუხი თავად ცნობილმა განთავისუფლების თეოლოგმა ლეონარდო ბოფმა გასცა: „ბერგოლიომ ძალიან ბევრი ადამიანი გადამალა და სიკვდილს გადაარჩინა სამხედრო დიქტატურის დევნის დროს."

არგენტინელი პეტრეს კათედრაზე

2013 წლის 13 მარტს კარდინალების მიერ გამორჩეულმა ახალმა პაპმა სახელი ფრანცისკ ასიზელის პატივსაცემად აირჩია. ეს მას კონკლავის შედეგების შემდეგ მეგობრის, კარდინალ კლაუდიო ჰუმელის თხოვნამ ჩააგონა. მეგობარმა ახალ პაპს მილოცვისას ყურში ჩასჩურჩულა: „არ დაივიწყო ღარიბები!". სწორედ ეს სიტყვები ჩარჩა მას გონებაში და უკვე მოგვიანებით რომში მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრისას ფრანცისკემ ხაზგასმით აღნიშნა: „მე მსურს ღარიბი ეკლესია და ეკლესია ღარიბებისათვის". ეს სიტყვები უმალ მოექცა მედიის ყურადღების ქვეშ. ჟურნალ-გაზეთებმა და ტელევიზიებმა ახალი პაპის არგენტინაში მოღვაწეობის დეტალურად გამოძიება დაიწყეს. სწორედ აქედან იღებს სათავეს მისი მეტსახელი „ღარიბების პაპი". ღარიბების, სოლიდარობისა და სოციალური მსახურების თემებმა ფრანცისკეს ბევრ ქადაგებასა თუ ენციკლიკაში გაიჟღერა. იგი ცდილობს, კვლავაც გააგრძელოს მოკრძალებული ცხოვრების წესი, რომელიც ხალხთან სიახლოვეში ეხმარება: „მე უარი ვთქვი პაპის აპარტამენტებში ცხოვრებაზე, პაპის სპეციალურ ავტომობილზე, ტრადიციულ წითელ წაღებსა და ოქროს ჯვარზე, ვინაიდან ეს ყველაფერი მამძიმებს, მკეტავს და მიშლის ხელს მორწმუნეებსა და ხალხთან ურთიერთობაში". ის ძალიან კმაყოფილია თავისი შავი ორთოპედიული ფეხსაცმლით. მისი გადაწყვეტილებები ძალიან სპონტანურია, იქნება ეს სტუმრობა რომის გარეუბნებში, სხვადასხვა სოციალური მიმართულების ცენტრებში, მოხუცებულთა პანსიონებში, ლტოლვილთა ბანაკებსა თუ ნარკოდამოკიდებულთა რეაბილიტაციის ცენტრებში. თავისივე სტილიდან გამომდინარე, კრიტიკას ფუფუნებისმოყვარე სასულიერო პირებიც ვერ ასცდნენ: „მე ძალიან გულს მტკენს, როდესაც ვხედავ მღვდელს ან მონაზონს ძვირფასი ავტომობილით. ეს ასე არ გამოვა!"

მისი იდეებიც სპონტანურობით გამოირჩევა: 2014 წელს რომის ქუჩებში უსახლკაროებისათვის აბაზანები გაკეთდა; თავის 78-ე დაბადების დღეზე ფრანცისკემ ასზე მეტი საძინებელი ტომარა გაუგზავნა რომის უსახლკაროებს, შემდგომში – კიდევ სამასი. წელს კი, მისივე თხოვნით, ზაფხულის ცხელ დღეებში რამდენიმე ავტობუსი დაინიშნა რომის ცენტრიდან ზღვის მიმართულებით, უსახლკაროებისა და ღარიბებისათვის, მათთვის, ვინც ვერ შეძლო წასულიყო დასასვენებლად. ფრანცისკე ლიტერატურის დიდი მოყვარულია, უყვარს ბორხესი და დოსტოევსკი. ჰყავს საყვარელი ფეხბურთის გუნდი: CA San Lorenzo de Almagro, რომელსაც წლებია, გულშემატკივრობს. სიამოვნებით უსმენს კლასიკურ მუსიკას, ასევე ცნობილია, როგორც კარგი მზარეული, ტანგოს მოცეკვავე და მოცურავე.

სიღარიბე, სოციალური სამართლიანობა და კაპიტალიზმის კრიტიკა

თავის სამოციქულო წერილში Evangelii Gaudium (მონაკვეთი 53-60) პაპი ფრანცისკე თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის კრიტიკას ავითარებს: „ეკონომიკის ეს ფორმა კლავს". ღვთის მცნება „არა კაც კლა" ეკლესიამ სხვაგვარადაც უნდა გაიაზროს: „უარი ფულის კვლავ გალმერთებას; უარი ფულს, რომელიც მსახურე-

ფოტო: ირაკლი მეგელაძე / საპრეზიდენტო პრესმდივანი

ბის ნაცვლად მართავს; უარი სოციალურ უთანასწორობას, რომელსაც ძალადობა მოაქვს". კონკურენციის დღეს არსებულმა ხასიათმა და „ამა ქვეყნის ძლიერების კანონებმა" მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სამუშაოებიდან და ცხოვრების პერსპექტივიდან გამოთიშა. ადამიანი განიხილება, როგორც მომხმარებელი; ის არა მარტო ექსპლუატირებული და ჩაგრულია, არამედ ნაგვის მსგავსად გადაგდებული. ეკონომიკის დღეს არსებული მოდელი ნაკლებუნარიანია, იყოს თანამგრძნობი სხვისი ტკივილისა და გაჭირვების, ზრუნავდეს ადამიანზე. დღევანდელი ფინანსური კრიზისის მიზეზი ფულის გაბატონებული მდგომარეობის აღიარება და ადამიანის, როგორც უპირატესის, დაკნინებაა. იდეოლოგია, რომელიც ბაზრის სრული ავტონომიისა და ფინანსური სპეკულაციების დამცველია, ნებისმიერ სახელმწიფო კონტროლს კი უარყოფს, ქმნის მზარდ უფსკრულსა და ახალ უჩინარ ტირანიას შემოსავლის სფეროში. ვალები, მისი პროცენტები, კორუფცია და გადასახადის ზრდა მთელ მსოფლიოში დიდი მოცულობით არის წარმოდგენილი. ამ სისტემაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ყველა სუსტია. ასევე ბუნებრივი გარემო დაუცველია ბაზრის გაღმერთების ინტერესების წინაშე, რომელიც სრულ წესად უნდა გადაიქცეს“. მის უკან დგას ღმერთის უარყოფა, ვინაიდან ღმერთი ბაზრის კანონებისგან მართული და მანიპულირებული ვერ იქნება. ასეთი ეკონომიკის მიერ წარმოებული სოციალური უთანასწორობა ხელს უწყობს თავის მხრივ ძალადობას, „იმიტომ, რომ საზოგადოებრივი და ეკონომიკური სისტემა ფესვებში უკვე არასამართლიანია“. ფრანცისკეს მკაცრმა ტონმა და კონკრეტიკამ დღეს არსებულ სოციალურ უთანასწორობაზე ბევრი დააფიქრა და ბევრიც დააშინა. მისი მისამართით გაისმა ბრალდებები, მას უწოდებდნენ „მარქსისტს, კომუნისტს, მემარცხენე წითელ პაპს და ა.შ. თავად პაპი ამაზე იუმორით პასუხობს: „ეს მეტსახელები ძალიან მოძველებულია“.

ფრანცისკემ ასევე ღიად გააკრიტიკა მაფია, ხოლო ნებისმიერ კათოლიკე მღვდელს, რომელიც მაფიოზებთან ან სხვა კრიმინალებთან კავშირში იქნება მხილებული, მღვდლობის დატოვება, შემდგომში კი სახელმწიფო კანონების შესაბამისად, პასუხისგება მოუწევს: „ისინი, რომლებიც თავიანთ ცხოვრებაში, როგორც მაფიოზები, ბოროტების გზას ადგანან, არ არიან ღმერთის საზოგადოებასთან კავშირში: ისინი ექსკომუნიცირებულები არიან!“ – ასეთი იყო ფრანცისკეს სიტყვები იტალიის ერთ-ერთ რეგიონში ქადაგებისას.

ეკოლოგია და ეთიკური საკითხები

2013 წლის 5 ივნისს გარემოს საერთაშორისო დღეს პაპმა ფრანცისკემ ხაზი გაუსვა სურსათ-სანოვაგის უზომო, უმიზნო განიავებასა და განადგურებას. ყურადღება გაამახვილა განვითარებულ ქვეყნებში არსებულ სამომხმარებლო – გადაგდების კულტურას და ფულის ძალაუფლებას, რომელიც ადამიანს მართავს. 2015 წლის 18 ივნისს ვატიკანში გამოქვეყნდა ენციკლიკა სახელწოდებით: Laudato si, რომლის შინაარსი გარემოსა და კლიმატის დაცვას შეეხება. პაპი მსჯელობს პრობლემებზე, რომელთა უგულებელყოფაც სოციალურ უთანასწორობას უფრო გაამძაფრებს, გამოიწვევს ბუნებრივი რესურსების განიავებას და საბოლოო ამოწურვას. დღეს მეცნიერები აღარ დავობენ იმაზე, რომ გლობალური დათბობის მთავარი მიზეზი, თავად ადამიანია. ენციკლიკაში პაპი ფრანცისკე მოგვიწოდებს ნახშირისა და ნავთობის ნელ-ნელა განახლებადი ენერგიებით ჩანაცვლებაზე, რომელიც ნაკლებ ზიანს მიაყენებს ბუნებას.

პაპი, მოლოდინის მიუხედავად, კათოლიკე ეკლესიაში ცელებატის (მღვდლების უცილობელი უქორწინებლობის) მომხრე რჩება, მისი კონტინენტის ბევრი თეოლოგისა და მღვდელმსახურისაგან განსხვავებით. ის ასევე უარყოფითად ეკიდება ქალთა მღვდლად ხელდასხმის შესაძლებლობას, თავისი წინამორბედის ბენედიქტე XVI მსგავსად, თუმცა, იმავდროულად, ცდილობს ეკლესიაში ქალის როლის გაძლიერებას. ამის დასტურია მისი ახალი ინიციატივა და კომისიის შექმნა დიაკონისების საკითხზე.

2010 წელს ქრისტინე ფერნანდესის ხელისუფლებამ არგენტინაში ერთსქესიანთა ქორწინება დაუშვა. იმჟამინდელმა კარდინალმა ბერგოლიომ ეს ნაბიჯი „საშინელ ანთროპოლოგიურ დაცემად“ მოიხსენია და საჯაროდ განაცხადა საეკლესიო წრეების წინაშე, რომ ეს იყო „დესტრუქციული თავხედობა ღვთის გეგმის წინააღმდეგ“. ამის საპირისპიროდ მას „შუასაუკუნეები და ინკვიზიცია“ შეახსენეს. ბერგოლიო სექსუალურ მორალში კონსერვატორია, მკაცრი მოწინააღმდეგე ერთსქესიანთა ქორწინებისა. არგენტინაში ის ჰომოსექსუალი წყვილებისათვის ბავშვის აყვანის უფლების მინიჭების წინააღმდეგი იყო, მიზეზად კი ბავშვების დისკრიმინაციას ასახელებდა. 2013 წელს ამ თემაზე დასმულ შეკითხვაზე პაპი ფრანცისკეს პასუხმა ბევრი დააბნია, რაც მედიაში სხვადასხვა ინტერპრეტაციის საბაბიც გახდა: „როცა გეი ადამიანი ეძებს ღმერთს და კეთილი ნება აქვს, ვინ ვარ მე, ის რომ განვსაჯო?“ იყო ახლად არჩეული პაპის პასუხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაპი ფრანცისკე და მართლმადიდებელი ეკლესია

პაპი ფრანცისკეს ინტრონიზაციას, ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში, მიწვეული სტუმრის სტატუსით, დიდი სქიზმის (1054 წ.) შემდეგ პირველად ესწრებოდა კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსი და მსოფლიო პატრიარქი. თავად პაპი მართლმადიდებელი ძმებისგან კათოლიკეებს სინოდალურობის სწავლას ურჩევს. მისი პონტიფიკატისას ასევე აქტიურ ფაზაში შევიდა მართლმადიდებლებსა და კათოლიკეებს შორის მეოცე საუკუნეში დაწყებული თეოლოგიური დიალოგი, რომელიც ცდილობს საუკუნეების განმავლობაში ორ ტრადიციულ ქრისტიანულ ეკლესიებს შორის წარმოქმნილი თეოლოგიური, კულტურული და პოლიტიკური დაბრკოლებების გადალახვას, რათა კვლავაც ერთად მოხდეს მსოფლიოში იესო ქრისტეს მოწმობა. კონსტანტინოპოლის პატრიარქი ბართლომე I და პაპი ფრანცისკე ერთობლივად სტუმრობდნენ იერუსალიმს, რასაც მალევე მოჰყვა პაპის ვიზიტი ისტორიულ კონსტანტინოპოლში და ერთობლივი დეკლარაცია. 2014 წელს მიღებულ ამ დოკუმენტში წუხილს გამოთქვამდნენ ახლო აღმოსავლეთში, ერაყსა და სირიაში არსებულ კონფლიქტზე, სადაც ადამიანები, მათ შორის ქრისტიანები, რწმენის გამო იდევნებოდნენ. მსოფლიო საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენეს კონფლიქტის კერა და ათასობით დევნილი ქრისტიანი. 2016 წლის 12 თებერვალს, ასევე პირველად ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში, ერთმანეთს შეხვდნენ რომის პაპი და მართლმადიდებელ ეკლესიაში პოლიტიკურად და ეკონომიკურად ყველაზე ძლიერი, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური, პატრიარქი კირილე, კუბის დედაქალაქ ჰავანის აეროპორტში. აქვე ხელი მოეწერა ერთობლივ დეკლარაციას, რომელიც უკრაინაში არსებულ მძიმე მდგომარეობას შეეხებოდა. თუმცა მასში ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი რუსეთისა და რუსეთის მხრიდან მხარდამჭერი სეპარატისტების, ან რუსეთის მიერ მართული ეკლესიის სასულიერო პირების ქმედებებზე. დეკლარაციის ტექსტი უკრაინაში არსებულმა ბერძნული წესის მქონე კათოლიკე ეკლესიის მეთაურმა და მისმა სასულიერო პირებმა გააკრიტიკეს.

პაპი ფრანცისკეს ყურადღების მიღმა არც დღეს უკვე ევროპაში ყველაზე მწვავე, მიგრანტების კრიზისის თემა დარჩენია. ის ევროპის ქვეყნებს მოუწოდებს, დევნილებისათვის საზღვრები ფართოდ გახსნან. ამის პირადი მაგალითი თავად აჩვენა საზოგადოებას, როდესაც სირიიდან დევნილი სამი ოჯახი საბერძნეთის კუნძულ ლესბოსიდან თვითმფრინავით წაიყვანა და რომში დააბინავა. კუნძულ ლესბოსზე მიგრანტებთან შეხვედრისას პაპ ფრანცისკესთან ერთად, მსოფლიო პატრიარქი ბართლომე და ათენის მთავარეპისკოპოსი იერონიმოსი იმყოფებოდნენ; „არ დაკარგოთ იმედი, თქვენ არ ხართ მარტო“ – ასე მიმართა ფრანცისკემ მიგრანტებს. შეხვედრის შემდეგ პაპმა და პატრიარქმა რამდენიმე ათეულ მიგრანტთან ერთად ივახშმეს.

„შეაჩერო უსამართლო აგრესორი, ეს სრულიად ლეგიტიმურია“ – ასეთია პაპის მოსაზრება ერთ-ერთი მსხვილი ტერორისტული დაჯგუფების „ისლამური სახელმწიფოს“ შესახებ და ამ ბოროტების აღმოსაფხვრელად ძალადობრივი მეთოდების გამოყენებას არ უარყოფს. ფრანცისკეს ამ ნათქვამზე „ისლამური სახელმწიფოს“ პასუხმა არ დააყოვნა – 21 ქრისტიანის თავის მოკვეთა ვიდეოზე გადაიღო და რომსა და იქ მყოფ ქრისტიანებს მსგავსი ბედის გაზიარებით დაემუქრა.

ზაფხულში პაპი ფრანცისკე მეზობელ სომხეთს ეწვია. სომხეთის სამოციქულო ეკლესიამ მას გულთბილი მასპინძლობა გაუწია. ვიზიტამდე რამდენიმე ხნით ადრე პაპმა მეოცე საუკუნის სამი უდიდესი დანაშაული მოიხსენია და მათ შორის იყო სომეხ ხალხთა გენოციდი. შედეგად, თურქეთმა ვატიკანიდან ელჩი გაიწვია.

„შეაჩერო უსამართლო აგრესორი, ეს სრულიად ლეგიტიმურია“ – ასეთია პაპის მოსაზრება ერთ-ერთი მსხვილი ტერორისტული დაჯგუფების „ისლამური სახელმწიფოს“ შესახებ და ამ ბოროტების აღმოსაფხვრელად ძალადობრივი მეთოდების გამოყენებას არ უარყოფს. ფრანცისკეს ამ ნათქვამზე „ისლამური სახელმწიფოს“ პასუხმა არ დააყოვნა – 21 ქრისტიანის თავის მოკვეთა ვიდეოზე გადაიღო და რომსა და იქ მყოფ ქრისტიანებს მსგავსი ბედის გაზიარებით დაემუქრა.

ფოტო: ეროვნული ბიბლიოთეკა / საარქივიდან, პატრიარქების, კათოლიკოსების

პაპი ფრანცისკეს ვიზიტი საქართველოში

30 სექტემბერს პაპი ფრანცისკე საქართველოს სტუმრობს. პაპი საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქის მოწვევით ჩამოდის. ვიზიტის პროგრამა უკვე ცნობილია: პრეზიდენტსა და პატრიარქთან შეხვედრა, მესა მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე, კამილიელების საავადმყოფოს მონახულება და ა.შ. კათოლიკური ეკლესიის მეთაურის ვიზიტს მართლმადიდებელი ეკლესიის მორწმუნეების ნაწილის უსაფუძვლო შიშიც ახლავს თან, რომელსაც წლების განმავლობაში თესდნენ ეკლესიაში მოღვაწე ფუნდამენტალისტი სასულიერო პირები. მათთვის ქრისტიანებსა და ქრისტიანულ ეკლესიებს შორის დიალოგი უდიდესი დანაშაული, ხოლო განსხვავებული მსოფლმხედველობის ადამიანთან ერთ მაგიდაზე დაჯდომა მიუტევებელი ცოდვაა. არადა, 1980 წელს ახლად არჩეული პატრიარქი ილია მეორე თავად სტუმრობდა პაპ იოანე პავლე მეორეს ვატიკანში და შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ ჩვენს ვიზიტს, რადგანაც ეს არის პირველი და ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ერთმანეთს ხვდებიან რომისა და საქართველოს ეკლესიის წინამძღვარნი... ჩვენ ჩამოსულები ვართ, რათა აღვადგინოთ ის ძმური და ორმხრივ ტრადიციული ურთიერთობა, რომელიც ჩვენს ორ ეკლესიას შორის არსებობდა. სამწუხაროდ, ისტორიის სირთულემ გამოიწვია ჩვენი წმიდა ეკლესიის გაყოფა. ამისდა მიუხედავად, გვჯერა, რომ უფალი თავისი ყოვლისშემძლეობით მოგვცემს შესაძლებლობას, აღვადგინოთ სასურველი დაკარგული კავშირი. ამ სამწუხარო მოვლენის მიუხედავად, ჩვენს ორ ეკლესიას ყოველთვის ჰქონდა კეთილი ორმხრივი ურთიერთობა, რომელიც გამოიხატებოდა კულტურულ, მეცნიერულ და სულიერ კავშირში“ (რომი 1980წ).

1999 წელს საქართველოს თავად სტუმრობდა იოანე-პავლე მეორე, რომელსაც არცთუ დასამახსოვრებელი დახვედრა მოუწყვეს. ეს პერიოდი საქართველოში განსაკუთრებით მძიმე იყო არა მხოლოდ პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით, არამედ რელიგიური კუთხითაც. კერძოდ, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში ფეხს იდგამდა იზოლაციონიზმის, ფანატიზმისა და ფუნდამენტალიზმის სურვილი.

რა თქმა უნდა, კათოლიკე ეკლესიას შუა საუკუნეების აგრესიული, მისიონერული და პოლიტიკური ძალაუფლების დათმობა მოუწია, ხოლო მეოცე საუკუნეში ეკლესიამ თავისი საქმიანობა სრულიად გადააფასა და ახალი მიმართულებები დასახა, მათ შორის მართლმადიდებელ ეკლესიებთან ურთიერთობის გზაზეც. ვატიკანის მეორე კრების დადგენილებების მიხედვით, მართლმადიდებელ ეკლესიასთან ურთიერთობის ახალი ეტაპი დაიწყო. კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ათენაგორამ და რომის პაპმა პავლე VI-მ 1054 წელს ურთიერთანათემები გააუქმეს. ამას მოჰყვა ორმხრივი საღვთისმეტყველო დიალოგი. თავად კათოლიკე ეკლესია აღმოსავლეთ ევროპაში საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ ბევრ ჰუმანიტარულ პროექტს ახორციელებს: იქნება -ეს სასნავლო, სამედიცინო თუ რელიგიური ნაგებობების მშენებლობა, სტუდენტების სწავლის დაფინანსება დასავლეთ ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტში და ა. შ. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში კი ხშირად უთმობს უსასყიდლოდ კათოლიკურ ტაძრებს მართლმადიდებელ მიგრანტებს, წირვა-ლოცვისთვის.

პაპი ფრანცისკეს დაგეგმილ ვიზიტს საქართველოში მალევე მოჰყვა ფუნდამენტალისტი მართლმადიდებელი მღვდლების მუქარა და საპროტესტო აქციები. ამუშავდა ყალბი საინფორმაციო პროპაგანდა, საკითხში გაუცნობიერებელი ადამიანების ინფორმირება არარეალური საფრთხეებისა და შიშის ფონზე. რა თქმა უნდა, გადამწყვეტი სიტყვა სახელმწიფოზეა, რომელმაც მილიარდ ორმილიონიანი ქრისტიანული ეკლესიის ლიდერი და დამოუკიდებელი სახელმწიფოს მეთაური მოიწვია, სახელმწიფოსი, რომელიც განსხვავებით მეზობელი ერთმორწმუნე ეკლესიისა და ქვეყნისაგან, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს და მხარს უჭერს, ხოლო ყოველ ათ წელიწადში ერთხელ არ გვბომბავს და ტერიტორიების მცოცავ ოკუპაციას არ მიმართავს.

რომის პაპ ფრანცისკეს ვიზიტი პირველ რიგში ქართველი კათოლიკეებისათვის არის უდიდესი სიხარულისა და იმედის მომცემი, რომ მათი მცირერიცხოვანი თემი, საქართველოში ხელოვნურად შექმნილ დაბრკოლებებს დააძლევს. მართლმადიდებელი მაღალი თუ დაბალი წოდების ფუნდამენტალისტი სასულიერო პირებისათვის კი, მათთვის, ვინც პაპს საპროტესტო აქციებით ხვდება, ამ ვიზიტის წარმატება უდიდესი ტრაგედიაა. ამ მოვლენას ისინი მათ მიერ წლების განმავლობაში ნათესი აგრესიული, შეუწყნარებელი, მჩაგვრელი და მტანჯველი რწმენითი წარმოდგენებისა და ყალბი, ქრისტიანული კონსერვატიზმის მარცხად აღიქვამენ. იქნებ, სწორედ პაპის სტუმრობაა ის ნიშანი, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია საკუთარ თავში იპოვის ძალას, დათრგუნოს იზოლაციონიზმის წადილი, გახდეს ღია, გახსნილი და აქტიური დიალოგის მომხრე ეკლესია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმები ქუჩა ბარიერებზე

ავტორი: თათია ხალიანი

ფოტო: ლევან ხერხულიძე

ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში არჩევნების მოახლოებას მხოლოდ ქუჩებში გაკრული პლაკატები გახსენებს. ბოლო თვეებია, არჩევნები ქვეყნის ძირითადი სალაპარაკო თემაა, მაგრამ არა აქ. თავიდან გიშორებენ. ამბობენ, რომ ხმას ხელისუფლებაში მყოფ პარტიას მისცემენ, რადგან ასე უფრო მარტივია; ერთგვარი ხარკია „აქ" ცხოვრებისთვის. სხვების არც პროგრამები იციან, არც კანდიდატები. ქართულ არხებს ვერ უყურებენ, მშობლიურ ენაზე კი ინფორმაცია არ აქვთ.

მარნეულის ცენტრალური ბაზრის უკან, ჩაიხანებს შორის ჩადგმული პატარა ფიცრულის წინ ცხვრის ხორცს წვავს და გამვლელ-გამომვლელს სთავაზობს. ემირ ქაჩაროვი 18 წლისაა. სკოლაში არასოდეს უვლია. დედა ცხვრის ქონს გასაყიდად ბაქოში ეზიდება, მამა თურქეთში მუშაობს. ემირი ქართულად გამართულად ლაპარაკობს. ადრე მთელი ოჯახით თბილისში ვცხოვრობდით და ქართულიც ასე კარგად ამიტომ ვიცი. რამდენიმე წელია, მარნეულში გადმოსახლდნენ.

„გაჭირვებამ შეგვიშალა ხელი და სკოლაში ვერ ვიარე. ისედაც არაფერი შეიცვლება. რაში მჭირდება. ვინც ისწავლა, ისიც ბაზარში მუშაობს და ვინც არა, ისიც. რა მნიშვნელობა აქვს. ერთადერთი მინდა, ჩემს მშობლებს აქედან წასვლა არ უწევდეთ და მათთვის რამე სამუშაო გამოჩნდეს", – ამბობს ემირი.

არჩევნების ხსენებაზე მხრებს იჩეჩს, ალბათ, წავალო. უნდა წავიდეო.

აბირ ელიბოვი ჩაიხანაში ერთ-ერთ მაგიდასთან მარტო ზის, წინ ცხელი ჩაი უდგას და სიგარეტს აბოლებს. ირგვლივ რამდენიმე ქალი სამოვარს დასტრიალებს. ქართული არ ვიცით, აბირს დაელაპარაკეთო, გვიშორებენ. ქართული არც აბირმა იცის. 42 წლისაა. მარნეულში დაიბადა და გაიზარდა. ოჯახი არ ჰყავს, მარტო ცხოვრობს. არჩევნებზე წავალო, ვინც არის ახლა მთავრობაში ხმას იმას მივცემო. ცალი ფეხი აქვს, არ მუშაობს, თავს მხოლოდ პენსიით ირჩენს. ცოტა კი მოიმატა პენსიამ, გზებიც და შუქიც გაკეთდაო.

მარნეულის ქუჩებში, ბაზარსა და მაღაზიებში რთულია, მოძებნო ადამიანი, რომელიც ქართულად დაგელაპარაკება. იმის მოლოდინი, რომ აზერბაიჯანული მათ გარდა ვინმეს კიდევ ეცოდინება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარნეულიდან რამდენიმე კილომეტრის სავალზე შულავერის დასახლებაა. მოსახლეობა შერეულია. სოფელში აზერბაიჯანელები, სომხები და ქართველები ცხოვრობენ. პატარა დასახლების დიდი პრობლემა სოფლის ნაგავსაყრელი იყო, რომელსაც მატყლის ყოფილი ქარხნის ტერიტორია ეკავა. რამდენიმე მეტრის დაშორებით კი ადამიანები ცხოვრობენ. მოსახლეობა წლებია, ითხოვდა ნაგავსაყრელისგან ტერიტორიის გაწმენდას, მაგრამ გადამზიდი მანქანები მათთან რამდენიმე კვირის წინ გამოჩნდა. ნაწილი გაწმინდეს.

არ აქვთ, ამიტომ დანარჩენ საქართველოსთან კომუნიკაციის მთავარ ენად რუსულს იყენებენ. არჩევნების ხსენებაზე რომელიმე საარჩევნო ბანერზე ან პლაკატზე მიგითითებენ, ხმას ამას ვაძლევთო. ქუჩებში კი ყველაზე ხშირად ხელისუფლებაში მყოფი პარტიის საარჩევნო ბანერს თუ შეხვდებით.

ზვიად საფაროვი ამბობს, რომ არ იცის, რომელი პოლიტიკური ძალები იბრძვიან ამ არჩევნებში გამარჯვებისთვის, არც მათი პროგრამები და კანდიდატები.

„ცუდად თუ კარგად, არ ვიცი, ვცხოვრობთ რა. წინ გზა არ ჩანს, მაგრამ, ალბათ, მთავარია, მშვიდობა იყოს. ადრე სად იყო ასეთი გარჩევა, ვინ ქართველი იყო და ვინ აზერბაიჯანელი. ამაზე ადრე არავინ ლაპარაკობდა. ახლა პირიქითაა, ყველაფერი შეიცვალა“, – ამბობს ზვიად საფაროვი.

ტექნიკის მაღაზიაში მუშაობს ისლამ მამედოვი. დამტვრეული ქართულით გვეუბნება, რომ არჩევნებზე აუცილებლად წავა. „აზრზე არ ვართ, სხვები ვინ არიან. ამ წუთში რომელიც არის დეპუტატი, იმას მივცემთ ხმას“. ქართულ არხებს არ უყურებს, მაგრამ ინტერნეტის საშუალებით მეტ-ნაკლებად იცის, რა ხდება ქვეყანაში. რუსული სკოლა დაამთავრა. სახლში ყველა რუსულად საუბრობს. ქართულის სასწავლებლად 6 თვე მასწავლებელთან დადიოდა. თბილისში ხშირად უწევს საქმის გამო სიარული, ენაც ამიტომ ისწავლა. სწავლა არ გაუგრძელებია. მეფუტკრეები ვართ ოჯახში და ამ გზას გავყევიო.

მარნეულის ბაზარში ამბობენ, რომ დიდად არც პოლიტიკური პარტიები ცდილობენ მათი ხმების მოპოვებას. აქ არავინ გამოჩენილაო. თუმცა არ უკვირთ, ყოველთვის ასე იყოო.

მარნეულიდან რამდენიმე კილომეტრის სავალზე შულავერის დასახლებაა. მოსახლეობა შერეულია. სოფელში აზერბაიჯანელები, სომხები და ქართველები ცხოვრობენ. პატარა დასახლების დიდი პრობლემა სოფლის ნაგავსაყრელი იყო, რომელსაც მატყლის ყოფილი ქარხნის ტერიტორია ეკავა. რამდენიმე მეტრის დაშორებით კი ადამიანები ცხოვრობენ. მოსახლეობა წლებია, მოითხოვდა ნაგავსაყრელისგან ტერიტორიის გაწმენდას, მაგრამ გადამზიდი მანქანები მათთან რამდენიმე კვირის წინ გამოჩნდა. ნაწილი გაწმინდეს.

ყოფილი ქარხნის ირგვლივ ორი ორსართულიანი კორპუსია, წინ კი – დანგრეული სოფლის კლუბის შენობა, სადაც რამდენიმე ოჯახი ცხოვრობს. ეს კორპუსები წლების წინ ქარხანაში მომუშავე მუშების საცხოვრებლად აიგო. საბჭოთა კავშირისა და ქარხნის დაშლის შემდეგ, ადამიანები ამ კორპუსების პრივატიზაციას და საკუთრებაში დამტკიცებას მოითხოვენ, მაგრამ უშედეგოდ.

ემირა ხაჩატურიანის დედა 25 წელი ქარხანაში მუშაობდა და აქვე ცხოვრობდა, მატყლის ქარხნის კორპუსებში. ემირაც აქ დაიბადა და გაიზარდა. ახლა ორი შვილი ჰყავს. უნდა, რომ სახლი, სადაც ცხოვრობს, მისი საკუთრება იყოს, გაკეთება რომ შეძლოს, ან დანგრევა და ახლის აშენება. კორპუსები ისედაც ძველია და ნახევრად დანგრეული. აქ ცხოვრება არც ისე უსაფრთხოა. მხოლოდ ფასადია რკინის კონსტრუქციით გამაგრებული, შიგნით კი კედლები და იატაკი დაბზარულია. წასასვლელი არსად აქვთ. მთავრობას, მუნიციპალიტეტს, დეპუტატს ათი წელია, თხოვნის წერილს უგზავნიან. დეპუტატობის კანდიდატი მმართველი პარტიიდან მათთან წინასაარჩევნოდ მოვიდა და დაჰპირდა კორპუსების შეკეთებას. სახლების საკუთრებაში გადაცემაზე ისევ არაფერია. 40 ოჯახი ელოდება, როდის მოიცლის რომელიმე მთავრობა მათთვის.

ემირა არ მუშაობს. მარტოხელა დედაა. თავს დედის პენსიით და სოციალური დახმარებით ირჩენენ. მიწაც არ აქვთ, რომ დაამუშაონ. საქართველოში დაიბადა და გაიზარდა, ქართულიც კარგად იცის, მაგრამ ამ ქვეყანაში მისი არაფერია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

***

რამდენიმე თვის წინ სამცხე-ჯავახეთის იმ სოფლებში, სადაც სომეხი ეროვნების მოსახლეობაა ჩასახლებული, მმართველი პარტიის წინასაარჩევნო სააგიტაციო მასალები გავრცელდა. მასალები სომხურ ენაზე იყო დაბეჭდილი, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, თარგმანი იმდენად ცუდად იყო შესრულებული, ადგილობრივებს მისი წაკითხვა გაუჭირდათ.

ამის შესახებ არაერთი პოსტი თუ ფოტო გაჩნდა სოციალურ ქსელში. მათ შორის, მმართველი პარტიის დეპუტატობის კანდიდატის სომხურ ენაზე დაბეჭდილი პლაკატიც. სომხური თემის წარმომადგენლები ამბობდნენ, რომ ნათარგმნი ტექსტები „წარმოუდგენელი“ შეცდომებითაა სავსე.

„ძალიან გაგვაოცა ამ ფაქტმა, რადგან გამოჩნდა საინტერესო დამოკიდებულება. არ ვიცი, მიზანმიმართულად მოხდა თუ შეცდომაა. სომეხთა სათვისტომოს უშუალოდ არ უცდია „ქართული ოცნებისგან“ განმარტების მიღება. ეს საკითხი პირადად პარტიის პრესტიჟზე უფრო მოქმედებს. ადამიანი, რომელიც სომხურს მშობლიურ ენად მიიჩნევს და კითხულობს ამ ბროშურას, ნამდვილად დაფიქრდება, რამდენად ღირს, ხმა მისცეს პარტიას, რომელსაც ასეთი არასერიოზული დამოკიდებულება აქვს მათ მიმართ. სამცხე-ჯავახეთში ამ ფაქტზე, ძირითადად, უსიამოვნო რეაქცია ჰქონდათ – ზოგიერთმა იუმორით მიიღო, თუმცა ზოგმა შეაფასა, რომ ეს არის დამოკიდებულება ამ კონკრეტული პარტიის მხრიდან ლინგვისტური უმცირესობების მიმართ“, – ამბობს სომეხთა სათვისტომოს გამგეობის წევრი სანდრო ოჰანიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობაზე, უფრო ზუსტად კი, ჩაურთველობაზე „ლიბერალს“ საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილიც ესაუბრა. პრეზიდენტი ჟურნალისთვის მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში საუბრობს პოლიტიკოსთა არაპრაგმატულ დამოკიდებულებაზე სულაც თავთავიანთი პოლიტიკური მიზნების მიმართ.

როგორც სანდრო ოჰანიანი ამბობს, ეს არასასიამოვნო ფაქტია, მაგრამ მათთვის მნიშვნელოვანია, რამდენად ასახულია ეთნიკური უმცირესობების პრობლემატიკა საარჩევნო პროგრამებში, როგორ ხედავენ პოლიტიკური ძალები ინტეგრაციის პროცესებს, განსაკუთრებით იმ ეთნიკური უმცირესობების მიმართ, რომლებიც კომპაქტურად არიან ჩასახლებულები რეგიონებში. როგორც ის ამბობს, ამ კუთხით ამ არჩევნებზე უწინდელთან შედარებით გაცილებით ცუდი მდგომარეობაა: „შესრულდა თუ არა, ეს სხვა საკითხია, მაგრამ წინ არჩევნებზე დაპირებები მაინც გაიცემოდა უხვად, ეთნიკური უმცირესობებისთის. ამ არჩევნებზე ესეც არ არის.“

ეროვნული უმცირესობების შესახებ წინასაარჩევნო პროგრამებში, ძირითადად, ან ძალიან მწირი და ზოგადი ჩანაწერია, ან საერთოდ არ არის. მმართველი პარტიის პროგრამაში ნათქვამია, რომ ეროვნული უმცირესობების უფლებებისა და დაცვის რეალიზების უზრუნველსაყოფად სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმა შესრულდება. ერთ-ერთი მთავარი ოპოზიციური პარტიის პროგრამაში წერია, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, მათი პრიორიტეტი იქნება ეფექტიანი ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა და უმცირესობების დაცვა ძალადობისგან. სხვა პოლიტიკური ძალები აქცენტს ქართული ენის სწავლების გაძლიერებაზე აკეთებენ.

სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს კოორდინატორი კოპა ჩოფლიანი ამბობს, რომ რეალური მიდგომა არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ დაუფიქსირებია, როგორ ხედავენ ინტეგრაციის პროცესს, როგორ ხედავენ ხვალინდელ დღეს, როგორ ხედავენ ეთნიკური უმცირესობების კულტურის, ტრადიციების შენარჩუნების საკითხს, როგორ ხედავენ მათ მონაწილეობას ქვეყნის ცხოვრებაში.

კობა ჩოფლიანის აზრით, როდესაც ქვეყნის მმართველობაზე პრეტენზიის მქონე პარტიებისა და ჯგუფების დიდი ნაწილი ვერაფერს სთავაზობს ეთნიკურ უმცირესობებს, ელემენტარულ გონივრულ ჩანაწერს ან რამე სიახლეს საარჩევნო პროგრამებში, ეს არის ამ სფეროში სახელმწიფოებრივი აზროვნების, დამოკიდებულებისა და იდეების კრიზისი პოლიტიკური ძალების მხრიდან. ქვეყნისთვის ბოლო 20-25 წლის განმავლობაში პრობლემური იყო სწორედ ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების მიმართ არასწორი დამოკიდებულება და პოლიტიკა.

ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობაზე, უფრო ზუსტად კი, ჩაურთველობაზე „ლიბერალს“ საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილიც ესაუბრა. პრეზიდენტი ჟურნალისთვის მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში საუბრობს პოლიტიკოსთა არაპრაგმატულ დამოკიდებულებაზე სულაც თავთავიანთი პოლიტიკური მიზნების მიმართ.

„რა საინტერესო იქნებოდა, რომ ქართველი პოლიტიკოსები 3, 4, 6 თვე გადადიოდნენ ამ რეგიონებში საცხოვრებლად, ამ ხალხთან ერთად. ეს ხომ ათიათასობით ხმის შანსია. ძალიან ცოტაა მათთან უშუალო კონტაქტზე“.

ეს საარჩევნო ხმების კლონდაიკა – გვითხრა პრეზიდენტმა, – ალიასკაა, აუთვისებელი ყამირი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თანამედროვე ქრისტიანული არქიტექტურა, როგორც სიძველის იმიტაცია

ქრისტინე მუჯირი



ფოტო: ლონი ბოდაბაძე

ბაგრატის ტაძარი, ქუთაისი

ქრისტიანული არქიტექტურის ფორმირება და განვითარება იწყება მას შემდეგ, რაც 313 წელს რომის იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა თანაიმპერატორ ლიციინიუსთან ერთად გამოსცა მილანის ედიქტი, რის მიხედვითაც ქრისტიანობას მიენიჭა თანაბარი უფლებები სხვა რელიგიებთან მიმართებაში.

ქრისტიანული საკულტო არქიტექტურის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა ლიტურგიამ. დროთა განმავლობაში ცვლილებას განიცდიდა ღვთისმსახურება და შესაბამისად იცვლებოდა ქრისტიანული ტაძრის არქიტექტურული ტიპიც, რადგან ჩნდებოდა სხვადასხვა მოთხოვნა და მას ამ მოთხოვნებისთვის უნდა ეპასუხა.

ჩვენს ტერიტორიაზე არსებული ძეგლები ადასტურებს, რომ ადრეულ თუ გვიან შუა საუკუნეებში არქიტექტორებმა კარგად იცოდნენ თავიანთი საქმე და მათ მიერ შექმნილი ნიმუშების უმეტესობა შედევრია. ათასწლეულების განმავლობაში ეკლესიის აშენება არასდროს ყოფილა უბრალოდ მშენებლობა. ის ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორს ითვალისწინებდა და აერთიანებდა ხელოვნების სხვადასხვა დარგს. მნიშვნელოვანი იყო გარემო, ლანდშაფტი, კლიმატი, ადგილობრივი კულტურული ტრადიციები, გავლენა მეზობელი ქვეყნებიდან, გამოცდილება, სამშენებლო მასალა, ფერწერა, რელიეფი, ოსტატობა და დამკვეთის გემოვნებაც კი. ის გვიყვება კონკრეტული პერიოდის სოციუმსა და იმაზე, თუ განვითარების რა ეტაპზე იყო რომელიმე პერიოდის საზოგადოება.

ზოგადად, რატომ არის საინტერესო და მნიშვნელოვანი რომელიმე ისტორიული არქიტექტურული ობიექტი? რადგან უპირველესად გვაინტერესებს ადამიანი, ან ადამიანთა ჯგუფი, რომელიც მუშაობდა ძეგლზე, რაშიც დიდი ინტელექტუალური, ასევე ფიზიკური შრომაა ჩადებული. ამასთან მათი მშენებლობა მოითხოვდა უზარმაზარ ფინანსურ რესურსს და, რა თქმა უნდა, დღესაც ასე ხდება.

როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში ამ გამოცდილებასა და ცოდნას რაციონალურად, კარგად იყენებდნენ. იქმნებოდა ახალი ნიმუშები, მაგრამ ეს არ იყო მხოლოდ გამეორება უკვე შექმნილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძაფრი თუ ნაკლებად თავდაჯერებული, უგრძნობი თუ ზემგრძნობიარე აქტიორული და რეჟისორული ვნებების მიღმა მთავარი მაინც ტექსტია, რომელსაც სამეფო უბნის თეატრს „მიმაგრებული“ დავით გაბუნია თხზავს. ეს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმიტომ, რომ კონკრეტულად ამ თეატრისა და მისი დასის შესაძლებლობის შესახებ მან თითქმის ყველაფერი იცის. ეს საჭიროა იმიტომაც, რომ ზუსტად გაავლოს და გაითვალისწინოს ზღვარი ტელესერეიალის სცენარსა და თეატრისთვის დაწერილ პიესას შორის.

ისინი მხარს უბამდნენ თანამედროვეობის მოთხოვნებს და პასუხობდნენ ახალ იდეურ/თუ ტექნიკურ გამოწვევებს.

მაგრამ, რაც უფრო მოვდივართ თანამედროვე ეპოქისკენ, მით უფრო ნაკლებად იყენებენ იმ ცოდნასა და შესაძლებლობებს, რაც საუკუნეების განმავლობაში დაგროვდა.

XX საუკუნის ბოლოდან დღემდე აქტიურად მიმდინარეობს ეკლესიათა მშენებლობა. უამრავ რეკლამასა და ვიდეორგოლს ნახავთ ტრანსპორტში, მაღაზიებში, ქუჩებში, სადაც მოსახლეობას, მრევლს სთხოვენ, ეკლესიათა მშენებლობაში მიიღონ მონაწილეობა. თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენი დრო ეკლესიათა აქტიური მშენებლობით ხასიათდება.

იმისათვის, რომ გაგვერკვია, თუ რამდენი ეკლესია აშენდა 2000 წლიდან საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, დავუკავშირდით საპატრიარქოს, თუმცა არქიტექტურის ცენტრის თავმჯდომარემ, თამარ კვანტალიანმა განაცხადა, რომ საპატრიარქოს არ აქვს სტატისტიკის სამსახური და არ დაუთვლიათ აშენებული ეკლესიების რაოდენობა.

შესაძლოა, რაოდენობა საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისიც იყოს, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანია მათი მხატვრული სახე. ის, თუ რას გვიშენებენ სახლის კორპუსებთან, სკოლებთან, პარკებსა და ა.შ.

ხელოვნებათმცოდნე ნათელა ჯაბუა გვიყვება, რომ შუა საუკუნეების ქრისტიანული არქიტექტურა ეპოქისა და ამოცანების შესაბამისად მუდმივად იცვლებოდა. შესაძლოა ამ ცვლილებებს განაპირობებდა პოლიტიკური კონიუნქტურა თუ კულტურული გავლენა; იყო აღმავალი და დაღმავალი ხაზიც. მაგრამ ფაქტია, რომ ის იყო ცოცხალი. დღეს ამა თუ იმ პერიოდში აგებული ნაგებობის მიხედვით რომელიმე ეპოქაზე მსჯელობა შეგვიძლია.

მისივე თქმით, საკულტო არქიტექტურა თავისი არსით არის პრინციპულად განსხვავებული ყველა სხვა არქიტექტურისგან, საცხოვრებელი იქნება, თუ სამოქალაქო. თავისი ფუნქციური თუ იდეური პოზიციიდან, საკრალურობიდან გამომდინარე, მისდამი დამოკიდებულება განსაკუთრებულია. ის კანონიკური მოთხოვნებით განპირობებულ დაგეგმარებას, ლანდშაფტსა თუ ურბანულ სივრცეში შესაბამისი გარემოს შექმნას მოითხოვს.

„მხოლოდ გუმბათის დასმა ნაგებობას ეკლესიად ვერ აქცევს, თავისი არსებრივი გაგებით. დღეს ქალაქის ურბანულ სივრცეში მძიმე სურათია. მცხეთის ჯვრისნაირი ადგილმდებარეობა, რა თქმა უნდა, ყველას ვერ ექნება, მაგრამ მცირედი მაინც უნდა იყოს გათვალისწინებული. დიდი პრობლემაა ურბანული სივრცის უცოდინრობა და, შესაბამისად, ამ სივრცეში ეკლესიის ჩასმა“. – გვიხსნის ნათელა ჯაბუა.

ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ მშენებლობებზე, რომელიც არ უხდება კონკრეტულ ურბანულ ლოკაციას, რომელიც ამახინჯებს ქალაქს, გვართმევს საჯარო სივრცესა და მწვანე ნაწილს, შეძლებისდაგვარად ვაპროტესტებთ ამას. არასდროს გაგვიგია, ვინმე ხმამაღლა შეწინააღმდეგებოდა რომელიმე პარკში მშენებარე ეკლესიას. რადგან იმ უბნის მცხოვრებლები (უმრავლესობა) ამ ტაძრის მრევლი ხდება. ამ პატივისცემით სარგებლობს საპატრიარქოც.

სასულიერო პირები წყვეტენ, რა უფრო მნიშვნელოვანია, „სულიერი საზრდო“, თუ საჯარო სივრცე, გადატვირთულ უბანში მწვანე ნაწილი.

დავუბრუნდეთ ეკლესიათა მხატვრულ და არქიტექტურულ მხარეს. თბილისში ყველაზე მასშტაბური და გრანდიოზული ეკლესიაა სამების საკათედრო ტაძარი (სიმაღლე 86.10 მეტრი). მის მშენებლობაზეც რამდენიმე ათეული მილიონი დოლარი დაიხარჯა, თუმცა ზუსტი რიცხვი ცნობილი არაა.

მშენებლობა დაიწყო (1995-2004 წწ) მაშინ, როდესაც დამოუკიდებელი სა-

ფოტო: ლევან ბერიძე

ღვთისმშობლის შობის ეკლესია, დიდუბე, თბილისი

ქართველოს ისტორიაში ყველაზე მეტად უჭირდა ქვეყანას. რა თქმა უნდა, საღ აზრსა და ლოგიკას მოკლებულია, თუ რატომ უნდა აშენებულიყო ასეთ მძიმე პერიოდში მსგავსი მასშტაბის ეკლესია, რომელშიც კერძო ბიზნესმენებმა, სახელმწიფომ, მოსახლეობამ დიდი რესურსი ჩადო. ამასთან მნიშვნელოვანია არქიტექტურულ-მხატვრული სახე, მოოქროვილი გუმბათი, უზარმაზარი კარიბჭე-გალავანი და ა.შ. (გუმბათების მოოქროება, ძირითადად, ახასიათებდათ იმპერიებს, რომლებიც ძალაუფლებისა და ეკონომიკურ-პოლიტიკური სიძლიერის დემონსტრირებას ახდენდნენ), თუმცა რა სიძლიერეზეა საუბარი, ან რისი წარმოჩენა უნდა სდომებოდათ?

ნათელია, რომ ელიას მთას, ავლაბარსა და მთლიანად თბილისის ურბანულ სახეს სამების საკათედრო ტაძრის მასშტაბურობა საერთოდ არ მოუხდა. მან „ჩაყლაპა“ ავლაბრის, ძველი თბილისის პატარა იტალიური ეზოები, ორი და სამსართულიანი სახლები.

თუმცა სამებას მომგებიანი ლოკაცია ნამდვილად აქვს შერჩეული. თბილისის მთაგორიანი ლანდშაფტის გამო, ყველა მხრიდან ჩანს.

სამების საკათედრო ტაძრის არქიტექტურული გადაწყვეტა, მორთულობა, კარიბჭე და საერთოდ, მთლიანად კომპლექსი პომპეზურია, რაც მის უპირატესობად არ შეიძლება მივიჩნიოთ.

ნათელა ჯაბუა მიიჩნევს, რომ ზოგადად ქართულ არქიტექტურას ახასიათებდა მონუმენტურობა. შედარებით მცირე ზომის ნაგებობებიც კი არქიტექტურული გადაწყვეტითა და პროპორციათა შეხამებით მაინც იძენდა მონუმენტურობას. მიუხედავად იმისა, რომ სამებაში აბსოლუტური ზომებია, მისი შესაბამისი დიდებული განწყობა მაინც არ იქმნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო: ლევან ხაჩარელიძე

გრიგოლ ხანცთელის სახელობის ეკლესია, საბურთალო, თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჰოტის ღვთისმშობლის ეკლესია, რონშანი, საფრანგეთი

მიიჩნევენ, რომ ქრისტიანულმა არქიტექტურამ არ უნდა მიიღოს თანამედროვე არქიტექტურის დეტალები. რადგან ეს ცვლილება ვერ უპასუხებს მის მოთხოვნებს და ტაძრის, როგორც საკრალური სივრცის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება.

არქიტექტორი მამუკა კიკნაძე დღეს რაც შენდება, ყველაფერს ვერ იწონებს: „არის კარგიც და ცუდიც. თანამედროვე ეკლესიებში ახალი და ნოვაციურიც არის შეტანილი. არის ტრადიციული ელემენტები, მაგ: ფორმები და პროპორციები და მისგან გადახვევა არ იქნება მართებული. ზოგიერთ ახალ ეკლესიაში დეტალები ისეთია, რაც 21-ე საუკუნის შესაბამისია. მსგავსი თანამედროვე არქიტექტურის ტაძარი, რაც გვხვდება კა-

თოლიკურ ეკლესიაში, ჩვენი ტრადიციებიდან გამომდინარე, მიუღებელია“.

უპირველესად ჩანს, რომ მიისწრაფვიან, ახალი დაამსგავსონ ძველს. ეს მარტივად გამოიხატება თუნდაც ეკლესიათა ფერში. ამ სიძველისადმი ლტოლვა და მისი რომანტიზება აპრიორი გახდა და ამგვარ მიდგომას შეეწირა ბათუმის წმ. ბარბარეს ეკლესია.

ბულვარის თეთრი, პატარა ეკლესია, რომელიც XIX საუკუნის ბოლოს ააშენეს, ბათუმის ზღვისპირა ზოლთან, გარემოსთან სრულ ჰარმონიაში მოდიოდა. ადგილობრივი სასულიერო პირების გადაწყვეტილებით, მოხდა მისი უკანონო რეკონსტრუქცია-გადაკეთება; ეკლესიას ყვითელი ფილები ააკრეს და ავთენტური სახე დაუკარგეს.

თბილისში, საირმის ქუჩაზე მდებარეობს წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის ეკლესია, რომელიც, ფაქტობრივად, პირველი ექსპერიმენტული სკოლის ეზოში დგას. საკითხავია ისიც, თუ რამდენად კორექტულია ეკლესიის საჯარო სკოლის ეზოში მშენებლობა, თუმცა როგორც ამბობენ, პირველი ექსპერიმენტული სკოლის ადგილას ადრე ეკლესია იყო, შესაბამისად, სკოლის ეზოში მისი აშენება აუცილებელიც გახდა. არცთუ ისე დიდი მასშტაბის ეკლესია თავისი სამრეკლოთი და სატრაპეზოთი, შუა საუკუნეების ტაძრის ელფერით საბჭოთა შენობებსა და სკოლის გარემოსთან დიდ კონტრასტს ქმნის.

დიდუბეში, თორნიკე ერისთავის №2-ში მდებარე ღვთისმშობლის შობის ეკლესია, რომელიც ნამდვილად გამორჩეულია თავისი უცნაური ფორმით და თითქმის მიბმულია უზარმაზარ შენობაზე, არასწორი დაგეგმვისა და გააზრების კარგი მაგალითია.

„ეპოქისადმი ადეკვატურობა – რასაც ვერ ვხედავ დღევანდელ არქიტექტურაში. ახალ ეკლესიებს ვერ აღვიქვამ, როგორც 21-ე საუკუნის ნიმუშებს. მე არ ვამბობ, რომ ულტრათანამედროვე აშენდეს, ან კორბუზიემ რაც შექმნა, ისეთი უნდა იყოს, თუმცა ჩვენთან თანამედროვე ეპოქა მხოლოდ ტექნიკურ მხარეში ვლინდება: ბეტონით აშენებენ და თანამედროვე ტექნოლოგიებით ჭრიან ქვებს, მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრებს ძველ ეკლესიებს უკეთებენ და ახალს – მით უმეტეს. დღეს არქიტექტორებს ამოცანებისადმი მიდგომა არ აქვთ სწორი, უბრალოდ ფორმები გადმოაქვთ. აღარაფერს ვამბობ ჩუქურთმაზე, შემკულობასა და ა.შ. მთავარი საკითხები არაა გადაწყვეტილი“. – გვეუბნება ნათელა ჯაბუა.

2010 წლიდან დაიწყო ბაგრატის ტაძრის რეკონსტრუქცია, რასაც იტალიელი არქიტექტორი ადრეა ბრუნო ხელმძღვანელობდა. გამოიყენეს თანამედროვე კონსტრუქციები, რაც მაშინ დიდი კამათის საგანი გახდა და რამაც ბაგრატს დაუკარგა ავთენტური სახე. ნიშანდობლივია, რომ ესაა ერთადერთი ტაძარი საქართველოში, სადაც თანამედროვე კონსტრუქციებია გამოყენებული.

საინტერესოა, რომ ეს პრეცედენტი შეიქმნა იქ, სადაც ამის საჭიროება არ იყო და რასაც საპატრიარქოც არ ეწინააღმდეგებოდა. ეს იყო ხელისუფლებისა და საპატრიარქოს ერთობლივი ნება, რითაც ძეგლი „გადაარჩინეს“.

თუმცა ბაგრატის საკითხი პოლიტიზებული იყო და სახელმწიფო დონეზე გადაწყდა. ამასთან ის ქართული კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი ძეგლია.

რა თქმა უნდა, ახალი პატარა ეკლესიები (ხშირად არცთუ ისე პატარა) ვერ გახდება ისეთი მნიშვნელობის, როგორიც შესაძლოა, იყოს შუა საუკუნეების, რადგან დროის ფაქტორი, ისტორიულობა მას დიდ მნიშვნელობასა და ღირებულებებს სძენს. თუმცა ეს ეკლესიები ჩვენს უბნებში, რომელიც შესაძლოა ათწლეულები და ასწლეულებიც დარჩეს (თუ გაუძლო დროს), როგორ დაგვახასიათებს ჩვენ?

იქნებ, სწორედ ისე, როგორსაც ვიმსახურებთ?

გარკვეული თვალსაზრისით, „პრომეთეს“ უფრო მძაფრი, პუბლიცისტურად და ლიტერატურულად საინტერესო ტექსტი ეთქმის, ვიდრე კამერული პიესა. ახალ ტექსტში უმთავრეს სიტყვებად იქცა – „გაიხსნე“ და „დაივიწყე“! თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამგვარ მიდგომას, ალბათ, თავად რეჟისორისა და დრამატურგის ერთობლივი ჩანაფიქრი განაპირობებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პური

ჩვენი ეროვნული

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორანტი

ფოტო: ლევან ბაბალაძისა

„შენი ჭირიმე, გუთანო,
მაგ შენი მრუდე ყელისა,
შენა ხარ პურის მამყვანი,
დამძველებელი ქერისა“
ოროველა

სტრიქონებს, რომელიც სტატიას ეპიგრაფად აქვს წამძღვარებული, ქართლსა და კახეთში, ალოობისას ხშირად მოისმენდით.

სიმღერა მიწისა და მოსავლის წარმართული ღვთაების, ოროველის კულტს უკავშირდება. მას მღეროდნენ გუთნით მიწის ხვნის, კალოზე პურის ლეწვისა და განიავების დროს. შესაბამისად, სიმღერას სხვადასხვაგვარადაც მოიხსენიებენ – გუთნური, კალოური, კევრული.

საქართველოში რომ პური უბრალოდ საკვებ პროდუქტად არ მიიჩნევა, ის რიტუალური ჩვევებიც მოწმობს, რაც სოფლებში პურის ცხობას ახლავს თან. სტუმრის მიპატიჟებისას სუფრაზე ღვინოსთან ერთად პირველად პური მიაქვთ; თუ პური მიწაზე დაუვარდათ, აღებისას კოცნიან; თონეში პურის გამოცხობისას ცხელ შოთს აუცილებლად უგზავნიან ახლო მეზობლებს...

* * *

ალექსანდრე ყიფიანმა 4 წლის წინ წერეთელზე ექსპერიმენტალური საცხობი გახსნა და დღეში ერთი ტომარა ფქვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლით პურის ცხობა დაიწყო. წელიწად-ნახევრის განმავლობაში უამრავი ექსპერიმენტი ჩაატარა და პურის ამოყვანის მრავალი მეთოდი მოსინჯა.

შირაქში 100 ჰექტარი მიწა იჯარით აქვს აღებული და ქართული ჯიშის ხორბალი, „ახალციხური წითელი" თავად მოჰყავს. ახლა უკვე დღეში ათი ტომარა ფქვილის წარმოება შეუძლია. „იბერიული" – ასე უწოდებს ალექსანდრე საკუთარ, მართკუთხა ფორმის პურებს.

შირაქში აღებულ ხორბალს წნორში, წისქვილში ფქვავს, წნორიდან საცხობში მოტანილი ფქვილი სპეციალური საზელი დანადგარით ცომად იქცევა. მოზელილი ცომი 8 სათის განმავლობაში 40 გრადუსზე ყოვნდება, ამის შემდეგ ჭრიან და ფორმებში აწყობენ. იწყება მისი ფორმაში გაღვივება. 2 საათის განმავლობაში ცომი ავსებს ფორმებს და მერე ღუმლებში, სტანდარტულად, 240 გრადუსზე ცხვება.

ალექსანდრე ყიფიანი საფუარს ბუნებრივი წესით, თავისი რეცეპტით ამზადებს. სვია, თაფლი, ალოე – ჩამოთვლის რეცეპტის ინგრედიენტებს. ის იაშვილისა და ასათიანის კუთხეში, დაქირავებულ საცხობში გვმასპინძლობს. ირგვლივ თეთრფორმიანი მცხობელები ფუსფუსებენ, ცომის საზელი დანადგარი მოზრდილ ვარცლში ფქვილს და წყალს ურევს, ფორმებში ჩასხმული ცომი გამჭვირვალე შუშის მილმა სპეციალურ ტემპერატურაზე ფუვდება.

კარგი პური რომ მიიღო, კარგი ხორბალი უნდა გქონდეს – არსებობს ხორბლის უცხოური ჯიშები, რომლებიც ძალიან მაღალმოსავლიანი და მომგებიანია – ჰექტარზე 7 ტონა მოდის. ჩემი შეიძლება 3 ტონაც არ მოვიდეს, მაგრამ, სამაგიეროდ, დარწმუნებული შეგიძლიათ იყოთ მის ხარისხში. – მეუბნება ალექსანდრე.

მეპურე გვიყვება, რომ საქართველო როგორი მდიდარიც ღვინის სახეობებითაა, არანაკლებია ხორბლითაც. დაახლოებით 300-მდე ნაირსახეობაა. ამ ჯიშებს თითქმის ჭაობიანი ადგილებიდან მოყოლებული, 1500 მეტრ სიმაღლემდე დიაპაზონზე თესავდნენ. ბევრი ჯიში, მაგალითად სპელტა, დაკარგულიცაა და მხოლოდ არქეოლოგიური მონაპოვარია, არსებობს მახა, ახალციხური წითელი, შავფხა. დიკა, ზანდური, ამ ჯიშებს თავისი ქვეგანაყოფებიც აქვთ, რომლებსაც სიმაღლის, ტენიანობის, ჰავის მიხედვით სხვადასხვა სახელი ერქვა და სხვადასხვა პირობებში ხარობდა.

სტატისტიკა

მიმდინარე წელს სურსათის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიერ ლაბორატორიული კვლევისთვის აღებულია 36 ნიმუში, მათ შორის 10 პურის და 26 ფქვილის. დარღვევა გამოვლინდა მხოლოდ ერთ – ფქვილის ნიმუშის შემთხვევაში. პურისა და პურ-ფუნთუშეულის სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში, 60 შემოწმების შედეგად გამოვლინდა ეტიკეტირების წესის დარღვევის სამი შემთხვევა, რის გამოც ბიზნესოპერატორები დაჯარიმდნენ (ეტიკეტირება არ გულისხმობს თითოეულ პურზე ინფორმაციის დატანას. დახლზე დადებულ სურსათს უნდა ახლდეს თანმხლები ინფორმაცია მისი შემადგენლობის შესახებ).

* * *

პური ყველაზე მოთხოვნადი პროდუქტია. ადამიანებმა ჯერ კიდევ პრეისტორიულ ხანაში დაიწყეს წყლით და უხეშად დაფქული მარცვლეულის შერევით მიღებული მასის გახურებულ ქვებზე მომზადება.

პურმა პრეისტორიული ხანიდან დღემდე ხანგრძლივი გზა გაიარა და ამ დროში პურის მომზადების პროცესი მნიშვნელოვნად განვითარდა.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველო პურისა და ღვინის ქვეყანაა. პური საქართველოში ოდითგანვე ცხვებოდა. ამას 2012 წელს კასპის რაიონის სოფელ ხოვლეში აღმოჩენილი უძველესი თონე და ჩარხი ადასტურებს.

თუმცა მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია სულაც არ არის გარანტი, რომ, როდესაც მაღაზიაში შეხვალთ და პურს იყიდით, დაცული იქნებით არაჯანსაღი საკვებისგან.

რა უნდა იყოს ის საზოგადოება, რომელსაც არ სურს, ჭამოს ისეთი პური, რომელიც არ წამლავს? – მკითხა ეკონომიკის ექსმინისტრმა, გაეროს განვითარების პროგრამის ყოფილმა მრჩეველმა; პარლამენტის მე-3 და მე-4 მოწვევის დეპუტატმა,150-ზე მეტი ნაშრომის, მათ შორის, 4 მონოგრაფიის ავტორმა, პროფესორმა მიხეილ ჯიბუტმა და საპატრიარქოს უნივერსიტეტის დერეფანში უზარმაზარ ქოთანში ჩარგულ ყავის ხეს ხელი შეავლო, – როგორც ჰაერის ან წყლის სისუფთავე, ეკოლოგია უნდა გაწუხებდეს, ასევეა პურიც – განაგრძო მცირე პაუზის შემდეგ, – თუმცა ჰაერისგან განსხვავებით პურს ვყიდულობთ – დაამატა ბოლოს და ყავის მარცვლები მომაწოდა – აი, შეხედე, აქამდე გინახავს ყავის მარცვლები ამ ფორმით?

ჯიბუტი ერთი შეხედვით შესაძლოა, იმ მეცნიერის შთაბეჭდილებას ახდენს, რომელსაც საყვარელი სფეროს გარდა, მნიშვნელოვნად არაფერი მიაჩნია, მაგრამ, თუ რამდენიმე საათს მის გვერდით საუბარში უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ან სულაც ეზოში გაატარებთ (რათა სტუდენტების ხმაურს გაერიდოთ), მიხვდებით, – თქვენ გაქვთ პრობლემა, რომელსაც აქამდე განსაკუთრებულ ყურადღებას არ უთმობდით, და ამ პრობლემას ჰქვია პური.

ფოტო: ლევან ხარბედილი

2014 წელს ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაციის, ოქსფამის „ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიის სრულყოფისა და მცირე ფერმერების მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში“ ევროკავშირის დაფინანსებით, მიხეილ ჯიბუტმა მოამზადა კვლევა – „საქართველოში არსებული სასურსათო უსაფრთხოების შემადგენელი ინსტიტუციური მექანიზმები და შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკა“, რომლის მიხედვითაც, საქართველოს სასურსათო უსაფრთხოებაში ყველაზე დიდი გამოწვევა დაკავშირებულია მარცვლეულთან და პირველ რიგში ხორბალთან. „ეს საფრთხე გამომდინარეობს, ჯერ ერთი, იმპორტზე, ფაქტობრივად, სრული დამოკიდებულებით, იმპორტის წყაროების არადივერსიფიცირებით, იმპორტში მონოპოლიის დაშვებით. შემდეგ საფრთხეს ქმნის ასევე ქვეყნის შიგნით სახელმწიფო მარაგისა და რეზერვის არარსებობა. საქართველოში ხორბლის იმპორტი დამოკიდებულია რუსეთსა და ყაზახეთზე, ფქვილისა – უკრაინაზე, რუსეთსა და ყაზახეთზე. რისკის ზომის განსასაზღვრად საკმარისია, ამ ინფორმაციას დაემატოს ის, რომ რუსეთი საქართველოს ტერიტორიების ოკუპანტი ქვეყანაა, უკრაინა კი რუსეთთან საომარ მდგომარეობაშია“, – ვკითხულობთ კვლევაში.

არსებობისთვის ადამიანს სჭირდება კალორიები, საკვები. საქართველოში ამ საკვების 70% პურია. ეს მაჩვენებელი ნორმალურ, საშუალო მომხმარებელ ქვეყნებში 12-20%-ია. მაჩვენებელი დამოკიდებულია კვების სტრუქტურაზე, მაგალითად, თუ ადამიანს დაბალი შემოსავალი აქვს, მოხმარებას პურის სასარგებლოდ გადააწყობს, საკვები რაციონიდან ჯერ ხიზილალას ამოიღებს, შემდეგ თევზს, ხორცს და გადავა კარტოფილსა და პურზე. „იმიტომ, რომ პურში კალორიებია, თუმცა სხვა დიდი არაფერი. პური არ არის ის პროდუქტი, რითაც ადამიანმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

■ შეპყრეგვიყვბა, რომ საქართველო როგორი მდიდარიც ღვინის სახეობებითაა, არანაკლებია ხორბლითაც. დაახლოებით 300-მე ნაირსახეობაა. ამ ჯიშებს თითქმის ჭაობიანი ადგილებიდან მოყოლებული, 1500 მეტრ სიმაღლემდე დიაპაზონზე თესავდნენ. ბევრი ჯიში, მაგალითად სპელტა, დაკარგულიცაა, და მხოლოდ არქეოლოგიური მონაპოვარია, არსებობს მახა, ახალციხური წითელი, შავფხა. დიკა, ზანდური, ამ ჯიშებს ქვეგანაყოფებიც აქვთ, რომლებსაც სიმაღლის, ტენიანობის, ჰავის მიხედვით სხვადასხვა სახელიც ერქვა და სხვადასხვა პირობებში ხარობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯიბუტი, ერთი შეხედვით, შესაძლოა იმ მეცნიერის შთაბეჭდილებას ახდენს, რომელსაც საყვარელი სფეროს გარდა, მნიშვნელოვნად არაფერი მიაჩნია, მაგრამ თუ რამდენიმე საათს მის გვერდით საუბარში, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ან სულაც ეზოში გაატარებთ (რათა სტუდენტების ხმაურს გაერიდოთ), მიხვდებით, – თქვენ გაქვთ პრობლემა, რომელსაც აქამდე განსაკუთრებულ ყურადღებას არ უთმობდით, და ამ პრობლემას ჰქვია პური.

სრულფასოვნად შეიძლება იკვებოს. პური ტვინს არ კვებავს". – მეუბნება მიხეილ ჯიბუტი და მეტი დამაჯერებლობისთვის ჩემს შუბლზე მითითებს.

რისგან შედგება პურის საწარმოო ჯაჭვი? ხორბლისგან, ფქვილისა და უშუალოდ პურპროდუქტებისგან. თუ ჩვენ ვსაუბრობთ ხარისხზე, შესაბამისად, მთელი ციკლი ხარისხიანი უნდა იყოს. გავიაროთ ეს ციკლი.

ხორბლის ის რაოდენობა, რასაც თავად საქართველო აწარმოებს, ჩვენივე მოთხოვნის მხოლოდ 12-13%-ს აკმაყოფილებს, ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენი წარმოებული ხორბალი მხოლოდ თვე-ნახევარი თუ გვეყოფა, შესაბამისად, იმპორტზე ვართ დამოკიდებულნი.

პროდუქტი ორი, ხორბლის და ფქვილის, სახით შემოგვაქვს. რა შემოდის, არავინ არაფერს აკონტროლებს – ამბობს მიხეილ ჯიბუტი – არსებობს სხვადასხვა სახის ხორბალი, ზოგიერთს აქვს მისთვის დამახასიათებელი დაავადებები, მაგრამ ხორბალი კიდევ ნაკლები პრობლემაა, რა თქმა უნდა, არსებობს დაბალი და მაღალი ხარისხის, მაგრამ ფქვილს რაც შეეხება, უფრო რთულადაა საქმე, რადგან, როდესაც ფქვილს ამუშავებენ. ვთქვათ, გათეთრება, ქიმიური საშუალებებით. ძალიან თეთრი ფქვილი ბუნებაში არ არსებობს და ეს მხოლოდ ქიმიური ჩარევით მიიღწევა. რამდენადაა ამ პროცესებში უსაფრთხოების ნორმები დაცული, ეს ჩვენ არ ვიცით".

ჯიბუტი მიხსნის, რომ ხარისხის პერმანენტული შემოწმება არ ხდება, ანუ ჩვენ ვერ ვიქნებით დარწმუნებულები, რომ ხარისხიან პურს ვჭამთ. არ გაგვაჩნია რაიმე ეტალონი, თუ როგორი უნდა იყოს პური, რათა გვქონდეს შესაძლებლობა, შევადაროთ და დავადგინოთ, რამდენად შორს ან ახლოს დგას პროდუქტი სტანდარტთან.

„მოიტანეს ფქვილი მოვიდა საცხობში. – აქ პროფესორი ყურადღებისგამმახვილებელ პაუზას აკეთებს – აქაც არ გაგვაჩნია სტანდარტი, რა ტემპერატურაზე უნდა გამოცხვეს, როგორ შეინახოს, როგორ შეიფუთოს. მივადექით მთავარ საკითხს, რომ ამ ხორბლისგან (რომელიც არ ვიცით, რა ხარისხისაა) ნაწარმოები ფქვილი (რომელიც ასევე არ ვიცით, როგორ დამუშავდა დაფქვის მერე და რას წარმოადგენს), როგორ გადაიქცევა პურად. პურად გადაქცევისთვის გამოიყენება ხელოვნურად ნაწარმოები საფუარი, რომელიც შედგება დაწყებული აზბესტიდან, გაჯიდან, დამთავრებული სარეცხი ქიმიური საშუალებები რომაა, იმ ელემენტებისგან.

სურსათის ეროვნულ სააგენტოში განმარტავენ, რომ პურისა და პურპროდუქტების, როგორც ფართოდ მოხმარებადი სურსათის კონტროლი მუდმივად მიმდინარეობს.

„მონიტორინგს ვეწევით როგორც წარმოების, ისე რეალიზაციის ეტაპზე, ვახდენთ საწარმოების ინსპექტირებას. ვამოწმებთ დოკუმენტებს, ვიღებთ ნიმუშებს და ვიკვლევთ ლაბორატორიულად უვნებლობის მაჩვენებლებზე (პესტიციდების, რადიაციული ფონის, მძიმე მეტალებისა და სხვა ტოქსიკური ელემენტების შემცველობა)". – გვეუბნება სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი ზურაბ ჩეკურაშვილი.

მისი თქმით, პურის უვნებლობის პარამეტრებზე კვლევისას არც ერთი დარღვევა არ გამოვლენილა. ძირითადად, აღინიშნება ეტიკეტირების წესის დარღვევის ფაქტები, რაზეც რამდენიმე ბიზნესოპერატორი დაჯარიმდა კიდევაც, თუმცა, საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ დახლებზე განთავსებული პური და პურპროდუქტები უვნებლობის სტანდარტებს აკმაყოფილებს. „აგრეთვე, მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით ამოქმედდა და შემუშავების პროცესშია ახალი რეგულაციები. 2015 წლის სექტემბრიდან ამოქმედდა ხორბლის ფქვილის ტექნიკური რეგლამენტი და რამდენად დაცულია რეგლამენტის მოთხოვნები, სააგენტო აკონტროლებს. აგრეთვე, უკვე შემუშავდა და განხილვის პროცესშია პურის ტექნიკური რეგლამენტის პროექტი."

თუმცა მიხეილ ჯიბუტისთვის სურსათის ეროვნული სააგენტოს პასუხი დამაკმაყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგლამენტი

2015 წლის სექტემბრიდან ამოქმედდა ხორბლის ფქვილის ტექნიკური რეგლამენტი, რომელიც მიზნად ისახავს რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრას და მომხმარებელთა უფლებების დაცვას. ტექნიკური რეგლამენტით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ბაზარზე განთავსებული ხორბლის ფქვილის ეტიკეტზე მითითებული უნდა იყოს „ხორბლის ფქვილი"; ნებისმიერი ინგრედიენტი, რომელიც ემატება ხორბლის ფქვილს, უნდა იყოს უვნებელი; მას არ უნდა ჰქონდეს უცხო სუნი და გემო, არ შეიცავდეს ცოცხალ ან მკვდარ მწერებს. დაფქვის სიმსხოს მიხედვით ხორბლის ფქვილი იყოფა ექსტრა, უმაღლესი ხარისხის, გამტკიცული, პირველი ხარისხის, მე-2 ხარისხის და ცეხვილ ხორბლის ფქვილად. ბიზნესოპერატორი აგრეთვე ვალდებულია, დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ჰიგიენის ზოგადი მოთხოვნები. მაგალითად, იმპორტის დროს პროდუქტი უნდა იყოს განთავსებული მცენარეთა მავნებლებზე დამუშავებულ ხის პალეტებზე. რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნების შესრულებაზე ქვეყნის ფარგლებში სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სურსათის ეროვნული სააგენტო, ხოლო იმპორტზე ზედამხედველობა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს ეკისრება.

ფილებელი არ არის – „გვეუბნებიან, რომ განხილვის პროცესშია პურის ტექნიკური რეგლამენტის პროექტი. ბუნებრივია, ის, რაც არ არსებობს, ვერც შემოწმდება. დღეისათვის პურის ხარისხის შემოწმების არა თუ სისტემა, არამედ ნორმატიული ბაზაც არ არსებობს. კონკრეტულად, ჩვენ ვსაუბრობთ ქიმიური საფუარის გამოყენებაზე, რომელსაც ტოტალური ხასიათი აქვს და აქედან გამომდინარე, საფრთხეებსა და რისკებზე არ არის დადგენილი რეგლამენტი, არ არსებობს მოთხოვნა ხარისხზე და არ არსებობს შესაბამისობის დადგენის საფუძველი. უფრო მეტიც, დადგენილია ქიმიური საფუარის გრძელვადიანი გავლენა ადამიანებზე და კიბოს დაავადების ხელშემწყობი ხასიათი. მსგავსი მიმართულებით კვლევა ხომ შესაბამისი ნორმატიული ბაზით გამორიცხულია. არაბუნებრივი საფუარის რა ნორმებს უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში პურის ცხობისას გამოყენებული ქიმიური საფუარი? ცალკე თემაა ხორბლის ხარისხი, „პურის შეღებვის" საკითხი, ფქვილის „გათეთრების" ტექნოლოგია, იმპორტირებული ფქვილის ხარისხი და სხვა – ამბობს ჯიბუტი.

* * *

პირველი პური, რომელშიც არც ბუნებრივი და არც ხელოვნური საფუარი არ იყო გარეული, ბრტყელი და მაგარი იყო .

პურის დედოზე ცხობა მეცნიერების ვარაუდით დაახლოებით 5000 წლის წინათ დაიწყო. ამ პროცესში ცომში ჰაერში არსებული საფუარის ბაქტერიები მრავლდება და ისინი უზრუნველყოფს გაფუებას.

უცნობია, კონკრეტულად ვინ და როდის გამოიყენა პირველად ხელოვნური საფუარი, დღეს მას უკვე ფართოდ მოიხმარენ პურფუნთუშეულის მწარმოებელ კომპანიებში, რადგან პური ფუმფულა, სასიამოვნო საჭმელი ხდება, თუმცა პურში ბუნებრივი საფუარის გამოყენებას მეტი დადებითი თვისებები აქვს როგორც პურის წარმოების, ასევე ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაფორმალური განათლების ფორმალური შესაძლებლობები

სალომე გორგოძე

არაფორმალური განათლების ცნება პირველად ქართულ კანონმდებლობაში 2005-2007 წლებში განათლების სისტემაში გატარებული რეფორმების შემდგომ გაჩნდა. 2011 წლიდან არსებობს განათლების მინისტრის ბრძანება არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე. მიუხედავად ამისა, აღნიშნული დოკუმენტი უფუნქციოა, ვინაიდან პრაქტიკაში არ გამოიყენება. სპეციალისტების შეფასებით, ამისი მიზეზი უმთავრესად არის ის, რომ დოკუმენტი ბუნდოვანია და დახვეწას საჭიროებს. მასში არ არის კონკრეტულად გაწერილი ის ინსტრუმენტები, რომელთა მეშვეობითაც არაფორმალური განათლების აღიარება მოხდებოდა.

რატომაა მნიშვნელოვანი არაფორმალური განათლება

არაფორმალური განათლება პიროვნებისა და საზოგადოების განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია, კვლევები აჩვენებს, რომ განათლების 60%-ზე მეტი სწორედ არაფორმალური გზით მიღებულ განათლებაზე მოდის. ამიტომაცაა, რომ განათლების სისტემების მიმდინარე რეფორმები სწორედ არაფორმალური განათლების ელემენტების ფორმალურ განათლებაში ინტეგრირების ხარჯზე ხდება, – ამბობს განათლების სპეციალისტი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კონსულტანტი თეა სიფრაშვილი და განმარტავს, რომ საგანმანათლებლო პროგრამებისთვის არჩევითი კომპონენტების დამატება, სტუდენტებისთვის მოქნილი სწავლების ფორმატის შეთავაზება, მათ შორის მეტი აქცენტი დისტანციურ სწავლებაზე, ორიენტირება პრაქტიკაზე დაფუძნებულ სწავლაზე, სწორედ ის ელემენტებია, რომელიც არაფორმალურ განათლებას ახასიათებს და დღეს უკვე ფართოდ გვხვდება თანამედროვე ფორმალურ განათლებაშიც.

„რაც უფრო ვითარდება საზოგადოება და ეკონომიკა მით უფრო არასაკმარისი ხდება სტანდარტიზებული, ფორმალური განათლება და უპირატესობა ენიჭება ინდივიდუალურ გამოცდილებას. შესაბამისად, თანდათან იმის საჭიროებაც დგება, რომ ასეთი ინდივიდუალური გამოცდილებისა და გამოცდილების საფუძველზე მიღებული კომპეტენციების ფორმალურად დადასტურება შეეძლოს ადამიანს",- ამბობს ის.

ფორმალური განათლება როგორც ფორმის, ისე შინაარსის თვალსაზრისით სტრუქტურირებულია, წინასწარ არის მეტწილად განსაზღვრული პროგრამა, სასწავლო რესურსები და ამ პროგრამის ათვისების დრო. არაფორმალური განათლება კი მთლიანად ინდივიდის სურვილებზეა აგებული,- რა, სად და როგორ შეისწავლოს. თითოეული ადამიანი უფრო და უფრო მეტ ცოდნას იძენს უშუალოდ სამუშაო გამოცდილების, კოლეგებსა და მეგობრებთან ურთიერთობის, ინტერნეტ და ბეჭვდითი რესურსების საშუალებით. თითოეული ტრენინგი, სემინარი, კონფერენცია, სამიტი, სამუშაო შეხვედრა, პროფესიული მოკლევადიანი კურსები კი ზრდის გარკვეულ სფეროში მის კვალიფიკაციას.

თუმცა ქართულ კანონმდებლობაში არ არსებობს ჩამოყალიბებული ერთიანი ხედვა თუ რა არის არაფორმალური განათლება. არაა განსაზღვრული დამოუკიდებლად არც არაფორმალური და ინფორმალური განათლება, რომელსაც ხშირად არაოფიციალურ განათლებას უწოდებენ. (ინფორმალურ განათლებას ადამიანი სერიოზული ძალისხმევის გარეშეც იღებს, მაგალითად როცა მშობელი ბავშვს ველოსიპედის ტარებას ასწავლის.) თეა სიფრაშვილის თქმით, ეს ხელისშემშლელია მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის/სწავლების ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში დანერგვისა და პიროვნული განვითარების ხელშეწყობისთვის, რაც განათლების სისტემების ერთ-ერთ ფუნდამენტურ მიზანს წარმოადგენს.

„ევროპის განათლებისა და ტრენინგების სტრატეგია 2020-სთვის", ერთ-ერთი ძირითადი ორიენტირი ევროპის ქვეყნებში მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობაა, რაც გულისხმობს იმას, რომ ფორმალურ განათლებასთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა არაფორმალურ განათლებას ენიჭება.

„პროფესიულ განათლებაში დღეს არსებული კრიტიკული სიტუაცია, როცა სტუდენტთა უდიდესი ნაწილი არის ზრდასრული უმღლესი განათლების მქონე ადამიანი, რომელიც ერთი მხრივ, ადგილს ართმევს 15-18 წლის ახალგაზრდას, რომელსაც საერთოდ არ აქვს კვალიფიკაცია და მეორე მხრივ, სერიოზულ პრობლემებს უქმნის პროფესიულ განათლებას ადმინისტრირების კუთხით – ხშირი გაცდენებით, სწორედ არაფორმალური განათლების არაეფექტიანობით არის გამოწვეული. ქვეყანაში არ არსებობს ვალიდური მექანიზმები (დაფინანსება, აღიარება და სერტიფიცირება) მოკლევადიანი კურსებისთვის, რომელიც გარკვეული კვალიფიკაციის მქონე ადამიანებისთვის შექმნის კვალიფიკაციის ამაღლებისა თუ პროფესიის შეცვლის საშუალებას ფორმალურ განათლებაში ჩართვის (პროფესიული ტესტირების გავლისა და სრულ საკვალიფიკაციო პროგრამაზე რეგისტრაციის) გარეშე", – ამბობს ის.

თეა სიფრაშვილის თქმით, საქართველოს, როგორც ასოცირებულ წევრ ქვეყანას, რეკომენდაცია აქვს, ხელი შეუწყოს ქვეყანაში უწყვეტი განათლების მიღების შესაძლებლობას. ხელშეწყობა გულისხმობს, ერთი მხრივ, არაფორმალური განათლებისთვის საკანონმდებლო სივრცეში ადგილის მიჩენას (ტერმინის განსაზღვრას, ფორმალიზების საშუალებას) ფინანსური და მატერიალური რესურსების არსებობას.

მისი თქმით, იმ რეალობის გათვალისწინებით, როცა საქართველო ასოცირების ფარგლებში ახდენს თავისი კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროპულ საკანონმდებლო სივრცესთან, იზრდება შრომითი მიგრაცია, არაფორმალური განათლების აღიარება კი საქართველოს მოსახლეობის საკმაოდ მრავალრიცხოვანი ნაწილისთვის, რომელთაც როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ შრომის ბაზრისთვის საჭირო კომპეტენციები შეიძინეს, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

როგორია არაფორმალური განათლების აღიარების უცხოური პრაქტიკა

არაფორმალური განათლების აღიარებისათვის ევროპის სხვადასხვა ქვეყანა მეტ-ნაკლებად მსგავს ინსტრუმენტებს იყენებს. ერთი მხრივ არსებობს კვალიფიკაციების ჩარჩო, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტული კვალიფიკაციებისთვის მოთხოვნებს და მეორე მხრივ მისი დადასტურების მექანიზმები, – ანუ არსებობს არაფორმალური განათლების აღიარების წესი, რომელიც ადგენს, შეესაბამება თუ არა ადამიანის კვალიფიკაცია იმ მოთხოვნებს, ცოდნასა და უნარს, რასაც კონკრეტული კვალიფიკაციის მქონე ადამიანი უნდა აკმაყოფილებდეს. არსებობს სახელმწიფოს მიერ აღიარებული ორგანიზაციებიც, რომლებიც აღნიშნული მექანიზმების საშუალებით ახდენენ კვალიფიკაციების დადასტურებას (წარდგენილი დოკუმენტების ვალიდურობის შემოწმება ან კომპეტენციების განსაზღვრა გამოცდის საფუძველზე).

„ერასმუს+ საქართველოს" ეროვნული ოფისის კოორდინატორი ლიკა ღლონტი არაფორმალური განათლების უცხოური პრაქტიკის შესახებ საუბრისას აღნიშნავს, რომ არაფორმალური განათლების აღიარების ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პრაქტიკა საფრანგეთსა და შვეიცარიაშია, სადაც ეს უმაღლესი განათლების დონეზე ხდება.

მაგალითად, თუკი ადამიანი წლების განმავლობაში განათლების ადმინისტრირების სფეროში მოღვაწეობს, მაგრამ ფორმალურ დონეზე იურიდიული განათლება აქვს მიღებული, შეუძლია განათლების სფეროში თავისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი ინფორმაცია (კვლევებსა და ტრენინგებში მონაწილეობა, გამოქვეყნებული პუბლიკაციები და ა.შ) წარუდგინოს სპეციალურ კომისიას. რომელიც, თავის მხრივ, შეაფასებს, დაინტერესებული პირის ცოდნა და კომპეტენცია შეესაბამება თუ არა იმ ცოდნასა და უნარს, რასაც უნდა ფლობდეს, მაგალითად, მაგისტრის აკადემიური ხარისხის მიღების შემთხვევაში. თუკი ეს ორი რამ ერთმანეთთან თანხვედრაშია, მაშინ ხდება მისი არაფორმალური განათლების აღიარება და მაგისტრის ხარისხის მინიჭება.

ფინეთში არაფორმალური განათლების აღიარების საჭიროება მას შემდეგ წარმოიშვა, რაც შრომით ბაზარზე კომპეტენციაზე დაფუძნებული კვალიფიკაციის მოთხოვნა გაჩნდა, ანუ საჭირო გახდა კვალიფიკაციის ოფიციალური დადასტურება. არსებობდა ძალიან ბევრი ადამიანი, რომელსაც ჰქონდა კვალიფიკაცია, მაგრამ არ ჰქონდა ამის დამადასტურებელი დოკუმენტი, ეკონომიკური სექტორის ფორმალიზებამ კი მათთვის მათი კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტის საჭიროება წარმოშვა.

ნორვეგიაში კი არსებობს სპეციალური საკონსულტაციო ცენტრები, რომლებსაც სახელმწიფო აფინანსებს. ამ ცენტრებში დაინტერესებულ პირს ცენტრის თანამშრომლები აძლევენ „მიმართულებას", – ერთი მხრივ, ეცნობიან მის კომპეტენციას, ამაზე დაყრდნობით კი აწვდიან ინფორმაციას, თუ კონკრეტული კვალიფიკაციის მისაღებად რა სახის კომპეტენცია აკლია, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს მოკლევადიანი ტრენინგის გავლა ან გამოცდის ჩაბარება. რაც მოქალაქეებს შესაძლებლობას აძლევს, ერთი მხრივ, იცოდნენ, კონკრეტული კვალიფიკაციის მისაღებად რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილონ, მეორე მხრივ, სად და როგორ მიიღონ დამატებითი კომპეტენციები იმისთვის, რომ მათი კვალიფიკაცია აღიარონ.

არაფორმალური განათლების მხარდაჭერა

გარდა აღიარებისა, სპეციალისტები სახელმწიფოს მხრიდან არაფორმალური განათლების მხარდაჭერის მექანიზმების საჭიროებაზე ამახვილებენ ყურადღებას.

კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის ხელმძღვანელი, ირინა ხანთაძე არაფორმალური განათლების მიღებაში ადგილობრივი მუნიციპალიტეტების როლის მნიშვნელობაზე საუბრობს. მისი თქმით, კანონმდებლობა მუნიციპალიტეტებს აძლევს უფლებამოსილებას, მხარი დაუჭირონ არაფორმალურ განათლებას, უფრო აქტიურად ითანამშრომლონ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ან არაფორმალური განათლების სასწავლო ცენტრებთან, თუმცა, მისივე თქმით, არსებობს ბევრი ხელის შემშლელი ფაქტორიც.

„მაგალითად, დღეს მუნიციპალიტეტებს არ შეუძლიათ, გასცენ თანადაფინანსება გრანტის საფუძველზე. კანონი მათ ამის საშუალებას არ აძლევს. შეუძლიათ მხოლოდ შესყიდვა, ან საკუთარი დაწესებულებების სუფსიდირება, რაც ერთ-ერთი შემაფერხებელი გარემოებაა ასეთი თანამშრომლობისთვის. უცნაურია, რომ მუნიციპალიტეტს, რომელიც უფრო ახლოს არის თემთან და უფრო მეტ სამოქალაქო აქტივობას შეიძლება ეწეოდეს საზოგადოებასთან ერთად და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, დღეს ეს უფლება არ გააჩნია",- ამბობს ირინა ხანთაძე.

გარდა ამისა, ირინა ხანთაძე საუბრობს „მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლების" ცენტრებზე, რომლებიც დღეს სახელმწიფო უნივერსიტეტების ბაზაზე არსებობს. მისი თქმით, აღნიშნული ცენ-

ტრების ეფექტიანად საქმიანობის შემთხვევაში, სტუდენტებს, ერთი მხრივ, არაფორმალური განათლების უნივერსიტეტის ბაზაზე მიღების შესაძლებლობა ეძლევათ, მეორე მხრივ, მსგავსი ცენტრების დახმარებით, რეგიონული უნივერსიტეტები შესაძლოა არაფორმალური განათლების კერად იქცეს რეგიონში მცხოვრები ადამიანებისათვის, ვინაიდან დედაქალაქისგან განსხვავებით, არაფორმალურ განათლებაზე მომუშავე ორგანიზაციებზე რეგიონებში ნაკლებად მიუწვდებათ ხელი.

საგანმანათლებლო ინიციატივების ქართული ასოციაციის (სიქა) დამფუძნებელი, პავლე თვალიაშვილი მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ არაფორმალური განათლება სკოლის დონეზეც უნდა წაახალისოს. მისი თქმით, ვინაიდან ფორმალური განათლებაა ის ბაზისი, რომელსაც შემდგომ ეფუძნება არაფორმალური განათლება, მნიშვნელოვანია, რომ სკოლის დონეზეც აქტიურად ხდებოდეს არაფორმალური განათლების მხარდაჭერა. თვალიაშვილი მაგალითად სასკოლო კლუბების პრაქტიკას ასახელებს.

თუმცა, მისივე თქმით, მსგავსი პრაქტიკა ქართულ სკოლებში წახალისებული არ არის. სახელმწიფო მათ არსებობას არ კრძალავს, მაგრამ ინიციატივას არ იჩენს, რომ მსგავსი კლუბების პროექტებისთვის მცირე დაფინანსება გამოყოს.

„შედეგად ვიღებთ იმას, რომ სკოლებში მსგავსი კლუბები დიდი ამერიკული თუ ევროპული პროექტების ფარგლებში არსებობს, თუმცა – ძირითადად დიდ ქალაქებში. პატარა სოფლის სკოლების მოსწავლეები ამ შესაძლებლობას უმეტესად მოკლებულნი არიან“, – ამბობს ის.

რას გეგმავს სახელმწიფო

ირინა ხანთაძე მიიჩნევს, რომ უპირველესად მნიშვნელოვანია, დამტკიცდეს ახალი საკვალიფიკაციო ჩარჩო, რომელშიც უფრო მკაფიოდ იქნება აღწერილი კვალიფიკაციები საფეხურებისა და დონეების მიხედვით, რასაც შემდგომში უკვე დაეფუძნება არაფორმალური განათლების აღიარების ქმედითი მექანიზმი. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო არის დოკუმენტი, რომელიც აერთიანებს საქართველოში არსებულ ყველა კვალიფიკაციას, ასახავს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სხვადასხვა საფეხურის სწავლის შედეგებს. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო აყალიბებს, თუ რა ცოდნა, უნარი და ღირებულებები უნდა ჰქონდეს პირს შესაბამისი საფეხურის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის – ატესტატის, პროფესიული დიპლომისა და დიპლომის მისაღებად.

2015-2016 წლებში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა არაფორმალური განათლების აღიარების კონცეფცია, არაფორმალური განათლების აღიარების წესის პროექტი და არაფორმალური განათლების აღიარების გზამკვლევი შეიმუშავა.

როგორც ცენტრში „ლიბერალს“ განუცხადეს, არაფორმალური განათლების აღიარების ახალი წესის დამტკიცებას სჭირდება საკანონმდებლო საფუძველი, რომელზეც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მუშაობს.

ახალი წესის თანახმად, არაფორმალური განათლების აღიარება შესაძლებელი იქნება პროფესიული განათლების ყველა საფეხურზე და არაფორმალური განათლების აღიარების უფლება, შესაბამისი ნებართვის საფუძველზე ექნებათ დარგობრივ ასოციაციებს, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა გაერთიანებებს.

უფრო კონკრეტულად კი, ახალი წესით არაფორმალური განათლების აღიარების პროცესი და პროცედურები 4 ძირითად ეტაპს მოიცავს: იდენტიფიცირება – არაფორმალური განათლების აღიარების საჭიროების, კომპეტენციების, სწავლის შედეგების იდენტიფიცირება; დოკუმენტირება – დოკუმენტების შეგროვება მტკიცებულებებთან ერთად; შეფასება – სწავლის შედეგების შეფასება სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით; სერტიფიცირება – სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება სერტიფიკატით.

„ახალი წესი არის თანმიმდევრული და ზუსტად აღწერს იმ პროცესებს, რომლის მიხედვითაც, უნდა მოხდეს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება, შეფასება და დადასტურება. ამ წესით აღიარებული არაფორმალური პროფესიული განათლების მტკიცებებითაა გამყარებული“,- აცხადებენ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

ცენტრის ინფორმაციით, ახალი წესის დამტკიცებამდე მოხდება არაფორმალური განათლების აღიარების პილოტირება საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სოფლის მეურნეობის მიმართულების ორ პროფესიულ სპეციალიზაციაში. პილოტირების შედეგები კი არაფორმალური განათლების აღიარების ახალი წესის პროექტში აისახება. რაც შეეხება ახალი წესის დამტკიცების ვადებს, ცენტრში კონკრეტულ თარიღს არ ასახელებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო: დავით ფაღავა

საშიში სათამაშოები

ნათია ამირანაშვილი

საქართველოში საბავშვო სათამაშოების უსაფრთხოება არ მოწმდება. გონებრივი და ფსიქიკური განვითარების ჩამორჩენა, ნერვულ სისტემასთან დაკავშირებული პრობლემები, ინტოქსიკაცია, ალერგია – შედეგები, რომლებიც უხარისხო სათამაშომ შეიძლება გამოიწვიოს, ქვეყანაში ყურადღების მიღმა რჩება. საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებით ბაზარზე განთავსებული პროდუქციის ზედამხედველობის ორგანოს შექმნის ვალდებულება აიღო, თუმცა აღნიშნული მოთხოვნა ამ დრომდე არ შესრულებულა.

ტყვია, ვერცხლისწყალი, კადნიუმი, ნიკელი – ეს იმ ნივთიერებების არასრული ჩამონათვალია, რომელიც „მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების ელიმინაციის გლობალურმა ქსელმა“ (IPEN) ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში სათამაშოების უსაფრთხოების შემოწმებისას აღმოაჩინა.

„ლიბერალთან“ საუბრისას მანანა ჟურული, შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პროფილაქტიკური ტოქსიკოლოგიის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი ამბობს, რომ შემოწმებისას 594 სათამაშოდან 164-ში აღმოჩნდა სხვადასხვა ნივთიერება, უფრო მომატებული კონცენტრაციით, ვიდრე ეს დასაშვებია.

მისივე თქმით, თითოეული მათგანი ძალიან ტოქსიკური ნივთიერებაა და შესაბამისად, ბავშვების სათამაშოებში თუ მათი კონცენტრაცია მაღალია, ტოქსიკური ეფექტის გამოწვევა შეუძლია. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ბავშვებს ყველაფერი პირთან მიაქვთ, ღეჭავენ და ა.შ.

როგორც მანანა ჟურული ამბობს, მაგალითად ტყვიას შეიცავს საღებავები, რომლითაც სათამაშოებს ღებავენ, დაბალი ეკონომიკის ქვეყნებში კი, როგორიც საქართველოცაა, ძირითადად, მსგავსი სახის სათამაშოები იყიდება.

რატომ არის ტყვია საშიში?

„ტყვია პირველ რიგში ნერვულ სისტემაზე მოქმედებს, ბავშვებში ინტელექტის შემცირებას, ინტელექტის კოეფიციენტის დათრგუნვას იწვევს. ტყვიის მომატებული კონცენტრაციის გამო, შესაძლოა, ბავშვი უფრო ჰიპერაქტიური გახდეს, შემეცნების უნარი უფრო დაუქვეითდეს. ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე გავლენა არ არის ტყვიის ზემოქმედების ერთადერთი შედეგი. ტყვია ლაგდება ძვლებში; ეს საერთოდ მეტალებისთვისაა დამახასიათებელი. ანტაგონისტია კალციუმი. ბავშვებს, რომლებსაც ტყვიასთან აქვთ შეხება, შესაძლოა, ისეთი ძვალსახსროვანი სისტემა არ ჩამოუყალიბდეთ, როგორიც საჭიროა“, – ამბობს ჟურული.

ჟურული ორგანიზმში ტყვიის დაგროვების უნარს გამოყოფს და ამბობს, რომ მას აქვს უნარი ,გამოვლინდეს ექსტრემალურ სიტუაციებში.

„ფეხმძიმობისას ტყვია გამოდის ძვლებიდან და იმ ორგანოებიდან, სადაც დაგროვებულია და გადადის სისხლში. ის პირდაპირ გადალახავს პლაცენტას, ნაყოფის ორგანიზმში დედის სისხლთან ერთად გადადის და პირდაპირ ტვინზე მოქმედებს“, – ამბობს ჟურული.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და საყურადღებო საკითხია ის, რომ ტყვიით მოწამვლას მყისიერი ეფექტი არ აქვს. მოწამვლა ქრონიკულად მიმდინარეობს.

„ეს, რაც ტყვიას შეეხება. სხვა მეტალებსაც თითქმის ანალოგიური თვისებები აქვს. მაგალითად, ვერცხლისწყალი – ის რეპროდუქციულ დარღვევებს იწვევს. ვერცხლისწყალს ძალიან ბევრი კოსმეტიკური საშუალებაც შეიცავს, მათ შორის, საბავშვო კრემები და ა.შ.“, – ამბობს ჟურული.

პროფილაქტიკური ტოქსიკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ინგა ღვინერიას თქმით, ბავშვების ორგანიზმში ტყვიის დადგენილი ნორმაა 10 მიკროგრამი/დეცილიტრში. გარემო ზემოქმედება კი იმდენად კომბინირებულია, რომ ბავშვებმა ტყვია შესაძლოა, სათამაშოსთან ერთად სხვა გზითაც მიიღონ. „არ ხდება სისტემური კონტროლი. არ ვიცით, რამდენია ტყვიის შემცველობა ჰაერში, წყალში, ნიადაგში. ამდენად, ეს გარემო იმდენად კომბინირებულია, რომ რისკი სულ უფრო მატულობს“.

„იმ შემთხვევაში, თუ სისხლში ტყვიის შემცველობა დასაშვებ ნორმაზე 2-ჯერ და 3-ჯერ მეტია, თანდათანობით ხდება კლინიკური ნიშნების გამძაფრება. ბავშვი შეკითხვებს სათანადოდ ვერ პასუხობს, სკოლაში ჩამორჩება, ასევე აქვს ინტელექტის დაქვეითების ნიშნები. თანდათანობით თავს იჩენს ისეთი დაავადებები, როგორიცაა – ანემია და ა.შ. შესაძლოა, ბავშვი კრუნჩხვებამდეც მივიდეს, მაგრამ არავის არ მოსდის აზრად, შეამოწმოს, ბავშვის სისხლში რამდენია ტყვიის შემცველობა“, – ამბობს ღვინერია.

მისი თქმით, პლასტმასის სათამაშოებიც არ არის დაზღვეული მავნე ზეგავლენისგან, რადგან ისინიც შეიცავს მავნე ნივთიერებებს.

„პლასტმასის სათამაშოებში გამოყენებულია დამარბილებელი და ელასტიკურობის მიმცემი დანამატები, რომლებიც ჯანმრთელობაზე ძალიან ცუდად მოქმედებს; კარცეროგენამდე მიდის საქმე, ესტროგენებზე (ჰორმონი, რომელიც არეგულირებს ქალის რეპროდუქციულ სისტემას) მოქმედებს. ამ შემთხვევაშიც საუბარია არა მწვავე, არამედ ქრონიკული მოწამვლის საშიშროებაზე. ბავშვთა სათამაშოები არც საბაჟოზე კონტროლდება, რადგან ამას ბაზა სჭირდება, თავისი ლაბორატორია, მომზადებული კადრი, მოწესრიგებული სისტემა, რასაც ქიმიური უსაფრთხოების დაცვა და პროფილაქტიკა ჰქვია და რაც, ჯერჯერობით, ჩვენთან არ არის. საკმაოდ ძვირადღირებული კომფორტია, რადგან ლაბორატორიები და სისტემური კონტროლი ხარჯთან არის დაკავშირებული“, – ამბობს ღვინერია.

მისი თქმით, მკურნალობის ეფექტი დამოკიდებულია სწორ დიაგნოსტიკაზე. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია სისტემური ლაბორატორიული კონტროლი და იმ მიზეზების დადგენა, თუ რამ მიიყვანა ბავშვი ამა თუ იმ მდგომარეობამდე.

პედიატრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ავთანდილ კვეზერელი ამბობს, რომ სათამაშოების საღებავები უნდა იყოს მეტად მდგრადი და არ იხსნებოდეს ნერწყვის შეხებაზეც კი. აუცილებლად უნდა გამოიყენებოდეს კვების მრეწველობისთვის განკუთვნილი საღებავები, არ უნდა ჰქონდეს სპეციფიკური სუნი, რომ არ გამოიწვიოს გარკვეული მოწამვლითი პროცესები.

როგორც კვეზერელი ამბობს, მის პრაქტიკაში ხშირად ყოფილა შემთხვევა, როდესაც ბავშვის სათამაშოთი მოწამვლაზე ჰქონიათ ეჭვი, თუმცა, მისივე თქმით, „გამჟღავნების საშუალება არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვთ, რომ ბავშვის მონამვლა გარკვეულ შემთხვევებში სწორედ სათამაშოს ბრალი იყო".

„საერთო ინტოქსიკაცია, პირღებინება, სიფერმკრთალე, შესაძლოა კუჭის აშლაც, ამას ემატება ნერვული სიმპტომატიკა, აღგზნებადობა ან პირიქით, ალერგიული გამონაყარი, მაღალი სიცხე, თუკი ბავშვი მოწამლულია მძიმე მეტალებით, ზოგიერთი ნევროლოგიური გადახრა და ა.შ. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, გამოწვეული იყოს სხვა მიზეზით, მაგრამ თუკი ექვი გაგვიჩნდა, რომ სათამაშოს ბრალია, მაშინ აუცილებელია ამ სათამაშოების ექსპერტიზაზე წაღება და შემოწმება. მკურნალობის მეთოდები ამ ჩივილებზე არ განსხვავდება, თუმცა რამ გამოიწვია ის, ამის დადგენა ჩვენთან უკვე ძალიან ძნელია", – ამბობს კვეზერელი.

ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნები

პროდუქტის უსაფრთხოების ზოგადი დირექტივა 2001/95/EC

„წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დანიშნონ კომპეტენტური პირები ან შექმნან კომპეტენტური ორგანო, რომელიც მონიტორინგს გაუწევს პროდუქტის უსაფრთხოების ზოგად ნორმებთან შესაბამისობას. მათ უნდა მიენიჭოთ სათანადო ძალაუფლება, რათა მიიღონ შესაბამისი ზომები, რომლებიც ამ დირექტივით არის განსაზღვრული.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ შესაბამისი ორგანოების ამოცანები... მათ ზომები უნდა მიიღონ ნებისმიერ პროდუქტზე, რომელიც შესაძლოა, ადამიანს საფრთხეს უქმნიდეს; გონივრულ ვადაში მისცენ გაფრთხილება რისკის არსებობის შესახებ.

ნებისმიერი სახიფათო პროდუქტის შემთხვევაში: უნდა აიკრძალოს მისი რეკლამა და დაადგინონ წესები აკრძალვის უზრუნველსაყოფად.

ნებისმიერი საშიში პროდუქტის შემთხვევაში, რომელიც უკვე ბაზარზეა: [შესაბამისმა ორგანომ] უნდა მოითხოვოს მისი დაუყოვნებლივ გატანა და აცნობოს მომხმარებელს არსებული რისკის შესახებ. მწარმოებელსა და დისტრიბუტორთან ერთად გაუწიოს კოორდინაცია ან, თუ საჭიროა, მოახდინოს მყიდველისგან საშიში პროდუქტის უკან გამოთხოვისა და შესაბამის პირობებში განადგურების ორგანიზება", – ამის შესახებ ნათქვამია პროდუქტის უსაფრთხოების ზოგად დირექტივაში, რომლის გათვალისწინებაც საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით აკისრია.

ლია თოდუა, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის პროექტის momkhmarebeli.ge-ს ხელმძღვანელი, ამბობს, რომ როგორც კი ძალაში შევიდა ასოცირების შეთანხმება, პროდუქციის ზოგადი უსაფრთხოების დირექტივა უნდა დანერგილიყო.

„პროდუქციის ზოგადი უსაფრთხოების დირექტივის მიხედვით, ზოგადად, ბაზარზე განთავსებული პროდუქცია უნდა იყოს უსაფრთხო, მაგრამ დირექტივა ამბობს იმასაც, რომ ამას უნდა აკონტროლებდეს სახელმწიფო, ბაზრის ზედამხედველობა, ანუ კონტროლდებოდეს, თუ რამდენად სრულდება ამ დირექტივის მოთხოვნები. აღნიშნული საქართველოში დღემდე არ ხდება", – ამბობს თოდუა.

მისივე თქმით, მიუხედავად „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" კოდექსში არსებული ჩანაწერისა, რომ „მწარმოებელი ვალდებულია, ბაზარზე განათავსოს მხოლოდ უსაფრთხო პროდუქტი", შემდეგ ვინ აკონტროლებს ამას, ეს უკვე კოდექსში აღარ არის განსაზღვრული.

როგორც თოდუა ამბობს, ამ კოდექსს სჭირდება დახვეწა და ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად ცვლილება.

„ყველაფერი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით უნდა მოწმდებოდეს, იცავენ თუ არა მწარმოებლები კანონის მოთხოვნას. ეს ეხება ყველა პროდუქციას და არა მხოლოდ სათამაშოებს. ამავე კოდექსში გათვალისწინებულია ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო, თუმცა ის რეალურად აკონტროლებს არა ბაზარზე განთავსებულ პროდუქციას, არამედ ლიფტებს, შახტებს, საბაგიროებს, უფრო ინფრასტრუქტურულ ნაგებობებს", – ამბობს თოდუა.

თოდუას თქმით, გარდა „პროდუქციის ზოგადი უსაფრთხოების დირექტივისა", არსებობს უშუალოდ სათამაშოებთან დაკავშირებული დირექტივა (Toy Safety Directive 2009/48/EC), რომელიც საქართველოში 2019 წლის 1 სექტემბრამდე უნდა ამოქმედდეს.

ამ დირექტივით დაწესებულია კონკრეტუ-



ლი მოთხოვნები: რომ სათამაშოს ჰქონდეს EC ნიშანი, შესაბამისობის დეკლარაცია, რომ ის ევროკავშირის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. დირექტივის მიხედვით, სათამაშოს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ინსტრუქცია, ასევე ინფორმაცია უსაფრთხოების შესახებ. ის უნდა იწვევდეს გაგუდვას, ასფიქსიას; არ უნდა იყოს აალებადი; ქიმიურ მოთხოვნებში გაწერილია, რა შეიძლება და რა არ შეიძლება, იყოს გამოყენებული. წერია, რომ ალერგიული ნივთიერებები არ უნდა იყოს გამოყენებული. გაწერილია ნივთიერებების ზღვრული რაოდენობა – ალუმინი, ბარიუმი, ქრომი და ა.შ. ასევე გაწერილია სხვა ორგანულ ნივთიერებებზე ზღვრული შემადგენლობები, რომელი ნივთიერება რა რაოდენობით დაიშვება და ა.შ", – ამბობს თოდუა.

ეკონომიკის სამინისტროში აცხადებენ, რომ ევროკავშირის დახმარებით ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში განხორციელდა ტექნიკური დახმარების პროექტი, რომელიც დასრულდა მიმდინარე წლის სექტემბერში. პროექტის ფარგლებში – ბაზრის ზედამხედველობის სისტემის სისუსტეების ანალიზზე დაყრდნობით მიმდინარე წელს სააგენტოში დაიწყება ევროკავშირის დაფინანსებული Twinning-ის პროექტი (Twinning – ევროკავშირის ინსტრუმენტი, რომლის ფარგლებშიც ხდება საჯარო უწყებების ინსტიტუციური თანამშრომლობა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოსა და პარტნიორ ან ბენეფიციარ სახელმწიფოს შორის), სააგენტოს თანამშრომლების გადასამზადებლად და მისი ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით, რათა საქართველოში დაიწყოს ბაზარზე ზედამხედველობა, ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

მათი თქმით, ბაზრის ზედამხედველობისთვის, აუცილებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია ევროპული ქვეყნების ლაბორატორიების მომსახურების გამოყენება (თუ საჭირო გახდება პროდუქტის სპეციფიკიდან გამომდინარე და ამავე დროს შეუძლებელი იქნება საქართველოში ასეთი მომსახურების მიღება).

რაც შეეხება სათამაშოების უსაფრთხოების დირექტივას, როგორც სამინისტროში აცხადებენ, იმის გათვალისწინებით, რომ სათამაშოების შესახებ დირექტივის მიღება დაგეგმილია 2019 წელს, მანამდე დაგეგმილია შესაბამისი მოსამზადებელი სამუშაოები – შესაბამისი კადრების მომზადება და სააგენტოს ინსტიტუციური გაძლიერება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველის არწივი, სოფ. სახალვაშო

მსხვეჩვლილ ქსეული მტაცებლები

ავტორი, ფოტო: დათო ფარულავა

ზაფხულის მიწურულს ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით ფრინველების მასშტაბური მიგრაცია იწყება. აღმოსავლეთ ევროპიდან და ჩრდილო აზიიდან აფრიკის მიმართულებით ყოველწლიურად 35-მდე სახეობის მტაცებელი მიფრინავს, თუმცა, სანამ საბოლოო დანიშნულების პუნქტს მიაღწევენ, აღმოსავლეთ შავი ზღვის სამიგრაციო დერეფანი უნდა გაიარონ, რომელიც გადამფრენი მტაცებლების კონცენტრაციის თვალსაზრისით, მსოფლიოში მნიშვნელობით მესამეა. „თბილ ქვეყნებში“ მოსახვედრად ფრინველებმა გზად ბევრი დაბრკოლება უნდა გადალახონ და თუ მაგალითად მონადირის ტყვიას ან დატყვევებას გადაურჩნენ, აფრიკის რომელიმე ქვეყანაში გამოიზამთრებენ, გაზაფხულზე კი უკუმიგრაცია დაიწყება და აჭარის ცას კიდევ ერთხელ გადაუფრენენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სახალვაშოს შემოდგომაზე ასობით ეკოტურისტი სტუმრობს. ფოტოკამერებით, ბინოკლებითა და ტელესკოპებით შეიარაღებული მოხალისეები აქ ფრინველებზე დასაკვირვებლად ბოლო რამდენიმე წელია, ინტენსიურად მოდიან. რეგიონში ფრინველებზე დაკვირვების რამდენიმე პუნქტია. თუ ამინდში გაგიმართლა და მოწყობილობაც შესაბამისი გაქვს, შეგიძლია, ფრინველებს თვალი მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე ადევნო.

ფრინველებზე დამკვირვებლების გარდა, ეს ტერიტორია მონადირეებსაც იზიდავს. მაშინ, როცა ეკოტურისტები სოფლის ყველაზე მაღალი პუნქტიდან მტაცებლებს ტელესკოპებით ითვლიან, მთის ძირში ცას ჩასაფრებული მონადირეები უყურებენ, ამიტომ სროლის ხმას აქ ხშირად გაიგონებთ. დაკვირვების პუნქტისკენ მიმავალი კი გზად ადგილობრივი მცხოვრებლების ეზოებში დაბმულ მტაცებლებსაც ნახავთ – ბაზიერები უკვე წლებია, ფრინველებს სანადიროდ იყენებენ.

უკანონო ნადირობა, ბაზიერობის დამახინჯებული ტრადიცია და არასრულფასოვანი კანონი, რომელიც მტაცებლებს ვერ იცავს – ის გამოწვევებია, რომლებიც მიგრანტ ფრინველებს საფრთხეს უქმნის და რომელთა აღმოსაფხვრელადაც აჭარის რეგიონში რამდენიმე ორგანიზაცია უკვე წლებია, მუშაობს.

რატომ ითვლიან ფრინველებს?

მექსიკისა და კოსტა რიკის შემდეგ, შავი ზღვის სამიგრაციო დერეფანი ფრინველების მასშტაბური გადაფრენის თვალსაზრისით, მსოფლიოში მნიშვნელობით მესამეა, რადგან ყოველწლიურად 1 200 000 ფრინველი სწორედ ამ დერეფნის გავლით მიფრინავს სამხრეთისკენ. ფრინველები ზღვის გადაკვეთას ერიდებიან, ურჩევნიათ, ხმელეთიდან წამოსულ თბილი ჰაერის მასებზე ილივლივონ, რადგან ასე ენერგიას ზოგავენ. გარდა ამისა, ხმელეთზე ისვენებენ, ნადირობენ და ღამეს ათევენ.

უკვე მეცხრე წელია, ორგანიზაცია Batumi Raptor Count (BRC) აჭარაში ფრინველთა მიგრაციას იკვლევს. ყოველი წლის 17 აგვისტოდან 16 ოქტომბრის ჩათვლით, ორგანიზაციის წარმომადგენლები და მოხალისეები სახალვაშოში ჯგუფებად მოდიან. ფრინველებზე დასაკვირვებლად სოფელს სეზონურად 1000-მდე მოხალისე სტუმრობს, რამაც ადგილობრივი ეკოტურიზმის განვითარებას შეუწყო ხელი.

აჭარაში ფრინველებზე დაკვირვების რამდენიმე ობიექტია. აქედან, სახალვაშოში ორი სადგურია. ბირდვოჩერები (Birdwatchers – ფრინველებზე დამკვირვებლები) ერთმანეთს რაციით უკავშირდებიან და, თუკი ცაზე ფრინველების გუნდი გამოჩნდება, ერთმანეთს ატყობინებენ. დაკვირვება მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე ორი საათით ადრე დღის მონაკვეთში მიმდინარეობს.

დრის ანგლერი უკვე მეოთხე წელია, Batumi Raptor Count-ის პროექტის ფარგლებში ფრინველების დასათვლელად სახალვაშოში მოდის. მისთვის ეს ჰობიც არის და სამუშაოც. ამბობს, რომ მონაცემები ფრინველთა პოპულაციის მონიტორინგისთვის არის საჭირო.

„მტაცებლებისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი ტერიტორიაა მიგრაციისთვის. გასულ წელს იმდენი ფრინველი არ იყო, რამდენიც, მაგალითად, ორი წლის წინ. ცვლილებები ბევრი მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული, მაგალითად, კლიმატის ცვლილებით, საკვების ნაკლებობით და ა.შ. ორი წლის წინ ერთ დღეში 250 000 ფრინველი დავთვალეთ“ – ამბობს დრისი.

თუმცა BRC-ში აღნიშნავენ, რომ მიგრაციის ტენდენციის გამოსავლენად 10-წლიანი მონაცემები საკმარისი არ არის. მათი განმარტებით, სულ მცირე, 20 წელია საჭირო იმისათვის, რომ ფრინველთა მიგრაციის ცვლილებების შესახებ დაკვირვებამ სარწმუნო შედეგები მოგვცეს.

გარდა საერთაშორისო ორგანიზაციებისა, ფრინველთა მიგრაციას გარემოს დაცვის სამინისტროც აკვირდება, თუმცა ნიშანდობლივია, რომ მათი კვლევა არა მხოლოდ კონსერვაციულ მიზნებს, არამედ ნადირობასაც უკავშირდება.

როგორც გაირკვა, სამინისტროს მხოლოდ 2 წლის მონაცემები აქვს. ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტში განმარტავენ, რომ სამინისტრო ტენდერს აცხადებს და კვლევას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს უკვეთს.

„რამდენადაც ვიცი, 2013-2014 წლებში ჩატარდა კვლევები. ამ მონაცემებით ფრინველთა კონსერვაციისთვის საჭირო ინფორმაციას ვიღებთ და ნადირობის სეზონზე მათი დღიური მოპოვების კვოტას ვადგენთ. გვაქვს მონაცემები ტერიტორიებისა და სახეობების მიხედვით“. – ამბობს გარემოს დაცვის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტის ბიომრავალფეროვნების დაცვის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ნონა ხელაია.

ნადირობა მტაცებლებზე

დაკვირვების პუნქტიდან მომავალს გზად გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლები გვხვდებიან. ველის არწივი იპოვეს, ფრთა აქვს მოტეხილი და დაჭრილია. როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში დაშავებული ფრინველები


ბოლობეჭედა, სოფ. სახალვაშო

ფრინველებზე დაკვირვების პუნქტი, სოფ. სახალვაშო

უკანონო ნადირობა, ბაზიერობის დამახინჯებული ტრადიცია და არასრულფასოვანი კანონი, რომელიც მტაცებლებს ვერ იცავს – ის გამოწვევებია, რომლებიც მიგრანტ ფრინველებს საფრთხეს უქმნის და რომელთა აღმოსაფხვრელადაც აჭარის რეგიონში რამდენიმე ორგანიზაცია უკვე წლებია, მუშაობს.

ზედამხედველობის დეპარტამენტს ადგილობრივ ზოოპარკში მიჰყავს, თუმცა ამჯერად მას ორგანიზაცია SABUKO (საზოგადოება ბუნების კონსერვაციისთვის) მოუვლის. გაუმართლა, ჭრილობა სასიკვდილო არ არის. სანამ ცას დაუბრუნდება, ბაზიერთან დარჩება, რომელსაც მის გარდა, სხვა ბევრი მტაცებელიც ჰყავს.

SABUKO ნადირობის მონიტორინგს ეწევა. ასლან ბოლქვაძე და გიზო სასკურია დილიდან საღამომდე ტყეში საველე სამუშაოებზე დადიან. დაჭრილ ფრინველებთან ერთად მონადირეებსაც ხშირად აწყდებიან. ფრინველის სახეობა, სქესი და ასაკი – ეს ის მონაცემებია, რომლებსაც მონიტორინგის დროს აღრიცხავენ, რათა სახეობათა პოპულაციებზე ნადირობით გამოწვეული რისკი შეაფასონ.

ასლანი ამბობს, რომ ყველა მონადირე მეგობრული განწყობით არ ხვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარემო

მონადირეები ჭოროხის დელტაზე



დება. ცდილობენ, მათ აუხსნან, რომ კვლევას სამეცნიერო დატვირთვა აქვს და ტყეში მათ დასაჯარიმებლად არ დადიან.

„თუკი მონადირე მეგობრულია, ვცდილობთ, ავუხსნათ, რომ ესა და ეს სახეობა იშვიათია და მასზე ნადირობა აკრძალულია. უმეტესად, მონადირეებმა იციან, რომ კონკრეტულ სახეობაზე ნადირობა არ შეიძლება, მაგრამ მაინც კლავენ, მაგალითად, ირაოს, მიმინოს და ა.შ. იყო შემთხვევა, როდესაც კონფლიქტი მომივიდა მონადირეებთან. მითხრეს, გავიგეთ, კარგ საქმეზე არ დადიხართო. ნახევრად ხუმრობით უთქვამთ, ჩემი საფანტი 70 მეტრზე აღწევსო“ – ამბობს ასლანი.

თუმცა, მისი თქმით, არიან ისეთი მონადირეებიც, რომლებმაც კარგად იციან, რომელ ფრინველზეა ნადირობა ნებადართული, თუმცა ასეთი 100-დან 2 თუ იქნება.

BRC-ის კვლევის თანახმად, რომელიც 2015 წლის 20 აგვისტოდან 7 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდს მოიცავდა, ველზე ყოფნის 480 საათის განმავლობაში მონადირეებმა დაახლოებით 7000-ჯერ გაისროლეს. საკვლევ პერიოდში მათ 211 მოკლული და 85 დაშავებული მტაცებელი ფრინველი აღმოაჩინეს.

რაც შეეხება ფრინველთა ნარჩენებს, ჯგუფმა 445 მტაცებელი აღრიცხა, რომელთაგან 53% კრაზანაჭამია, 11% ჩვეულებრივი მიმინო, ასევე 11% ჩვეულებრივი კაკაჩა იყო.

BRC-ის საბჭოს წევრმა, ანა სანდორმა სამაგისტრო კვლევის ფარგლებში ნადირობის მოტივაციის შესასწავლად 2015 წელს მონადირეებთან სიღრმისეული ინტერვიუები ჩაწერა.

კვლევით დადგინდა, რომ გამოკითხული მონადირეების მხოლოდ 22% ასხვავებს ფრინველთა სახეობებს. მისი განმარტებით, მათი უმეტესობა ამავდროულად ბაზიერია. 31%-მა სწორად დაასახელა ფრინველთა ტაქსონომია, მაგალითად, ფრინველი არწივი იყო თუ მიმინო, ხოლო 47%-მა მოკლული ფრინველის სწორად იდენტიფიცირება ვერ შეძლო.

შეკითხვაზე, თუ რა იყო ნადირობის მოტივაცია, გამოკითხულთა 62%-მა უპასუხა, რომ გასართობად, სპორტული ინტერესისთვის ნადირობს. 30%-მა აღნიშნა, რომ ხორცისთვის, ხოლო 8% ტრადიციის გამო ნადირობს.

SABUKO-ს ნადირობის მონიტორინგის კოორდინატორი ასლან ბოლქვაძე ამბობს, რომ ნადირობის სეზონის გახსნისას მონიტორინგის ფარგლებში, ძირითადად, მოკლულ ირაოს პოულობდნენ, თუმცა ბოლო პერიოდში კირკიტებს, მცირე მყივან არწივებსა და მიმინოებსაც აწყდებიან.

„მონადირეები, ძირითადად, სიამოვნების მიღების მიზნით ნადირობენ. მოაქვთ არაყი, დასხდებიან, მიირთმევენ, სვამენ, თუ ფრინველს მოკლავენ – წვავენ. ხშირად, ჩამოგდებული ფრინველის მოძებნაც ეზარებათ. დაჭრილმა ფრინველმა ერთი კვირა უნდა იტანჯოს, ბოლოს ტურა მოვა და შეჭამს. ზოგჯერ მეკითხებიან, რატომ ნადირობენ მონადირეები, საჭმელი არ აქვთო? ერთი თორმეტკალიბრიანი ტყვია 80 თეთრი ღირს. მონადირეები დღეში საშუალოდ 100 ტყვიას მაინც ისვრიან. ანუ მონადირეს თუ 80 ლარი აქვს, მას ბაზარში ხორცის ყიდვის პრობლემაც არ ექნება. ძალიან ცოტა მონადირე მინახავს, რომელიც ამბობს, რომ ხორცს ვერ ყიდულობს და ამის გამო ნადირობს“ – ამბობს ასლანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნადირობა ბათუმში _ რა ემუქრება ჭოროხის დელტას

ჭოროხის დელტის დაჭაობებული ტერიტორია, რომელიც ფრინველებზე დაკვირვების ერთ-ერთი ობიექტია, ქალაქ ბათუმის ნაწილი 2011 წელს გახდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ქალაქების ადმინისტრაციულ საზღვრებში ნადირობა აკრძალულია, ეს ფაქტი მონადირეებს ხელს სულაც არ უშლით, რომ ჭოროხზე სანადირო თოფებით გადაადგილდნენ და ფრინველებზე ინადირონ.

საწვიმრებში გახვეულ, მხარზე თოფშემოდებულ მონადირეებს უკან ძაღლები მოჰყვებიან. დღეს მწყერზე ინადირეს. მონადირე გვეუბნება, რომ თუ ძაღლი ფრინველზე არ დაიგეშება, მოკლავს – ასე გვასწავლის ტრადიციაო, თუმცა ბოლოს ამატებს, რომ იხუმრა.

ნადირობა არ არის ერთადერთი საფრთხე, რომელიც ჭოროხის დელტაზე გადამფრენ ფრინველებს ემუქრება. საქართველოს მთავრობა გონიოს ყოფილი პოლიგონის ტერიტორიაზე, რომელიც ჭოროხის დელტასაც მოიცავს, დიდი საინვესტიციო პროექტის განხორციელებას გეგმავს. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროში განმარტავენ, რომ ამ ეტაპზე ინვესტორების მოზიდვა მიმდინარეობს, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, კონკრეტულად როგორ აითვისებენ ტერიტორიას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროში კი ამბობენ, რომ მთავრობამ ტერიტორიის პოტენციალის განსაზღვრის მიზნით, საერთაშორისო ორგანიზაციას მისი განვითარების სტრატეგიის შექმნა დაუკვეთა.

„ამ მომენტისთვის საკითხზე მუშაობა მიმდინარეობს. როგორც კი დოკუმენტი საბოლოოდ იქნება მზად, გვეცოდინება, რა მიმართულებით შეიძლება განვითარდეს ეს ტერიტორია, მათ შორის – ჭოროხის დელტა“ – ამბობენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს პრესსამსახურში.

BRC-ის საბჭოს წევრი ანა სანდორი ამბობს, რომ პროექტი ფრინველებისთვის იმ შემთხვევაშია საშიში, თუკი ადგილზე ინდუსტრიული მშენებლობა დაიწყება. მეორე მხრივ, თუკი პროექტის ბუნებრივი გარემოს შენარჩუნებას ითვალისწინებს, შესაძლოა, ეს ფრინველებისთვის სასარგებლოც იყოს.

„სასარგებლო იქნება იმ შემთხვევაში, თუკი იქ მონადირეები აღარ წავლენ. მიგრანტი ფრინველები დაღლილები არიან; ზოგიერთი სახეობა ღამით დაფრინავს, ამიტომ აქ მოსულს დასვენება უნდა. თუ ინდუსტრიული მშენებლობა სურთ, ეს ფრინველებისთვის კარგი არ იქნება, თუმცა, თუკი ბუნებრივ გარემოს შეინარჩუნებენ, მაშინ შესაძლოა, ეს სასარგებლოც იყოს“ – ამბობს ანა სანდორი.

ნადირობა, ბაზიერობის ტრადიცია და კანონმდებლობის გამოწვევები

გადამფრენ ფრინველებზე ნადირობის სეზონი წელს 20 აგვისტოს დაიწყო. სამინისტრო ყოველწლიურად აქვეყნებს იმ სახეობათა ნუსხასა და ოდენობას, რომლებზეც ნადირობა გარკვეულ ტერიტორიაზე, გარკვეული წესით არის დაშვებული. მინისტრის მიერ 2016 წლის 17 აგვისტოს ხელმოწერილ №27-ე ბრძანებაში „ნადირობის ობიექტებს მიკუთვნებული ცხოველთა სამყაროს ობიექტების ჩამონათვალის შესახებ“, რომელიც სანადიროდ ნებადართულ სახეობათა ნუსხას ადგენს, მტაცებლები არ გვხვდება.

საქმე ის არის, რომ მინისტრის ბრძანება მხოლოდ იმ ნუხას ადგენს, რომლებზეც ნადირობა დაშვებულია, შესაბამისად, ყველა სხვა სახეობაზე ნადირობა აკრძალულია. თუმცა SABUKO-ში მიიჩნევენ, რომ ფრინველთა დაცვის სრულფასოვან მექანიზმს კანონი მაინც არ იძლევა, რამდენადაც არ არსებობს კონკრეტული ჩამონათვალი იმ სახეობებისა, რომლებზე ნადირობაც აკრძალულია.

SABUKO-ს აღმასრულებელი დირექტორი ალექსანდრე რუხაია ამბობს, რომ კანონმდებლობაში ფრინველებზე ნადირობის წესი ბუნდოვანია და დახვეწას საჭიროებს.

„კანონში არ არის ნათქვამი, რომელ ფრინველზე არ შეიძლება ნადირობა. კანონი ადგენს, რომელ ფრინველზეა დაშვებული ნადირობა. შესაბამისად, ეს იმას ნიშნავს, რომ დანარჩენზე – არ შეიძლება. აქედან გამომდინარე, რთულია, იმაზე იმსჯელო, რა არის სწორი და რა – არა“ – ამბობს რუხაია.

კიდევ ერთი გამოწვევა, რომელიც ფრინველებს საფრთხეს უქმნის, ბაზიერობის ტრადიციაა.

„ცხოველთა სამყაროს შესახებ“ კანონში აღნიშნულია, რომ „ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ გარეულ ცხოველთა დატყვევება და ტყვეობაში ყოლა დასაშვებია სამინისტროს ლიცენზიით კანონმდებლობით დადგენილი წესით“, თუ პირს მის შესანახად სათანადო პირობები აქვს, ან თუკი ფრინველი ქვეყანაში კანონიერად არის შემოყვანილი. ამავე კანონში აღნიშნულია, რომ იმ ცხოველთა ნუსხას, რომელთა დატყვევებაც აკრძალულია, სამინისტრო ბრძანებით ამტკიცებს. კანონის გარდამავალი დებულებებისადმი მიძღვნილ XI-ე თავში, ნათქვამია, რომ გარემოს დაცვის მინისტრმა უნდა გამოსცეს ბრძანება „გარეულ ცხოველთა ნუსხის შესახებ, რომელთა დატყვევება და ნახევრად თავისუფალ მდგომარეობაში და ტყვეობაში ყოლა იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის აკრძალულია“, თუმცა მსგავსი ბრძანება საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში არ იძებნება.

ველის არწივი, სოფ. სახალვაშო

BRC-ის კვლევის თანახმად, რომელიც 2015 წლის 20 აგვისტოდან 7 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდს მოიცავდა, ველზე ყოფნის 480 საათის განმავლობაში მონადირეებმა დაახლოებით 7000-ჯერ გაისროლეს. საკვლევ პერიოდში მათ 211 მოკლული და 85 დაშავებული მტაცებელი ფრინველი აღმოაჩინეს.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ბიომრავალფეროვნების კონტროლის სამსახურის უფროსი მაია ჩხობაძე ამბობს, რომ ასეთი ნუსხის არსებობის საჭიროება აღარ არსებობს, რადგან დღევანდელი კანონმდებლობა უფრო მკაცრია და ამბობს, რომ ფრინველის დატყვევება საერთოდ არ შეიძლება.

„ცხოველთა სამყაროს შესახებ კანონში ითქვა, რომ ასეთი ნუსხა უნდა დამტკიცებულიყო, რადგან მაშინ ის კანონი ითვალისწინებდა ნებართვის კანონი ითვალისწინებდა ნებართვის სახეს. ნებართვა უნდა გაეცა სამინისტროს. თუმცა დღევანდელი კანონმდებლობა ბევრად მკაცრია, რადგან ადგენს, რომ ფრინველის დატყვევება საერთოდ არ შეიძლება, რადგან ასეთი ნებართვა არ არსებობს. შესაბამისად, არ არსებობს საჭიროება ნუსხისა, რომელიც დაადგენს, რომელი

ბაზიარის ეზოში დაბმული მიმინო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახეობის დატყვევება არ შეიძლება" – ამბობს ჩხობაძე.

როგორც ალექსანდრე რუხაია განმარტავს, ბაზიერი სეზონის განმავლობაში, საშუალოდ, 30-მდე სხვადასხვა სახეობის ფრინველს იჭერს და აქედან 10-დან 20-მდე იტოვებს, რაც კანონით დაშვებული არ არის, თუმცა ასეთი ფაქტების კონტროლის მექანიზმები სუსტია. მისი განმარტებით, ბაზიერობის ტრადიცია საქართველოში ყოველთვის იყო, მაგრამ აჭარაში მას განსაკუთრებით ღრმა ფესვები აქვს, გეოგრაფიული ადგილმდებარეობით გამოწვეული მიგრაციული ნაკადების გამო.

„კარგმა ბაზიერმა, 30 ფრინველს რომ დაიჭერს დღეში, აქედან მხოლოდ ერთი უნდა დაიტოვოს. ერთი წელი ეყოლება, ინადირებს. ჩვენი ორგანიზაცია ნებისმიერ ფრინველზე ნადირობას ეწინააღმდეგება, ეს სასტიკად არაჰუმანურია, მაგრამ თუ მხოლოდ ერთს დაიტოვებს, მივესალმები, უარესი ფაქტებიც ხდება. ცუდი ბაზიერი რამდენიმე მტაცებელს იტოვებს. რომელიც არ მოეწონება, კლავს, არ უშვებს. არ უნდა, რომ ხორცში ფული გადაიხადოს, ამიტომ ერთი მტაცებლის ხორცს მეორეს აჭმევს. აჭარაში ეს ფართოდ გავრცელებულია. მეორე მიზეზი ის არის, რომ არ უნდა, მეორედ დაიჭიროს მტაცებელი, რომელიც არ მოეწონა. დაბოლოს, ზოგიერთ ბაზიერს ჰგონია, რომ „ცუდ" მტაცებელს ასეთივე შთამომავლობა ეყოლება. რთულია იმის თქმა, ვინ არის კარგი და ვინ ცუდი ბაზიერი" – ამბობს რუხაია.

გარემოს დაცვის სამინისტროში განმარტავენ, რომ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი აკონტროლებს ნადირობას და კონტროლის რამდენიმე მექანიზმი არსებობს:

„მიმდინარეობს 24-საათიანი პატრულირება. დიდი რეგიონებია და რამდენიმე ეკიპაჟი ვერ მოიცავს ყველა ადგილს, ყველა ბუჩქსა და მდინარეს. ჩვენ გვაქვს იდენტიფიცირებული ცხელი წერტილები საქართველოს მასშტაბით და ამ წერტილებზე ხდება გაძლიერებული პატრულირება. სამინისტროში არის დამატებითი პრევენციული სისტემაც – ცხელი ხაზი, სადაც ნებისმიერმა მოქალაქემ უნდა დარეკოს, თუ ხედავს რომ მტაცებელ ფრინველს უკანონოდ ატყვევებენ" – ამბობს მაია ჩხობაძე.

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერით, საქართველომ გარეულ ფრინველთა კონსერვაციის დირექტივა 79/409/EEC-ის შესრულების ვალდებულება აიღო, რომელიც ენერგეტიკული გაერთიანების წევრი ქვეყნებისგან საემიგრაციო გზებზე ფრინველთა დაცვის მიზნით გადამფრენ ფრინველთა საკონსერვაციო ღონისძიებებს მოითხოვს.

ევროპარლამენტისა და საბჭოს გარეული ფრინველების კონსერვაციის შესახებ 2009 წლის 30 ნოემბრის 2009/147/EC დირექტივის თანახმად, ასოცირების შეთანხმების ძალაში შესვლიდან 3 წლის ვადაში უნდა შეფასდეს ფრინველთა ის სახეობები, რომლებიც საჭიროებენ კონსერვაციის განსაკუთრებულ ზომებს, ასევე შესაფასებელია ფრინველთა რეგულარულად მიგრირებადი სახეობები; 5 წლის ვადაში კი ფრინველთა სახეობებისათვის დაცვის სპეციალური არეალები უნდა განისაზღვროს.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება ძალაში სრულად 2016 წლის 1 ივლისს შევიდა, თუმცა ზემოაღნიშნული დირექტივის ვადების ათვლა 2014 წლის პირველი სექტემბრიდან დაიწყო.

გარემოს დაცვის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტის ბიომრავალფეროვნების დაცვის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ნონა ხელაია ამბობს, რომ უკვე მომზადებულია ორი კანონპროექტი – ბიომრავალფეროვნებისა და ნადირობის შესახებ, რომლებშიც ფრინველებთან დაკავშირებულ დირექტივაში აღნიშნული ყველა მოთხოვნაა გათვალისწინებული.

„ახალ კანონში დაცვის ზომები უფრო სრულყოფილად გაიწერება. გარდა ამისა, ამ ახალი კანონით მოწესრიგდება ბაზიერობასთან დაკავშირებული საკითხები. ამ საკითხს მოქმედი კანონმდებლობა გაკვრით ეხება და არ განსაზღვრავს ნადირობის მიზნით ფრინველთა მოპოვების შემთხვევებს" – ამბობს ხელაია.

იგი „თეთრ ლაქებს" უწოდებს კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზს, რომელთა თანახმადაც, საქართველოში მტაცებელი ფრინველის გამოყენებით ნადირობა დაშვებულია, თუმცა თავად ფრინველის დატყვევების კანონიერება არ არის განსაზღვრული.

„ცხოველთა სამყაროს შესახებ კანონი სხვადასხვა მიზნით დატყვევების შესაძლებლობას განიხილავს და ამისთვის ლიცენზიებია საჭირო. „ლიცენზიების შესახებ კანონის" ამოქმედებამ სხვა კანონმდებლობა გადაფარა, რადგან იგი ადგენს ლიცენზიების სრულ ჩამონათვალს. მასში უკვე აღარ არის გაწერილი ფრინველის ამ მიზნებით დატყვევების შესაძლებლობა. შესაბამისად, კანონმდებლობაში „თეთრი ლაქები" გაჩნდა. ამ ყველაფერს ახალი კანონმდებლობა მოაწესრიგებს" – ამბობს ნონა ხელაია.

სანამ საკანონმდებლო ბაზა განახლდება, ფაქტია, რომ აჭარაში მონადირეები ნადირობას არ ერიდებიან. ამაზე მეტყველებს აჭარის ტყეებში ნაპოვნი დაჭრილ მტაცებლები. როგორც უკვე ვნახეთ, მონადირეები არც ქალაქის ტერიტორიაზე ნადირობისგან იკავებენ თავს. გაუმართავი კანონი კი თავისთავად აღსრულების არაეფექტიან მექანიზმს გულისხმობს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლამპრობა
დღესასწაული სულის დასათბობად

თაკო რობაქიძე

ლამპრობის დღესასწაულის შესახებ პირველად შარშან გავიგე. მეგობარმა ისეთი ემოციებით აღმიწერა, გადავწყვიტე, სვანეთში წავსულიყავი და ჩემი თვალით მენახა.

ლამპრობის დღეს მესტიაში ჩასულს ადგილობრივებმა მითხრეს, ლამპრებს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის „ჯგრააგ" მიწაზე ეზოში მდებარე სასაფლაოებზე მიიტანენ და იქ დაანთებენო. დღესასწაულის შინაარსზე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. დიდი ხნის წინათ მას გაზაფხულზე აღნიშნავდნენ, აღდგომამდე ათი კვირით ადრე. არსებობს მოსაზრება, რომ ლამპრობა მამაკაცთა დასათვლელად ტარდებოდა, რომ სცოდნოდათ, რამდენი მეომარი ეყოლებოდა სვანეთს ომის დაწყებისას. ზოგი მიიჩნევს, რომ ლამპრის დანთებით ძველი ხალხი ადრიან გაზაფხულს, კარგ მოსავალს და კაცის სულის გამრავლებას ევედრებოდა ღმერთს. არის თქმულება, რომ ეს დღესასწაული მიცვალებულთა მოსახსენიებლად ტარდებოდა, გარდაცვლილის სულის დასათბობად. ზუსტად რა დაედო საფუძვლად ლამპრობის დღესასწაულს, არავინ იცის, თუმცა ფაქტია, რომ ამ დღეს ყველა თავის ოჯახში გარდაცვლილის საფლავთან მიდის. რადგან რიტუალი სასაფლაოზე ტარდება, მეგონა ,ლამპრობის დღესასწაულზე დამთრგუნველი გარემო იქნებოდა. ადგილზე კი სრულიად სხვაგვარი სურათი გადამეშალა თვალწინ. საღამოს დადგომასთან ერთად ხალხმა ნელ-ნელა საფლავებისკენ დაიწყო სვლა. მთელი ოჯახით მოდიოდნენ. მოჰქონდათ არყის ან მუხის ხის დაჩეჩქვილი ტოტებისგან დამზადებული ლამპრები, ღვინო, საჭმელი, სანთლები და საფლავებთან აწყობდნენ. ბინდი ჩამოწვა და ხალხმა ლამპრების ანთება დაიწყო. იქაურობა ზღაპრულ სამყაროს დაემსგავსა. ყველა ზეიმობდა – ბავშვები ცეცხლთან თამაშობდნენ, უფროსები კი სადღეგრძელოებს სვამდნენ. განსაკუთრებული სანახაობა იყო ამდენი ხალხი და ანთებული ცეცხლი დათოვლილ სასაფლაოზე. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს ამ ცეცხლით სული მართლაც უთბება მიცვალებულს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბებია

გიორგი კვაკელიძე

ჩემი ერთი ბაბუა მხოლოდ ძალიან ახალგაზრდა მინახავს. სადღაც პარკში იჯდა ბიჭიკო და გვერდით ბებიაჩემი – მედიკო. დიდ ოთახში, გნებავთ ზალაში, ეკიდა ეს სურათი.

მეორეზე მოგიყვებით:

„– ფუთქავს ცოტას, იცრიალებს და წაი, გადააბი, თვარა აღარაა იქინე აფერი და მიადგება თხილებს!“

გადააბამ და ზიხარ. ძროხა ძოვს, მერე ეზარება და დაწვება. იცოხნება, ბუზებსა და ქინქლებს იგერიებს. ფიქრობ სკოლაზე, გოგოზე, რომელიც ყველას უყვარს, შენი ჩათვლით, დენდიზე და სუბორზე, რომელიც, ალბათ, არასდროს გექნება და, შესაბამისად, მეზობლის დენდიზე და ტანკების მეხუთე ტურზე, ტურბოს „ნაკლეიკებზე“ დატანილ ლამბოროჯინსა და ბიმოტაზე, რომელიც გაიზრდები და გამდიდრდები და გეყოლება. და კიდევ – ბოტასებზე, ფეხს რომ დაადგამ და ძირზე რაღაც ანათებს, ეგეთ ბოტასებზე. უცებ ძროხა სახეს მოაბრუნებს და თვალებში ჩაგხედავს. უყურებთ ერთმანეთს. ასე, ორი-სამი წუთი. თავს გააბრუნებს და აგრძელებს ცოხნას. და

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ ისევ ფიქრობ ბოტასებზე, ტურბოსა და ფინალ-94-ზე, რომლის მეხუთე ნომერი – ბაჯო – ძნელად ამოდის. არაფერია ბუკოლიკურ საათებზე უფრო გრძელი და უფრო დიდი.

უკვე წვიმს. როცა წვიმდა, დედაჩემი ქოლგით მიშვებდა სკოლაში და ეგ ითვლებოდა ყველაზე სამარცხვინო ამბად. მაგის იქით მხოლოდ რეიტუზები და კედელი იდგა. ჰოდა, როგორც კი მოსახვევს გავცდებოდი, ვკეცავდი ამ ქოლგას და ერთი მიტოვებული სახლის წინ, ძველი ფოსტა-გაზეთების ყუთი რომ იყო, იმის უკან ვჩურთავდი. მივდიოდი სველი სკოლაში, ვითარცა გმირი. უკანა გზაზე იშვიათად წვიმდა. და იდგა მსოფლიოში ყველაზე რუხი ამინდები. გზაზე მოვდიოდით და გუბეებს ვახტებოდით, როგორც ტრადიცია მოითხოვდა. გუბეებს ჰქონდათ გრძელი ფერი, ანუ „იშვიათიმანქანარომგამოივლისბენზინიჩამოწვეთავსდააჭრელებსფერი". ჩვენ მოვდიოდით მხიარულად, ასეთი სევდიანი ამინდისთვის დიდად შეუსაბამოდ. ეს – ნახევარღამე დღეების გამო. და კიდევ – შეშის შემოსატანად რომ გავდიოდი, ბაბუაჩემის „ბუშლატას" მომახურავდნენ. წვიმას აქვს ამ „ბუშლატის" სუნი. სახსოვართაგან უსასტიკესია სუნი. არც იბზარება და არც ცვდება – იქით გცვეთს და გბზარავს. სურნელი ძნელად უხდება ამ სიტყვას – მეტისმეტად ანაზებს. არადა, სუნი მკვლელი რამაა. ადამიანის ცალკე ნაშრომია, ოდესმე შევეჭიდები საშრომად, მაგრამ კიდევ არის გვიმრის სუნი, ახალმოჟლემილი ჩაის სუნი. სოფლის გზაზე რომ მიდიხარ და შორიდან თხის ნაკელის სუნი გცემს, სველი ძაღლის სუნი, სახლის სუნი, ოთახით სავსე ჰაერის სუნი და კიდევ სახლის სუნი, – ოღონდ დიდი ხნის უნახავის. და სხვა. და სხვა.

და კიდევ: შემოდგომის წვიმიანი დილის ოთხმოცდაათიანების გურული მეტაფორა გალანცული ლამპის შუშაა. გალანცული გულისხმობს გაჭვარტლულს. გაჭვარტლული ნიშნავს, რომ წუხელ გვიანობამდე არჩიეს თხილი და ხან ქარი წამოუბერავდა, ხან მოხუცი ქალი აუწევდა უნებლიედ ფითილს. უფრო სწორად, მეტაფორა ამ შუშის გაწმენდაა, დილით, ძველი წიგნიდან ამოხეული ფურცლით. ძველ წიგნებს ხომ ის ბედი ჰქონდათ გურიაში, რომ ან ცეცხლს ანთებდნენ, ან ჩეჩმაში მიჰქონდათ, ან ეგრე, ლამპის შუშას წმენდნენ. დასაკლავი ქათამივით გამოჰქონდათ კარადიდან, ოღონდ ეგ იყო, რომ ამ წიგნებს კრიახი არ შეეძლოთ, მხოლოდ უცნაური სევდით თუ გათქვამდა მოსალოდნელი ინკვიზიციის შიშს „მსოფლიოს ისტორია, მეოთხეკლასელთათვის. 1974 წელი"; ან – „მანდარინო, შენ გურიის ოქრო ხარ, კოლმეურნის ვერცხლ ხელებში მბზინავი"(ლექსების კრებული).

გინახავთ, როგორ ანთებს ცეცხლს ფრაზა: „ვეტექიმმა სხიერელმა გულმოდგინედ აიკაპიწა მკლავები და თქვა. აღარ ვიცი, რა თქვა სხიერელმა. ფურცელი გაშავდა.

ბაბუაჩემმა თავი წვიმიან დღეს ჩამოიხრჩო. მე ვნახე და მზერა ამარიდებინეს, მაგრამ დაკრძალვის დღეს დავაკვირდი და ცალი თვალი ჩავარდნილი ჰქონდა – ის, რომელიც სტკიოდა და ვერ ხედავდა. და პირი მკაცრად მოკუმული, ნერვიულად – თითქოს გვიბრაზდებოდა. ლექსებს წერდა და რომანტიკული კაცი ეთქმოდა. მაგრამ პრაგმატული საქმეებიც შეეძლო. უბრალოდ, ნერვიული იყო სიცოცხლეში და სიკვდილშიც გადაჰყვა. ჰქონდა კი საბაბი: სულ ბოლოს შვილი მოუკვდა. მანამდე, სულ ადრე, დები ზრდიდნენ. მამამისმა, ჩემი სახელისა და გვარის კაცმა, გიორგი კეკელიძემ, ბოლო ცოლი 54 წლისამ შეირთო, 16 თუ 17 წლის, და მალევე დაშორდა. ბაბუაჩემი დარჩა მისგან. შაქრო მეუბნებოდა, როგორ აშინებდნენ ბავშვობისას დედამისით, რომ რამე შვილისმიერი გრძნობები არ დაელანდა ამ უცნობი ქალისადმი. 18 წლისამ ნახა დედა პირველად. მატარებელში მუშაობდა

ბაბუაჩემმა თავი წვიმიან დღეს ჩამოიხრჩო. მე ვნახე და მზერა ამარიდებინეს, მაგრამ დაკრძალვის დღეს დავაკვირდი და ცალი თვალი ჩავარდნილი ჰქონდა – ის, რომელიც სტკიოდა და ვერ ხედავდა. და პირი მკაცრად მოკუმული, ნერვიულად – თითქოს გვიბრაზდებოდა. ლექსებს წერდა და რომანტიკული კაცი ეთქმოდა. მაგრამ პრაგმატული საქმეებიც შეეძლო. უბრალოდ, ნერვიული იყო სიცოცხლეში და სიკვდილშიც გადაჰყვა. ჰქონდა კი საბაბი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამცილებლის თანაშემწედ, მაგრამ დიდი ფიქრები ჰქონდა. სოფელში რომ დაბრუნდა, სურებში, – თეატრალური კლუბი შექმნა, თვითონ თამაშობდა და რეჟისორობდა. პარტიაშიც შევიდა. რადგან სოფლის მართვა მოესურვა და „უმაღლესი" ვალდებულებად უთხრეს,– 30 წლისამ ჩააბარა ინსტიტუტში. ხულოში რომ გაუშვეს მასწავლებლად, იქვე განაწილებული ბებიაჩემი შეირთო და დაბრუნდა სურებში. იყო სკოლის დირექტორი და კულტურის სახლის გამგე და კოლექტივის თავმჯდომარე. მოკლედ, – მინიამერიკული ოცნება.

სოფლის ღამეულ ხმათაგან ბევრია მაგიური. წვიმა თუნუქის სახურავზე ან მდინარის ჩხრიალი, თავი რომ თითქოს ქვებზე გიდევს. ან ბაყაყების ჯიუტი ყიყინი. ტურის ყრუ კივილი. ბუს ხმა – მარტოობის მანიფესტი. მაგრამ მთავარი მაინც ჭრიჭინაა, თუ რაღაც მწერი, ზაფხულის ღამის საუნდტრეკს რომ მღერის გაუჩერებლად. ამას ოთახში უცებ შემოფრენილი და ფარდაზე მიმჯდარი ციცინათელა თუ შეედრება – მაგრამ ეს სხვა ჟანრია. ამ ხმებზე მიყურადება ბაბუაჩემმა მასწავლა. დაყრუებული ჭა გეცოდინებათ. გაუქმებული, ანუ უვარგისი, მომწვანო ჭით, შიგნით ჩამხრჩვალი ქათმის ფრთებით. დღემდე არ ვიცი, რატომ დაარქვეს დაყრუებული. შეიძლება, იმიტომაც, რომ, რასაც ჩასძახებ, იმას აღარ ამოგძახებს. რა ვიცი... იმ ჭასთან ახლოს იყო ჩვენი ჭიშკარი. გურიაში ჭიშკარი ნიშნავს ჭრიალსაც და ყველა სახლის ჭიშკარი სხვადასხვანაირად გამოსცემს ხმას. „ციალეს კარი გეიღო", „მაყვალიეს ჭიშკარი გეიღო", „ალისტრახოს ჭიშკრის ხმაია მაი, ჩვენი არა". ეს ხმა გულისხმობს, რომ „სტუმარი მევიდა", მაგრამ ისეთი სტუმარი, დაძახება რომ არ უნდა. ან მეზობელი გადადის მეზობელთან, შენი ეზოს გავლით. ამგვარი ჭრიალა ჭიშკარი არის მნიშვნელოვანი გასაღები გურული ცხოვრების ჭიშკრის შესაღებად. ჯერჯერობით, ისევ ცოცხალი.

და ნათებები. ნათებები. ღამის. ლობიოს ელვა – ასე ეძახდა ბაბუა ზაფხულის უმიზეზო და მოულოდნელ ელვებს. წვიმა და ქუხილი რომ არ მოჰყვებოდა. ლობიოს ზრდისო. ციცინათელა უკვე გითხარით. მთვარე არ უყვარდა, თუმცა, როგორც მითხრა, ადრე სიმთვრალისას ეხმარებოდა, შინ მოსაგნებად, სოფლის რთულ ბილიკებზე. მერე უსარგებლო გახდა. შუაცეცხლის ნაკვერჩხალი – მიაშტერე თვალი, მიაშტერე. ეიხედე ახლა მაღლა. რას ხედავ? და კიდევ – ზღვისკენ. დასავლეთში. სადღაც პორტისკენ, რომელსაც მე და ბაბუა ერთად ვუყურებდით, – ცა ჩანდა ძალიან წითელი. და ხან მძაფრდებოდა ეს სიწითლე და ხან ბაცდებოდა. როგორც ცივილიზაციის გაუგებარი, შორეული დღესასწაული. ჩვენ ვუყურებდით და ვოცნებობდით. მე მომავალზე. ის – წარსულზე. არსებობს წარსულზე ოცნებებიც. ეს სრულიად განსაკუთრებული რამეა – იშვიათი ხალხის ხელობა.

ბაბუაჩემი სხვა რანგის კაცი გახლდათ. გარე ამბების, სხვათა თვალისა და საკუთარი რეპუტაციის დიდად დამკვირვებელი. სირცხვილიანი. მე კი ახირებული, საშინელი ბავშვი. აი, სამყარო მის ირგვლივ რომ ბრუნავს წალმა-უკულმა და ხან ჩერდება კიდეც. ჰოდა, მე ერთი, საყმაწვილო ჰალსტუხი მქონდა, სიგრძეში ჩემთვისაც პატარა – საგანგებოდ . ავიჩემე და დიდი ომის შედეგად, რომელშიც მთელი ოჯახი ჩაერთო + პოზიცია/ოპოზიციზიად არგუმენტებით: „ბალანას ასე უნდა, რა მოხთება ერთხელ ქენით!" „ნუ გააბდლეთ ამხელა კაცი, რას მიდიხართ ყაზილარის ჭკუაზე" – ბალანამ გაიმარჯვა. მთელი გზა უყურებდა ბაბუაჩემს ორსანტიმეტრიანი ჰალსტუხით, გაწითლებული სახით, ზომაზე მეტად ხელზე მოჭერილი ხელით მივყავდი სკოლაში. ახლა ვხვდები, თუ როგორ რცხვენოდა და ითმენდა. ძალიან ითმენდა. ამ მოთმინებამაც ბევრი მასწავლა.

ბაბუაჩემი სხვა რანგის კაცი გახლდათ. გარე ამბების, სხვათა თვალისა და საკუთარი რეპუტაციის დიდად დამკვირვებელი. სირცხვილიანი. მე კი ახირებული, საშინელი ბავშვი. აი, სამყარო მის ირგვლივ რომ ბრუნავს წალმა-უკულმა და ხან ჩერდება კიდეც. ჰოდა, მე ერთი, საყმაწვილო ჰალსტუხი მქონდა, სიგრძეში ჩემთვისაც პატარა – საგანგებოდ . ავიჩემე და დიდი ომის შედეგად, რომელშიც მთელი ოჯახი ჩაერთო + პოზიცია/ოპოზიციზიად არგუმენტებით: „ბალანას ასე უნდა, რა მოხთება ერთხელ ქენით!" „ნუ გააბდლეთ ამხელა კაცი, რას მიდიხართ ყაზილარის ჭკუაზე" – ბალანამ გაიმარჯვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურა, ოდესღაც LINGUA FRANCA

ლევან ბერძენიშვილი

LINGUA FRANCA როგორც მოგეხსენებათ, ენათმეცნიერული ტერმინია და მოსაუბრეთათვის საერთო, მესამე ენას აღნიშნავს. მაგალითად, მე ვიცი ქართული, თქვენ რუსული, ერთმანეთს კი ლინგვა ფრანკაზე, ვთქვათ, ინგლისურად ველაპარაკებით.

სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ეპოქაში, ლინგვა ფრანკა სხვადასხვაგვარი იყო. ხმელთაშუა ზღვის აუზში არსებობდა ლინგვა ფრანკა, რომელიც ფრანგულის, იტალიურის, ბერძნულის ელემენტებს შეიცავდა და ამ საერთო ენაზე ვაჭრობის ამბებში ჩართული ადამიანები საუბრობდნენ.

მანამდე, ცნობილია, რომ კოინე, ანუ ბერძნული ენის ის დიალექტი, რომელიც გამარტივებული ბერძნული იყო, საერთო გახდა ალექსანდრე მაკედონელის მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე მცხოვრებთათვის; კოინეზეა დაწერილი სახარებები.

დღეს ლინგვა ფრანკა ინგლისურია. იყო დრო, როდესაც ეს ადგილი ესპანურს, ფრანგულს, ჰინდის, პორტუგალიურს, საბჭოთა კავშირში – რუსულს, სხვაგან არაბულს, ჩინურს, სუაჰილის ეკავათ.

ტერმინს – ლინგუა ფრანკა, მეორე, სიმბოლური მნიშვნელობაც აქვს და ეს არის ენა, რომელიც სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანებს აკავშირებს. აქ იგულისხმება ენა, არა როგორც ელემენტარული კომუნიკაცია, არამედ, როგორც ინფორმაციის გადაცემის საშუალება ხელოვნების ენით, მაგალითად, კინო, მუსიკა და, რაღა თქმა უნდა, ლიტერატურა.

ამბობენ, მუსიკა ლინგვა ფრანკაა, თანამედროვე ფილმები ლინგვა ფრანკაა. ბუნებრივია, ეს ყველაფერი მიგვითითებს იმაზე, თუ როგორი შეიძლება იყოს ის, რაც არის ზოგადი და საერთო მსოფლიოსთვის. ჩვენ კი იმას მივაქციოთ ყურადღება, თუ რატომ არის ლიტერატურა უნივერსალური ლინგვა ფრანკა.

გავიხსენოთ ერთი ადგილი შექსპირთან, კერძოდ, ეპიზოდი, როდესაც ჰამლეტი ასეთ რამეს ამბობს – ვინ არის ჩემთვის ჰეკაბე? (ჰამლეტმა შეიძლება ლათინური ფორმით თქვას – ჰეკუბა).

ჰეკაბე, მოგეხსენებათ, ჰექტორის დედაა; დედა, რომელიც განიცდის შვილის მომავალ სიკვდილს, ისედაც ხომ ყველაფერი ნათელია – ტროა განწირულია, ჰექტორი კი ტროის დამცველია და წინასწარაა ცნობილი, თუ რა ბედი ელის მას. ეს თავად ჰექტორმაც იცის, იცის მისმა ცოლმა, ანდრომაქემ და დედა, ჰეკაბე, ამას განიცდის, გრძნობს, რომ მოახლოვდა წამი, როდესაც ჰექტორიც მოკვდება, ტროაც დაეცემა, ეს ქალებიც დაილუპებიან, ვაჟკაცებს ამოხოცავენ, ბავშვები ვერ გადარჩებიან...

აი, ამ მძიმე განსაცდელზე ტირის ჰეკაბე, ჰამლეტი კი, გაიხსენებს რა ამ ძველ ლიტერატურულ სახეს, კითხულობს – რატომ ტირის ჰეკაბეს გამო მკითხველი, მაყურებელი, მსმენელი? რატომ განვიცდით იმას, რაც ძველი წელთაღრიცხვის XIII საუკუნეში მოხდა? რატომ განვიცდით ასე მძაფრად ანდრომაქესა და ჰექტორის გამომშვიდობების სცენას? როგორ მოხდა, რომ ბერძენმა ავტორმა, რომელიც ამ ომში, რა თქმა უნდა, ბერძნებისკენ იყო, ასე ფაქიზად, სულიერად ასე ამაღლებულად და ასე თანაგრძნობით დაგვიხატა სახე ბერძნების მთავარი მოწინააღმდეგისა და მისი ოჯახისა?!

როგორია ამ ფენომენის ბუნება?

როგორ მოხდა, რომ როდესაც ესქილემ გენიალური „სპარსელები“ დადგა, ათენის მთელი მოსახლეობა აატირა სპარსელთა მარცხზე სწორედ ათენელებთან?! ესქილემ აჩვენა, თუ როგორ აღიქვეს სპარსეთში ამ მრავალმილიონიანი იმპერიის ერთ პატარა ქალაქთან დამარცხება, ქალაქთან, რომელიც შემდგომში მსოფლიო მნიშვნელობის გახდება, მაგრამ სპარსელებმა ეს ხომ არ იციან!

ესქილე გვაჩვენებს სპარსელთა განცდებს და ატირებს ბერძნებს! ამ ტრაგედიის განსაკუთრებული ირონია ის არის, რომ, როდესაც მიხვდები, რა დიდებული ადამიანები იყვნენ სპარსელები, რომლებიც დამარცხდნენ, მაშინ იმასაც მიხვდები, თუ რას ნიშნავდა მათზე შენი გამარჯვება.

საგულისხმოა, რომ როდესაც ესქილემ ავტოეპიტაფია დაწერა, მასში არ უხსენებია არც ერთი სიტყვით, რომ დრამატურგი იყო და არაერთი გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული. მან დაწერა ერთადერთი რამ, რომ ესქილე მარათონის ბრძოლაში მონაწილეობდა, სწორედ იმ ხალხთან ბრძოლაში, რაც ასე ტრაგიკულად აღწერა თავის „სპარსელებში“.

როდესაც ლიტერატურას ხელოვნების სხვა დარგებს ადარებენ, ზოგი უპირატესობას მხატვრობას ანიჭებს, ზოგიც მუსიკას, მავანნი ამბობენ, რომ სინთეტური ხელოვნება – ოპერა, ბალეტი და კინო ლიტერატურაზე მაღლა დგას. მათ ერთი რამ ავიწყდებათ – კი ბატონო, თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი ლინგვა ფრანკაა, მაგრამ თითოეული გაუგებრად ლაპარაკობს, შეუძლებელია, გასაგები იყოს მუსიკის, ემოციის ენა. მუსიკაში მნიშვნელობა არ აქვს, სპარსელებზეა საუბარი, თუ ქართველებზე. ასევე, მაღალ პოეზიაში – არწივი ქართველი იქნება, დამარცხებული ჩინელი მხედართმთავარი, თუ სიყვარულში ხელმოცარული ბოლივიელი ბიჭი, არწივი არწივად დარჩება, ის სიმბოლოა. მაგრამ ლიტერატურას, როგორც ლინგვა ფრანკას, შეუძლია, აგვატიროს გერმანელ ფაშისტზე, რომელმაც ყველაფერი დაანგრია დედამიწის ზურგზე, ჩვენ კი მისმა ბედმა შეიძლება დაგვამწუხროს. ეს მოახერხა პირველ რიგში ლიტერატურამ, შემდეგ კი კინომ, ვგულისხმობ აბსოლუტურად გენიალურ ისტორიას, რომელსაც ჰქვია „პიანისტი“.

ლიტერატურას აქვს უნარი, იყოს ლინგვა ფრანკა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არსებობს გარკვეული სტერეოტიპები. ეს სტერეოტიპები ზოგიერთ შემთხვევაში 100%-იანი ამბავია – SS – გერმანული სადამსჯელო რაზმები, საბჭოთა პოლკოვნიკები, რომლებიც რომელიმე გულაგში ადამიანთა დასჯას მეთაურობდნენ, სასტიკი და დაუნდობელი პერსონები იყვნენ. მიუხედავად ამისა, ლიტერატურას აქვს უნარი, მათშიც კი აღმოაჩინოს ადამიანი და რაც მთავარია, საერთაშორისო ენაზე, ლინგვა ფრანკაზე გადათარგმნოს, ისე დაგვიხატოს ეს ადამიანები, რომ ჩვენ რეალობების გარეშეც მივხვდეთ, ვინ ვინ არის.

ლიტერატურას ყოველთვის ჰქონდა უნარი, ყოფილიყო ლინგვა ფრანკა, ანუ მიეგნო იმ ერთეულისთვის, ადამიანებს შორის რომ იცვლება, მიუხედავად მათ შორის არსებული დიდი და სერიოზული განსხვავებებისა.

გავიხსენოთ ლიტერატურის ერთ-ერთი პირველი ძეგლი, სხვადასხვა დროს ჩაწერილი „გილგამეშიანი“. ეს ნაწარმოები ლინგვა ფრანკაა, ზუსტად ისე განვიცდით და ვღელავთ ენქიდუს სიკვდილის გამო, როგორც გილგამეში. ჩვენ ვღელავთ გილგამეშის გამოც, მან ხომ სიყმაწვილის ბალახი დაკარგა, სწორედ ის, რის გამოც სიღრმე იხილა. ყველაფერი ეს ლინგვა ფრანკაზეა დაწერილი. ეს ისე გვეხება ჩვენ, XXI საუკუნის ქართველებს, როგორც, მაგალითად, XX საუკუნის ფრანგებს, XIX საუკუნის ინგლისელებს, იმ წუთას, როგორც კი პირველად წაიკითხეს ეს ნაწარმოები (მოგეხსენებათ, ეს ძეგლი სწორედ XIX საუკუნეში აღმოაჩინეს).

შეიძლება არ გვესმოდეს ის სამყაროები, რაც ლიტერატურაშია აღწერილი, მაგალითად: ბალზაკის „ადამიანური კომედია“, რომელიც ჩვენთვის აშკარად უცხოა. აქ მთელი ფრანგული ცხოვრებაა ჩატეული, თავისი გლეხობით, არისტოკრატიით, ვაჭრებით, ბანკირებით, სამხედროებით, დამნაშავეებით, პოლიციით და ა. შ.

მეორე მხრივ, ერთი ადამიანის სამყარო, რომელიც ასევე მთელ საფრანგეთს მოიცავს, ოღონდ ავტორის მეხსიერებაში ასახულ საფრანგეთს (ვგულისხმობ მარსელ პრუსტის რომანს – „დაკარგული დროის ძიებაში“). აქ გვხვდება სამყარო – ადამიანი, მისი მოგონებები, ფიქრები, განცდები და, რა თქმა უნდა, ესეც ლინგვა ფრანკაა.

ორივე მათგანი ლინგვა ფრანკაა, თუმცა პრუსტის სამყარო გაცილებით უფრო ლინგვა ფრანკულია, ვინაიდან ბალზაკის სამყაროს დეტალებს დღეს ჩვენთვის მნიშვნელობა არ აქვს – რა აზრი აქვს, რომელი ეტლით გადაადგილდება რასტინიაკი?! ბალზაკისთვის ამ დეტალებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, თუმცა ლინგვა ფრანკაზე ისინი უმნიშვნელოა. ამ უნივერსალურ ენაზე მნიშვნელობას ისეთი პასაჟები იძენს, სადაც სულიერი სამყაროა აღწერილი.

შესაბამისად, არსებობენ უფრო ახლობელი და უფრო შორეული მწერლები. მაგალითად, დიდ საიდუმლოს არ წარმოადგენს, თუ რატომ არის დოსტოევსკი მსოფლიოს უდიდესი მწერალი, რომელმაც მკითხველსა და სხვა მწერლებზეც უდიდესი გავლენა იქონია. პასუხი მარტივია – დოსტოევსკი პირდაპირ ლინგვა ფრანკაზე წერდა. კი ბატონო, ვიცით, რომ მისი ნაწარმოებები რუსულ ენაზე დაიწერა, ვიცით, რომ ამ ენას უფრო ოსტატურად სხვა მწერლები ფლობდნენ, ისიც ვიცით, რომ დოსტოევსკი სწრაფად ცდილობდა წერას, მაგრამ, რაც მთავარია, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მისი რომანები დიალოგები, აღსარებებია...

ამ რომანებში საერთოდ ვერ ვხედავთ ავტორს, XX საუკუნეში ავტორის სიკვდილს სპეციალური ნაშრომები მიეძღვნება, მაგრამ მანამდე დოსტოევსკიმ ეს პრაქტიკაში განახორციელა. ამ ამბებს ჰყვება მავანი კაცი, რომელიც პერსონაჟების დონისაც კი არ არის. სამაგიეროდ, ივანე კარამა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოვი ახერხებს, რომ თავისი პოემა, „დიდი ინკვიზიტორი“, ზუსტი ციტირების გარეშე აქციოს ნაწარმოების ნაწილად. ეს დოსტოევსკია, „დიდი ინკვიზიტორი“ კი ძმები კარამაზოვების უბრწყინვალესი ნაწილია, ნაწილი, რომელიც ქრისტიანული იდეის გახსნას ემსახურება – ქრისტე და მისი სიკეთე ერთია, მეორეა აღმსარებლობის ორგანიზებული მხარე, ვთქვათ, ეკლესია, მრევლი...



ეს საკითხი მშვენივრად გამოხატა და განმარტა კაცმა, პერსონაჟმა, ივანე კარამაზოვმა, რომლის მიმართ ჩვენ შესაძლოა არანაირი სიმპათია არ გვქონდეს. ეს ლინგვა ფრანკას კიდევ ერთი თავისებურებაა – სიმპათიით ვექცევით იმ იდეას, რომლის ავტორის მიმართაც არანაირი სიმპათია არ გაგვაჩნია.

ადრე ამბობდნენ, მწერალს უნდა უყვარდეს თავისი პერსონაჟებიო. გარკვეული გაგებით, რა თქმა უნდა, მათი პიროვნულობის მიუხედავად, შენი პერსონაჟები უნდა გიყვარდეს. ისინი ხომ შენი შვილები არიან – უშნოებიც და მიმზიდველებიც. ეს გასაგებია, თუმცა ვეჭვობ, ვეჭვობ, რომ რომელიმე მამა კარამაზოვი ისეთივე საყვარელი იყოს, როგორიც პირველ რომანში ალიოშა კარამაზოვია. ვეჭვობ და ბუნებრივია ვერც იქნება, მაგრამ, ავტორი წერს თავისებურ ლინგვა ფრანკაზე – სწორედ იმ პერსონაჟს, რომლის მიმართაც სიმპათია არ გაგვაჩნია, ისეთ ტექსტს მოუძებნის, მკითხველს ნდობა და სიმპათია რომ მოუპოვოს.

და კვლავ გაისმის ჰამლეტის კითხვა – ვინ არის ჩვენთვის ჰეკაბე? რატომ ვტირით მის გამო?

რატომ განვიცადეთ მკითხველებმა ასე მძიმედ იმ კაცის სიკვდილი, რომელიც, მის შვილებს თუ დავუჯერებთ, საერთოდ არ უნდა დაბადებულიყო. რატომ არის ცოცხალი მამა, რომლის შესახებაც შვილი, დიმიტრი კარამაზოვი, კითხულობს – Зачем живет такой человек?! რატომ ცოცხლობს კაცი, რომელზეც შუათანა შვილი ივანე კარამაზოვი ამბობს – „ვის არ უნდა მამის სიკვდილი, ბატონებო?“ ამ ფრაზის შემდეგ ყველა რწმუნდება, რომ ივანე კარამაზოვი გიჟია, ბუნებრივია, არავის უნდა სიმართლის ცოდნა, სიმართლის, რომელიც ლინგვა ფრანკა აღმოჩნდა.

ივანე კარამაზოვი ახერხებს, რომ თავისი პოემა, „დიდი ინკვიზიტორი“, ზუსტი ციტირების გარეშე აქციოს ნაწარმოების ნაწილად. ეს დოსტოევსკია, „დიდი ინკვიზიტორი“ კი ძმები კარამაზოვების უბრწყინვალესი ნაწილია, ნაწილი, რომელიც ქრისტიანული იდეის გახსნას ემსახურება – ქრისტე და მისი სიკეთე ერთია, მეორეა აღმსარებლობის ორგანიზებული მხარე, ვთქვათ, ეკლესია, მრევლი...

და კიდევ ერთი; თავის დროზე ფროიდმა ყურადღება მიაქცია, რომ არსებობს სპექტაკლები, რომლებიც, მიუხედავად იმისა, ვინ დგამს, ვინ თამაშობს, ყოველთვის წარმატებულია. ყოველ შემთხვევაში, ფროიდმა ასე აღიქვა „ოიდიპოს მეფე“. მან დაინახა, რომ „ჰამლეტი“ ხან იქნება წარმატებული, ხან ვერა, „ოიდიპოს მეფის“ შემთხვევაში კი წარმატება თითქმის გარანტირებულია. ფროიდმა ეს შემთხვევით ამბად არ მიიჩნია და მის უკან ლინგვა ფრანკაზე დაწერილი ამბავი აღმოაჩინა, ამბავი ოიდიპოსის კომპლექსისა.

რა თქმა უნდა, ოიდიპოსის კომპლექსი უტყუარი ფაქტი არ არის, მაგრამ, აღმოჩნდა, რომ „ოიდიპოს მეფე“ ლინგვა ფრანკაზეა დაწერილი, ისევე, როგორც სხვა ნაწარმოებები, რომელთა გასაგებად არც ბერძნულის ცოდნაა საჭირო და არც მასალის ორიგინალში გაცნობა – ეს ნაწარმოებები ლინგვა ფრანკაზე იწერებოდა; ისინი გასაგებია მკითხველისთვის, ადამიანები ცნობენ თავიანთ თავს და ამიტომაც, ფანტასტიკურად კარგი გამოვიდა ყველაფერი, რაც ევროპული ლიტერატურიდან კინოდ აქცია აკირა კუროსავამ.

"პრომეთეს" ბაიდა(ა)მოსნა

სამეფო უბნის თეატრი "ხსოვნისა" და "დავიწყების" ძიებაში

ავტორი: დავით ბუხრიკიძე, ფოტო: ბობო მხიტირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშ ასე, „პრომეთე"/ დამოუკიდებლობის 25 წელი – წარმოდგენა, რომელსაც სწორედ 25 წლის რეჟისორი დათა თავაძე 34 წლის დრამატურგის, დავით გაბუნიას ტექსტის მიხედვით, სამეფო უბნის თეატრში დგამს. ვერაფერს იტყვი, სათაური უდავოდ კარგია – მჟღერი, კლასიკური, გასაგები და ტკივილამდე ნაცნობი. ქვესათაურიც არანაკლებ საინტერესოა და პუბლიცისტური. სპექტაკლს თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე, ქართული პროგრამის ფარგლებშიც უჩვენებენ. მოკლედ, თეატრალებს საკმარისზე მეტი მიზეზი აქვთ სამეფო უბნის თეატრში წასასვლელად.

რაც ყველაზე საინტერესოა, პრემიერა შეკითხვებს უფრო ბადებს და პუბლიკას მზა რეცეპტებს არ სთავაზობს. მაინც როგორ შეიძლება დღეს გავიაზროთ „პრომეთე"- როგორც გაბედული და გულახდილი პუბლიცისტური არტი? რეფლექსია უკვე ნაცნობ სოციალურ, „წყევლა-კრულვიან" საკითხავზე? გლოვა გაფლანგულ თუ დაკარგულ დროზე („გლოვაზე როგორ უნდა ვილაპარაკოთ")? ანტიკური მითის ხელახალი და მტკივნეული გააზრება? კარგად გაწვრთნილი მსახიობების დახმარებით მაყურებლის მგრძნობელობის შემოწმება? ისტორიის სანაგვეზე გადაგდებული ეროვნული ენერგიის გამოთავისუფლება? „რიმინი პროტოკოლის" მსგავსი ქართული თეატრალური პლატფორმის შექმნის მცდელობა (ამის შესახებ უფრო დეტალურად ქვემოთ მოგითხრობთ)?.. ან იქნებ, საერთოდ არაა საჭირო ტვინის ჭყლეტა და „პრომეთე" უბრალოდ, სამეფო უბნის თეატრის „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის შემადგენელი ნაწილია?

მაყურებელი დიდ ხანს ათვალიერებს ფრონტალურად აგებულ თეთრ კედლებს, გრძელ მაგიდას, სკამებს. თითქოს სულ ეს არის ყველაფერი... თუმცა არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სცენოგრაფიული დეტალი – პოლიეთილენის ფერადი პარკებით გამოტენილი სცენური სიღრმე, რომელსაც მხატვარი და სცენოგრაფი ქეთი ნადიბაიძე შესაშური წესრიგით განალაგებს სივრცეში.

დაახლოებით ორი საათის განმავლობაში სცენური კონსტრუქცია და დეკორაცია არ შეიცვლება. არც კედლები შეზანზარდება, არც ზეცა ჩამოიქცევა

მძაფრი თუ ნაკლებად თავდაჯერებული, უგრძნობი თუ ზემგრძნობიარე აქტიორული და რეჟისორული ვნებების მიღმა მთავარი მაინც ტექსტია, რომელსაც სამეფო უბნის თეატრს „მიმაგრებული" დავით გაბუნია თხზავს. ეს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმიტომ, რომ კონკრეტულად ამ თეატრისა და მისი დასის შესაძლებლობის შესახებ მან თითქმის ყველაფერი იცის. ეს საჭიროა იმიტომაც, რომ ზუსტად გაავლოს და გაითვალისწინოს ზღვარი ტელესერეიალის სცენარსა და თეატრისთვის დაწერილ პიესას შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარკვეული თვალსაზრისით, „პრომეთეს“ უფრო მძაფრი, პუბლიცისტურად და ლიტერატურულად საინტერესო ტექსტი ეთქმის, ვიდრე კამერული პიესა. ახალ ტექსტში უმთავრეს სიტყვებად იქცა – „გაიხსენე“ და „დაივიწყე“! თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამგვარ მიდგომას, ალბათ, თავად რეჟისორისა და დრამატურგის ერთობლივი ჩანაფიქრი განაპირობებდა.

და არც მრავალმნიშვნელოვანი ფერადი, ნაგვის გროვად ქცეული პარკები აფრიალდება, ეკოლოგიური კატასტროფა რომ გვაუწყოს. სამაგიეროდ, ნატიფი დისციპლინით გატანჯული, ზამბარასავით დაჭიმული და კიდევ უფრო მგრძნობიარე ნერვული სისტემით გამორჩეული მსახიობები შეეცდებიან, დაარღვიონ ისტორიულ წესრიგი. უფრო ზუსტად, განაახლონ ჩვენი ტკივილი და გააფართოვონ წარმოსახვა უკვე გარდასული 25 წლის შესახებ.

წარმოდგენაში მონაწილე რვავე მსახიობი – პაატა ინაური, კატო კალატოზიშვილი, მაგდა ლებანიძე, გიორგი ყორღანაშვილი, გიორგი შარვაშიძე, ქეთა შათირიშვილი, გაგა შიშინაშვილი, იაკო ჭილაია – ურთულესი ამოცანის წინაშე დგას. უსახელო და უასაკო პერსონაჟების დახმარებით მათ ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული, პრომეთეს მითი (თუ გნებავთ, იგულისხმეთ ამირანიც) ისე ფაქიზად და მონდომებით უნდა დაშალონ ან დაანგრიონ, რომ ნანგრევებიდან მაინც გესმოდეთ ცნობილი საესტრადო სიმღერის მოტივი – „საყვარელო მამულო“; სწორედ ის, სპექტაკლის დასაწყისში მსახიობების ირონიული მინიშნება-სტვენით რომ გეცნობათ და 90-იანი წლების „ალიონსა“ თუ „შუადღეში“

პოზიტიური მაია ჯაბუა რომ მღეროდა...

მაგრამ სამშობლოსკენ სავალი გზა შორია, დრამატული და სახიფათო. ის ჯერ წელს ზემოთ გაშიშვლებული, „ტრავმირებული“ პროტო-პრომეთეს – გიორგი ყორღანაშვილის ფლომასტერით მოხატულ სხეულზე გაივლის; შემდეგ წითელკაბიანი და ზემგრძნობიარე კატო კალატოზიშვილის დრამატულ მონოლოგზე (პულენკის ოპერის, „ადამიანის ხმის“ თანხლებით), რასაც ქეთა შათირიშვილის მიერ რალაცნაირი, პოეტური ცინიზმით ნათამაშევი ეპიზოდი და მის მიერვე ლამის წარმოუდგენელი ტემპო-რიტმით წაკითხული მონოლოგი მოსდევს.

იქვეა შედარებით რბილი, ნატიფი, შემპარავი გიორგი შარვაშიძის მომღიმარი პერსონაჟი, ხოლო ოდნავ მოგვიანებით საკუთარი „არია“ ექნება არაჩვეულებრივ მაგდა ლებანიძესაც – გასაგები, მაგრამ უფრო დისტანციური და თვითირონიული. შემდეგი „გაჩერებაა“ იაკო ჭილაიასა და გაგა შიშინაშვილის მძაფრი, დრამატული (უფრო კი სასტიკი) და ეროტიკული სცენა, რომელიც ქალთა უფლებების დამცველებს, ალბათ, ყველაზე მეტად შეაშფოთებთ. დაბოლოს, მითიური სამშობლოსკენ სავალ გზას პაატა ინაურის სცენა დაასრულებს. ესქილეს „მიჯაჭვული პრომეთეს“ პატარა ფრაგმენტი ერთგვარი ჯვარცმა-საფრთხობელაა. სწორედ იმ ტანსაცმლის საკიდის შესაბამისი, პაატა ინაურის პერსონაჟი ფინალში უხერხული ტრაგიკომიკურობით რომ მოირგებს.

სპექტაკლში გამოყენებულია არა მხოლოდ ესქილეს ტრაგედიის ფრაგმენტი, არამედ, ბრიტანელი მწერლის, სცენარისტისა და რეჟისორის, კლაივ ბარკერის ტექსტი და ასევე, თანამედროვე ამერიკელი დრამატურგისა და სცენარისტის, კრისტოფერ ბოალის (შესაძლოა, ეს არის პიესა „ძაღლებზე გაგიჟებული“?!) ტექსტის ფრაგმენტი. სავალდებულო კულტურულ ფონს არანაკლებ ამდიდრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბს სპექტაკლში გამოყენებული საუნდიც: პამინას არია მოცარტის „ჯადოსნური ფლეიტიდან“, ფრაგმენტი ბახის მესადან და როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფრანსის პულენკის ოპერის ნაწყვეტი.

„პრომეთე“ თანაგრძნობის მიღმა დარჩენილ და კარგად შესრულებულ, პერფექციონისტულ თამაშს წააგავს, რომელშიც რეჟისორი დათა თავაძე ერთიან კოორდინატთა სისტემაში მოაქცევს მსახიობთა ლამის ავტომატიზმამდე მიყვანილ მეტყველებასა და მათ ფიზიკურ შესაძლებლობებს. თუმცა მათ სხეულებს არცთუ საამო და სავალდებულო კონვულსიებს მიუსჯის (მაგალითად, იაკო ჭილაიასა და გაგა შიშინაშვილის ეპიზოდები).

უცნაური სიჯიუტით გამეორებული ერთი და იგივე მოძრაობები და ტემპო-რიტმი, გაუთავებელი სირბილი სცენაზე და მონტაჟურად დანაწევრებული ექსპრესიონისტული ტექსტი გახსენებთ როგორც ახლობელ „ტროელ ქალებს“, ისე არც ისე შორეული მიხაილ მარმარინოსის სპექტაკლების გმირებსა თუ ატმოსფეროს და კიდევ უფრო შორეული გერმანული თეატრის სახიფათოდ მომნუსხავ გამოსხივებას.

მძაფრი თუ ნაკლებად თავდაჯერებული, უგრძნობი თუ ზემგრძნობიარე აქტიორული და რეჟისორული ვნებების მიღმა მთავარი მაინც ტექსტია, რომელსაც სამეფო უბნის თეატრს „მიმაგრებული“ დავით გაბუნია თხზავს. ეს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმიტომ, რომ კონკრეტულად ამ თეატრისა და მისი დასის შესაძლებლობის შესახებ მან თითქმის ყველაფერი იცის. ეს საჭიროა იმიტომაც, რომ ზუსტად გაავლოს და გაითვალისწინოს ზღვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი ტელესერიალის სცენარსა და თეატრისთვის დაწერილ პიესას შორის.

„პრომეთეში“ დავით გაბუნია უბრუნდება „ტროელი ქალების“ დოკუმენტურ-მხატვრულ-პუბლიცისტურ თხრობას, თუმცა ის, რაც „ტროელებში“ ზუსტი, ბუნებრივი და დამაჯერებელი იყო – კონკრეტული ქალების კონკრეტული და ამაღელვებელი ისტორიები ამჯერად უსახელო პერსონაჟთა პუბლიცისტურ ფრაზებად და მონოლოგებადაა გაბნეული. პერსონაჟები თითქოს სივრცეში ლაპარაკობენ, დარბაზს მიმართავენ და არა ერთმანეთს. რაც მთავარია, ისინი თითქოს საგანგებოდ არიან ერთმანეთისგან გაუცხოებულნი და არ ურთიერთობენ. ეს კი ორი საათის განმავლობაში მაყურებლისთვის საკმაოდ რთულად მოსანელებელია.

გარკვეული თვალსაზრისით, „პრომეთეს“ უფრო მძაფრი, პუბლიცისტურად და ლიტერატურულად საინტერესო ტექსტი ეთქმის, ვიდრე კამერული პიესა. ახალ ტექსტში უმთავრეს სიტყვებად იქცა – „გაიხსენე“ და „დაივიწყე“! თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამგვარ მიდგომას, ალბათ, თავად რეჟისორისა და დრამატურგის ერთობლივი ჩანაფიქრი განაპირობებდა.

დრამატურგიული სქემა – ცალკეული ადამიანის ბიოგრაფია, როგორც მთელი ქვეყნის ისტორია, არახალია. ამის კარგი მაგალითია ვერბატიმი ან ევროპაში უკვე კარგა ხნის განმავლობაში თეატრალურ პლატფორმად ქცეული Rimini Protokoll („რომინი პროტოკოლი“ ანუ ოქმი, რაც თავიდან პროგრამულ ტერმინს აღნიშნავდა). ეს არის ხელოვანთა გაერთიანება, რომელიც გერმანელებმა – ჰელგარდ ჰაუგმა, დანიელ ვეტცელმა და შვეიცარიელმა – შტეფან კაეგიმ 2003 წელს დააფუძნეს.

ისინი თეატრს განიხილავენ, როგორც ცოცხალ, მუდმივი ცვლილებებისა და განახლების მოლოდინში მყოფ ხელოვნებას. მათი კონცეფციით თეატრი უკავშირდება რადიოსა და ტელერეპორტაჟებს, ცოცხალ ხმებს, აკუსტიკურ გარემოს, აუდიომოსმენებს, პრესას, დოკუმენტურ და სამეცნიერო მასალებს, ინტერნეტრესურსებს და ა.შ. ხშირად სწორედ ოქმები და დოკუმენტური მასალა ხდება მათი შთაგონების წყარო და არა მხატვრული ტექსტი ან პიესა.

რაღაც თვალსაზრისით, სპექტაკლი „პრომეთე“ სწორედ ასეთ მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ, მიუხედავად იმისა, რომ ის მთლიანად მხატვრულ და საავტორო ტექსტს ეყრდნობა და არა დოკუმენტურ მასალას.

დამოუკიდებლობის 25 წელი ცხადია, მცირე დროა ტოტალიტარიზმის ბნელი გვირაბიდან ბოლომდე გამოსასვლელად. ამიტომაც სათანადოდ ვერც დემოკრატიის გაკვეთილები დავისწავლეთ და ვერც არჩევნებში ღირსეული მოგება-წაგება ვისწავლეთ. ჩვენ ნელ-ნელა, მტანჯველი რეფლექსიით, მაგრამ მაინც გამოვდივართ იმ მძიმე მდგომარეობიდან და შეუძლებელია განცდილი დროისა და რეპრესიების კვალს არ ვატარებდეთ.

ჩვენს საზოგადოებას, სამწუხაროდ, დამოუკიდებლად არსებობის, აზროვნების ხანგრძლივი გამოცდილება არ გააჩნია. ამიტომ ის უფრო ნეგატიური მეხსიერებით ცხოვრობს, ანუ „წარსულის ქექვით“ არის დაკავებული. გარკვეულ კომპენსირებას კი სწორედ წარსულზე კონცენტრირებით ახდენს. ასეთ დროს მნიშვნელოვანია მითების საგანგებო დეკონსტრუქცია, განადგურება, გაქარწყლება. და ეს მნიშვნელოვანი არტმოვლენა გახდება.

სწორედ მითის თანამედროვე გააზრების აუცილებლობას შეგვახსენებს სამეფო უბნის თეატრში დადგმული „პრომეთე“, რომელიც შეიძლება ერთდროულად აღქმული იქნას როგორც მითის ამოხსნაც და მისი გარდამოხსნაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესემოდ

გიო ახვლედიანი

მრავალტანჯული ინგლისის ნაკრები კვლავ უმწვრთნელოდაა. თუკი რამეა სერიალი, სხვანაირად რომ ვთქვათ, საპნის ოპერა, პირველ რიგში სწორედ ინგლისის საფეხბურთო ნაკრები, რომელმაც სწორედ ამ ზაფხულს მორიგჯერ მოიჭრა თავი ევროპის ჩემპიონატზე და, რა თქმა უნდა, ამას მისი ჯენტლმენი მწვრთნელის, როი ჰოჯსონის მოხსნაც მოჰყვა.

ახლა საქმე ისეა, რომ ათი კვირის წინ მის შემცვლელად დანიშნული სემ ალარდაისიც მოხსნილია. ეს ის ისტორიაა, რომელიც მთელი კვირაა ახალი ამბების პირველ გვერდებზე დგას და პოლიტიკის, ბრექსითისა და „ისლამური სახელმწიფოს“ ამბებსაც კი უსწრებს. სემ ალარდაისი „დეილი ტელეგრაფის“ გადაცმულმა ჟურნალისტებმა წამოაგეს ნაკრების მწვრთნელისთვის შეუფერებელ ბიზნესშეთანხმებაზე და ფეხბურთის ასოციაციას გზა არ დარჩენოდა, რომ ის თანამდებობაზე დაეტოვებინა.

ვის არ წაუმტვრევია ცხვირი ინგლისის ნაკრების მენეჯერის თანამდებობაზე? ყველას ახსოვს ქოლგიანი სტივ მაკლარენი, ინვალიდთა სულებზე მჭმუნველი გლენ ჰოდლი, გაბითურებული ფაბიო კაპელო და დანიშვნაზე შიშით უარისმთქმელი ლუიშ ფელიპე სკოლარი. ათასი სხვაც გვახსოვს, გრემ ტეილორი, რომელიც მსაჯს უყვიროდა, სამსახურს მაკარგვინებო, ვენეიბლსი, რომლის ფეხბურთელებმაც პენალტის დარტყმა ეგრეც ვერ ისწავლეს და ამით ბობი რობსონის გუნდს გაეხმიანნენ ისტორიაში. სხვაც მრავალი.

ჰოდა, ამდენ კრიზისთა კი არა და სამუდამო გათვალვის ფონზე, ნაკრების სათავეში მოხვდა სემ ალარდაისი, რომელიც მთელი თავისი სამწვრთნელო ცხოვრების განმავლობაში იძახდა, მე უნდა გავწვრთნა ინგლისის ნაკრები, მე ვიცი ეგ საქმე და, ადრე თუ გვიან, მოვახერხებ კიდეცო.

ჰოდა, ბოლოს და ბოლოს, სემი დანიშნეს. უფრო იმიტომ, რომ გარედან მოყვანის პოლიტიკა შეიცვალა, შინ კი ასე მზადმყოფი სხვა არავინ იყო. სემიც წავიდა ნაკრებით სლოვაკიაში და მოიგო. კარგად დაიწყო. ოღონდ, ეს პირველი და უკანასკნელი იყო.

მთელი ზაფხული ამბობდა, სიცილს ვერ ვიკავებ, როცა ვიცი, რომ ნაკრების მწვრთნელად ვარო. მერე ძმაკაცმა დაურეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის არ წაუმტვრევია ცხვირი ინგლისის ნაკრების მენეჯერის თანამდებობაზე? ყველას ახსოვს ქოლგიანი სტივ მაკლარენი, ინვალიდთა სულებზე მჭმუნველი გლენ ჰოდლი, გაბითურებული ფაბიო კაპელო და დანიშვნაზე შიშით უარისმთქმელი ლუიშ ფელიპე სკოლარი. ათასი სხვაც გვახსოვს, გრემ ტეილორი, რომელიც მსაჯს უყვიროდა, სამსახურს მაკარგვინებო, ვენეიბლსი, რომლის ფეხბურთელებმაც პენალტის დარტყმა ეგრეც ვერ ისწავლეს და ამით ბობი რობსონის გუნდს გაეხმიანნენ ისტორიაში. სხვაც მრავალი.

და უთხრა, კარგი ბიზნესის სუნი მცემს, შორეული აღმოსავლეთიდან საქმოსნები არიან, ფეხბურთელების მყიდველი ხალხი, აინტერესებთ, ინგლისურ ფეხბურთში როგორ სემოდნენ, კაი ფულის გადამხდელები არიან და შევხვდეთო.

ორჯერ შეხვდნენ. ძმაკაცმა არ იცოდა, რომ ის სინგაპურ-ჰონგ კონგელები სინამდვილეში დეილი ტელეგრაფის გადაცმული ჟურნალისტები იყვნენ. ამათ სემის უბრალო რამეზე გამოწვევა უნდოდათ: ფეხბურთში არსებობს ე.წ. მესამე პირის ამბავი, როცა ფირმები ფულს აბანდებენ მოთამაშეებში და მათი მეწილეები ხდებიან, მათი ყოველი გაყიდვიდან წილს იღებენ. ასე იყო მასკერანო და ტევესი რომ ჩამოიყვანეს ინგლისში და სხვაც ათასი ყოფილა, მაგრამ ეს პრაქტიკა ფიფამ აკრძალა და ცხადია, ინგლისის ასოციაციამაც, თუმცა მრავალი გზა არსებობს ამ აკრძალვის გვერდის შემოსავლელად. საფეხბურთო სამყარო ამას ფეხბურთელთა მონობას უწოდებს, თუმცა თავად ფეხბურთელები საკმაო სიხარულით ყიდიან ხოლმე თავიანთი თავის წილს რაღაც ფირმებზე და მერე ეს წილი არ ანაღვლებთ.

ჰოდა, გადაცმულ ტელეგრაფელებს სემმა სწორედ ეს აუხსნა. მაგალითიც მოუყვანა, თუ როგორ იყიდა ვესტ ჰემელი ვალენსია ამ კლუბში მენეჯერობისას და საერთოდ, ფეხბურთში რომ ასე ხდება, არ დაუმალავს. ნახევარ მილიონამდე გირვანქა შესთავაზეს, თუ ამ საქმეში კონსულტაციას გაუწევდა ყოველწლიურად და სინგაპურსა და ჰონგ კონგშიც ჩავიდოდა დიდი ინვესტორების დასაწყნარებლად. უფრო მისი, როგორც ინგლისის ნაკრების მწვრთნელის სახელი უნდოდათ. ჰოდა, კარგად რომ ჩაიწერეს, ტელეგრაფმა ეს ყველაფერი გამოაქვეყნა.

ძალიან ღრმად რომ არ ჩავწვდეთ, სემ ალარდაისი ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ალარ არის კარს მომდგარი ორი შესარჩევი თამაშის წინ.

ახლა უნდა ითქვას, რომ ალარდაისი ნაღდი ინგლისელი მწვრთნელია. სოციალურადაც ინგლისური ფეხბურთის ნაღდი შვილია, მეტყველებითაც და ფილოსოფიითაც. დიდი საქმე, ე.წ. ბიგ ჯობი, რაც დიდი კლუბის გაწვრთნას გულისხმობს, არასდროს ჰქონია, მაგრამ საშუალო და პატარა კლუბებში, სადაც დაუცლიათ, დიდი საქმეები უკეთებია. ეს ინგლისელი მწვრთნელების ბედია გლობალისტურ პრემიერ-ლიგაში. ამიტომ, თავისი მოგლეჯილი აგებულების გამო, ასევე დიდ სემად წოდებულ ალარდაისს მაგარი მწვრთნელის სახელი აქვს და მისი ბოლტონიც ყველას ახსოვს, თუმცა ტრანსფერიდან ქრთამის სკანდალის ისტორიაც დაუვიწყარია. მოკლედ, ფეხბურთის ნამდვილი კაცია და ეგებ ინგლისის ნაკრები აეწყო კიდეც.

ის ხომ ნაკრების ერთადერთი მენეჯერი იყო, რომელიც ამბობდა, რომ ნაკრების ფეხბურთელებს ფსიქოლოგიური პრობლემა აქვთ. მართალია, ამას გადაცმულ ვერაგ ჟურნალისტებს ეუბნებოდა, მაგრამ ეს ხომ ისაა, რაზეც ყველა ლაპარაკობს და არავინ ამბობს ხმამაღლა?

მოკლედ, გამკეთებელი კაცი იყო, მაგრამ პატიოსნებაზე წამოიხიეს. მგონი, ასე ძალიან ბევრს წამოიხევდნენ, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ არსენ ვენგერს, რომელიც ახლა ნაკრების მწვრთნელობის უპირველეს კანდიდატად მიიჩნევა, ახალი მწვრთნელის დანიშნვამდე კი 21-წლამდელთა მწვრთნელს, გარეთ საუთგეიტს თუ მოუწევს გუნდის ხელძღვანელობა. საუთგეიტი საშუალო სანაკრებო ფეხბურთელი იყო და ის კაცია, რომელმაც პენალტი ააცილა გერმანიასთან ევრო 90-ის ნახევარფინალურ მატჩში. მგონი, ინგლისში არაამცილებელი ძნელი საპოვნია. საიქოდ წოდებული სტიუარტ პირსიც ამცილებელი იყო, ის მარად წაგებულ ახალგაზრდებს წვრთნიდა.

მოკლედ, როგორცაა.

ინგლისში ბრანიან კალფი არ დანიშნეს ნაკრების მწვრთნელად: გაესაუბრნენ და არაო.

იმას იქით საკომენტარო არაფერია.

მერე აგერ ჰოჯსონამდე ჰარი რედნაპი, ინგლისური ფეხბურთის სული და გული, ხალხის რჩეული არ დანიშნეს. ახლა ჰარი ამბობს, არ მინდა ვენგერი, მაინც ინგლისელი ვარ და ინგლისელი მინდა გვყავდესო.

ჰარისთვის, რო მოესმინათ...

ეროვნული ბიბლიოთეკა



შეგოგვიერთდი განახლებულ www.liberali.ge_ზე





472/75

ეროვნული ბიბლიოთეკა

WWW.LIBERALI.GE

http://twitter.com/LiberaliMagazine

http://facebook.com/LiberaliMagazine

http://youtube.com/LiberaliMagazine